

# ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერებები

რუსულან სანაძე

უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული  
საქმიანობის შეზასხვის ძირითადი ასპექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
განათლების მეცნიერებების დოქტორის (Ph.D.)  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი ქ. ჭავასელი

თბილისი

2009

## ს ა რ ჩ ე გ ი

შესავალი . . . . .	3
<b>თავი I. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის საქმიანობის საუნივერსიტეტო ორიენტირები . . . . .</b>	<b>9</b>
§1. უმაღლესი სკოლის მიზანი (ისტორია და თანამედროვეობა) . . . . .	9
§2. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები . . . . .	56
<b>თავი II. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის შეფასება სტუდენტის მიერ . . . . .</b>	<b>70</b>
§1. მასწავლებლის საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასების საკრედიტაციო მოთხოვნები. . . . .	70
§2. საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების არსებული კითხვარები. . . . .	79
§3. კვლევის შედეგად შექმნილი სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარები. . . . .	97
დასკვნა . . . . .	160
<b>დანართიN1: უმაღლესი განათლება დიდი ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში . . . . .</b>	<b>163</b>
<b>დანართიN2: უმაღლესი განათლება ამერიკის შეერთებული შტატებში . . . . .</b>	<b>182</b>
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	195

## შესავალი

საზოგადოებაში      მიმდინარე      სოციალურ-პოლიტიკურ      ცვლილებებს  
უცილობლად      მოჰყვება      განათლების      სისტემის      შესაბამისი      ცვლილებები.  
სხვაგვარად საზოგადოების განვითარება წარმოუდგენელია.

ამგვარი კანონზომიერებიდან გამომდინარე, ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე სოციალურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა დღის წესრიგში განათლების სისტემის რადიკალური ცვლილების საკითხი დააყენა. აუცილებელი გახდა მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დონის მიღწევა. შესაბამისად, 90-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც მოიცავს როგორც უმაღლესი, ისე საშუალო განათლების სფეროებს.

ამ მიმართებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არა ერთი სერიოზული ცვლილება გატარდა. კერძოდ:

- 1994-95 წლებში ყველა ფაკულტეტი, გარდა იურიდიულისა, გადავიდა სწავლების ახლებურ, ორსაფეხურიან სტრუქტურაზე – ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამების გათვალისწინებით.
- ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლამ აუცილებელი გახადა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების და ცოდნის ხარისხის შეფასების სისტემის მსოფლიო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციაში მოყვანის აუცილებლობა, რაც ეტაპობრივად კიდეც მიმდინარეობდა.
- 2003 წელს დაინერგა მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების ახალი პროგრამა. შეიქმნა სასწავლო პროცესის პარალელური უჯრედი, რომელიც სტუდენტებს მასწავლებლის პროფესიის დაუფლების არჩევითობის საშუალებას აძლევდა.
- სტუდენტთა მობილურობამ და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციამ მოითხოვა საკრედიტო სისტემის შემოღება. პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილების, არსებული ლიტერატურის, სხვა ქვეყნების საკრედიტო სისტემების ანალიზის საფუძველზე, თსუ-ში 2001 წლის სექტემბრიდან შემოღებულ იქნა საკრედიტო სისტემა.

1988 წლის 18 სექტემბერს ბოლონიაში ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების რექტორების შეკრებაზე შეიქმნა უნივერსიტეტების დიდი ქართია (Magna Charta Universitatum), რომელიც ცხადად გამოხატავს მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების მოთხოვნებსა თუ ზოგად ჩარჩოებს. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გატარებული ქმედებები, რა თქმა, უნდა ზუსტად ვერ ასახავდა ბოლონიის პროცესების თანამედროვე კრიტერიუმებს, მაგრამ ნებისმიერ სიახლეზე გადასვლის სირთულის გათვალისწინებით ამ ცვლილებებმა უდაოდ დადებითი როლი ითამაშა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა რეფორმისადმი განწყობის ჩამოყალიბებაში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ბოლონიის პროცესებიც იმ დროისათვის ჩამოყალიბებისა და დაზუსტების სტადიაში იმყოფებოდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოშო მიმდინარე რეფორმაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლები ამ პროცესში არ ერთვებოდნენ. საქმე იმაშია, რომ იმ დროისათვის რეალური ცვლილებები უმაღლესი განათლების სფეროში სწორედ თსუ-დან, როგორც ქვეყნის უპირველესი უმაღლესი სასწავლებლიდან იწყებოდა, რასაც შემდგომში, ბუნებრივია სხვა სახელმწიფო, თუ კერძო სასწავლებლები შეუერთდნენ.

2004 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. ამ კანონის ფარგლებში გაწერილია ყველა ის აუცილებელი ცვლილება, რომელიც უნდა განიცადოს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემამ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაციისათვის.

2005 წელს საქართველო ბოლონიის პროცესის წევრი გახდა. ბოლონიის პროცესის წევრობა უკვე აუცილებლობით მოითხოვს მთელ რიგ სტრუქტურულ თუ შინაარსობრივ გარდაქმნებს. ამჟამად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეტაპობრივად ხორციელდება ბოლონიის პროცესის შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ:

- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, თითქმის ყველა აკრედიტირებულ უნივერსიტეტში შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ფარგლებში პერმანენტულად, ბოლონიის მოთხოვნების კვალდაკვალ, მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) რესტრუქტურიზაცია
- დაინერგა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS)
- შემოდებულ იქნა სტუდენტთა შეფასების ახალი სისტემა, შეიცვალა საგნობრივი სასწავლო პროგრამის, სილაბუსის ფორმა და სხვ.
- ჩატარდა უნივერსიტეტების ინსტიტუციური აკრედიტაცია
- ამჟამად უნივერსიტეტები ემზადებიან პროგრამული აკრედიტაციისათვის, რომელიც 2010 წლისათვის უნდა დასრულდეს
- უწყვეტი განათლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რიგ უნივერსიტეტებში შემუშავდა პროფესიული განვითარების პროგრამები სხვადასხვა სპეციალობაში
- განათლების რეფორმის წარმატებული განხორციელებისათვის უმაღლესი სკოლის პერსონალისათვის სისტემატურად ტარდება სამუშაო სემინარები, შეხვედრები და ა.შ.

განათლების ხაზით მიმდინარე ნებისმიერი რეფორმა, საბოლოო ჯამში ფოკუსირდება მასწავლებელზე, რომელიც ყველა დროში წარმოადგენდა და წარმოადგენს მოზარდი თაობის აღზრდის წამყვან ფიგურას. ამ მიზეზის გამო ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემის შესწავლა. ამასთან, უმაღლესი სკოლის აკრედიტაცია საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა რგოლის, მათ შორის უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ხარისხის შეფასებას გულისხმობს. ამდენად, ჩვენი საკვლევი თემა – უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების ძირითადი ასპექტები – დღეისათვის ძალზე საჭირო და აქტუალურია.

მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემა უმაღლეს სკოლაში მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სფეროებს. ამ მიმართებით შეგეცადეთ მოგვეაზრებინა მასწავლებლის საქმიანობის შეფასების საუნივერსიტეტო სქემა, რომელიც წარმოვადგინეთ სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის მოთხოვნათა გაერთიანების სახით. კონკრეტულად, სქემაში ჩართულია კომპონენტები: თვითანგარიში, შეფასება ადმინისტრაციის მხრიდან, სტუდენტთა მიერ შეფასება, გარეშე შეფასება. ჩვენი აზრით, შეფასების ამ სისტემაში, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღღომებიდან გამომდინარე, გადამწყვეტი როლი სტუდენტის მიერ მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას ენიჭება. მოსაზრებას ამყარებს ბოლონიის პროცესის ყველა დოკუმენტში ნათლად და ბერლინის კომუნიკეში (2003 წლის 19 სექტემბერი) უკვე მოთხოვნის სახით გაედერებული აზრი – ხარისხის უზუნველყოფის სისტემა უნდა მოიცავდეს სასწავლო პროცესის შიდა და გარე შეფასებას სტუდენტთა მხრიდან. ასევე მნიშვნელოვანია ბერგენის (2005 წლის 19-20 მაისი) და ლონდონის კომუნიკეში (2007 წლის 18 მაისი) აღნიშნული მოთხოვნა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სტუდენტთა მონაწილეობის შესახებ და სტუდენტური ორგანიზაციის (ESIB - The National Union of Students in Europe) არაერთი ანგარიშგასაწევი შეხედულება. გამომდინარე აქედან, ჩვენი შრომის **ძირითად მიზანს** წარმოადგენდა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის მოდელის წარმოდგენა და ამ მოდელში სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარის შექმნა და აპრობაცია.

ჩვენს მიერ შესრულებული ნაშრომი, თემის აქტუალობიდან გამომდინარე მოიცავს რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვან **სიახლეს**, კერძოდ:

- ნაშრომის თემატიკის ირგვლივ თეორიული ბაზის ჩამოყალიბება
- უმაღლესი სკოლის მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სქემის შექმნა
- თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძველზე პედაგოგის პროფესიული მახასიათებლების შექმნა
- პროფესიული მახასიათებლების ბაზაზე, ემპირიული კვლევის შედეგად სტუდენტთა მიერ მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების კითხვარის შექმნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **კვლევის საგანია** უმაღლესი სკოლის მასწავლებელის საქმიანობა. კვლევის საგნიდან გამომდინარე **კვლევის ობიექტებია:**

- პედაგოგის პროფესიული საქმიანობის შეფასების თეორიული მოდელი
- პედაგოგის პროფესიული მახასიათებლები
- სტუდენტის მიერ უმაღლესი სკოლის მასწავლებლის შეფასების კითხვარი კვლევის მეთოდებად გამოყენებულ იქნა **პედაგოგიური კვლევის კლასიკური მეთოდები** – დაკვირვება და ექსპერიმენტი, ასევე მათზე დამყარებული თანამედროვე კვლევის მეთოდების (რაოდენობრივი, თვისებრივი) ერთობლიობა. კვლევის პროცესში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და მასწავლებლები, გერმანიის - ქალაქ კილის კრისტიან ალბრეხტის კილის უნივერსიტეტის სტუდენტები და მასწავლებლები, ზაარლანდის უნივერსიტეტის მასწავლებლები და მოწვეული ექსპერტები.

კვლევის პირველ ეტაპზე, კლასიკურ გამოცდილებასა და თანამედროვე ლიტერატურაზე დაყრდნობით მოვიაზრეთ მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები თეორიული მოდელის სახით. ჩამოვაყალიბეთ **პიპოთეზა** - პედაგოგის პროფესიული მახასიათებლები სამი ასპექტისაგან შედგება: საგნის ცოდნა, მეთოდური მომზადება, პიროვნული თვისებები. კვლევის შემდეგ ეტაპზე, პიპოთეზის შემოწმების მიზნით ჩავატარეთ ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი (თსუ-ს ყველა ფაკულტეტი, კრისტიან ალბრეხტის კილის უნივერსიტეტის, პედაგოგიკის ინსტიტუტი, გერმანია) ემპირიული კვლევა, რომელიც პრაქტიკულად გამოსადეგი ინსტრუმენტის – **აპრობირებული** კითხვარების შექმნით დასრულდა.

ვფიქრობთ, რომ ჩატარებული სამუშაო დღეისათვის **მნიშვნელოვანი** და **აუცილებელია**. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების დადგენა, შეფასების სისტემის მოაზრება და ამ სისტემაში სტუდენტის აზრის დაფიქსირება განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მასწავლებლის უპირველეს მოვალეობას სწორედ სტუდენტთან ხარისხიანი მუშაობა და მისი ინტერესების გათვალისწინება წარმოადგენს.

## **დასაცავად გამოგვაქს დებულებები:**

1. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების სქემა
2. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელი, რომელიც სამი ასპექტის ერთიანობით მოიაზრება: საგნის ცოდნა, მეთოდური მომზადება, პიროვნული თვისებები
3. აღნიშნული მოსაზრებების შესამოწმებლად ჩატარებული კვლევის ეტაპები საქართველოსა და გერმანიაში
4. კითხვარის შედგენის პროცედურა
5. კვლევის შედეგად მიღებული კითხვარების აპრობაცია საქართველოსა და გერმანიაში

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის ბაზაზე, გერმანიის კრისტიან ალბრეხტის კილის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტისა და ზაარლანდის უნივერსიტეტის ევალვაციის ცენტრის ბაზაზე. ნაშრომმა **აპრობაცია** გაიარა საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, ზაარლანდის და კილის უნივერსიტეტების სემინარებზე.

ნაშრომის შესრულებაში მნიშვნელოვანი დახმარება გამიშვია აღნიშნულ დონისძიებებზე და შეხვედრებზე პედაგოგიური საზოგადოების მიერ გამოთქმულმა სურვილებმა და შენიშვნებმა, რისთვისაც გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მონაწილეს.

## თავი I. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის საქმიანობის საუნივერსიტეტო ორიენტირები

### §1. უმაღლესი სკოლის მიზანი (ისტორია და თანამედროვეობა)

უნივერსიტეტი (Lat. Universitas - ერთობლიობა), უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგებში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X, 1976წ).

უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიული ტრადიცია ყოველთვის ეყრდნობოდა მაღალ მორალურ და ინტელექტუალურ ფასეულობებს. საუნივერსიტეტო განათლების იდეოლოგიის პროგრამას ძირითადად შეადგენს ზოგადსაკაცობრიო კულტურის საუკეთესო მიღწევათა მემკვიდრეობა, ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინება, ნაციონალური საზღვრების არქონა, მისწრაფება პიროვნების ინტელექტუალური განვითარებისაკენ, ლია დიალოგი და კომუნიკაცია კვლევებსა და სწავლებაში.

ტერმინით Universitas (- Lat. - ერთობლიობა, სიტყვიდან Universus – წონა, ერთად აღებული) შეა საუკუნეებში იწოდებოდა სხვადასხვა ამხანაგობები, ვაჭართა გილდიები, სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები და ზოგიერთი სხვა გაერთიანება. ამის შესაბამისად იმ დროს აღმოცენებულ „თავისუფალ“ სკოლებს დაერქვათ სტუდენტთა და მასწავლებელთა კორპორაცია (Universitas magistrum et scolarum). ხოლო შემდგომ, თანდათანობით, სასწავლო დაწესებულებებს უნივერსიტეტები ეწოდათ.

თუ მივიღებთ ტერმინს „პროსაუნივერსიტეტო განათლება“, მაშინ პირველ სამეცნიერო-ფილოსოფიურ და ეთიკურ-პილიტიკურ თანამებობრიბათა ორგანიზაციებს შეიძლება მივაკუთვნოთ პითაგორას კავშირი, პლატონის აკადემია, არისტოტელეს ლიკეი, პტოლემეის მიერ ალექსანდრიაში დაარსებული მუზეუმი.

უნივერსიტეტის ისტორია შეა საუკუნეებიდან იწყება და დასავლეთ ეკროპაში ქალაქური ეკონომიკის და კულტურის განვითარებას უკავშირდება. პირველი საერო უნივერსიტეტები იყო: ბოლონიის (1158წ, იტალია), კემბრიჯის (1209წ, ინგლისი) და ოქსფორდის (XII, ინგლისი), პარიზის (1215წ, საფრანგეთი), სალამანჯის (1218-26 წწ. შორის, ესპანეთი), ლისაბონის (1290წ, პორტუგალია),

პრაღის (1348წ, ჩეხეთი), კრაკოვის (1364წ, პოლონეთი), ვენის (1365წ, ავსტრია), პადუელბერგის (1386წ, გერმანია), უფრალის (1477წ, შვედეთი), კოპენჰაგენის (1479წ, დანია).

შეა საუკუნეების უნივერსიტეტის შემადგენლობაში ოთხი ფაკულტეტი იყო: მოსამზადებლი, რომელსაც არტისტული ხელოვნების (შემდგომ ფილოსოფიის) ფაკულტეტი ეწოდებოდა, ღვთისმეტყველების, სამედიცინო და იურიდიული ფაკულტეტები. სტუდენტები და მასწავლებლები ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებელში – კოლეგიუმებში (Lat. Collegium – შემდგომში კოლეჯები, კოლეჟები). მეცადინეობებიც, ასევე კოლეგიუმებში ტარდებოდა. მოსამზადებელ ანუ არტისტული ხელოვნების ფაკულტეტზე ისწავლებოდა „შვიდი თავისუფალი ხელოვნება“ - ტრივიუმი (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და კვადრიუმი (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა) (Septem artes liberals, trivium, quadrivium). იგი საშუალო სკოლის როდს ასრულებდა. ამ ფაკულტეტზე სწავლა 6-7 წელს გრძელდებოდა. ტრივიუმის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს ხელოვნებათა ბაკალავრის ხარისხი, ხოლო კვადრიუმის დამთავრების შემდეგ ხელოვნებათა მაგისტრის ხარისხი ენიჭებოდათ. მაგისტრის ხარისხის მფლობელებს ერთ-ერთ სპეციალურ ფაკულტეტზე შესვლის ნება ეძლეოდათ, სადაც სწავლა 5-6 წელს მიმდინარეობდა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ღებულობდა დოქტორის, ე.ო. მეცნიერის წოდებას. უნივერსიტეტებში სწავლების ხანგრძლივობა და სტუდენტთა ასაკი დადგენილი არ იყო. პრაქტიკულად სწავლება უნივერსიტეტებში 12-14 წლიანი იყო. სწავლება ლათინურ ენაზე ლექციის ან დისკუსიის სახით მიმდინარეობდა. პროფესორი წიგნიდან წაკითხულ ტექსტს კომენტარს უკეთებდა, ეწყობოდა დისკუსიები. სადისპუტო მოხსენების თეზისებს ჩვეულებრივად წინასწარ ადგენდნენ. უნივერსიტეტებს ადმინისტრაციული ავტონომია და საკუთარი იურისდიქცია პქონდათ.

საერთ უნივერსიტეტის საწინააღმდეგოდ, რელიგიური წრის წარმომადგენლებმა, მეცნიერებასა და მოსამზადებელ (სასულიერო, იურისტთა, ექიმთა) კადრებზე ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, XII საუკუნეში პარიზში გახსნეს უნივერსიტეტი. მას ხელმძღვანელობდა ეპისკოპოსის წარმომადგენელი – კანცლერი. უნივერსიტეტის ავტონომია ძალიან შეზღუდული იყო. თანამდებობის

პირთა არჩევაში სტუდენტები არ მონაწილეობდნენ, პროფესორები ინიშნებოდნენ და ფინანსდებოდნენ ეკლესიის მიერ. პარიზის უნივერსიტეტის მსგავსი უნივერსიტეტები გაიხსნა საფრანგეთის სხვა ქალაქებში, გერმანიაში, ინგლისში – ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტები.

თავდაპირველად თითქოსდა დამოუკიდებელი კულტურული ცენტრები, ადრეულ შეა საუკუნეებში, სულ უფრო და უფრო თეოლოგიურ ორიენტაციას დებულობდნენ. მაგრამ მეცნიერება ძალას იკრევდა და იგი ცხადია, ვერ ჩაეტეოდა რელიგიურ ჩარჩოებში, რამაც აღორძინების ეპოქაში, სხვა სოციალურ ინსტიტუტებს – სამეცნიერო აკადემიებს ჩაუყარა საფუძველი.

გერმანიაში სიტუაცია რადიკალურად იცვლება XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე. ვილჰელმ ჰუმბოლტის მიერ ჩამოყალიბებული იქნა კლასიკური უნივერსიტეტის პრინციპულად ახალი იდეა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა:

- ა) კვლევის ორიენტაციისა და სწავლების შეხამება;
- ბ) სახელმწიფოს მხრიდან მოსწავლისა და მასწავლებლის თავისუფლების უზრუნველყოფა.

ამ დროიდან მოყოლებული სახელმწიფოს პირველხარისხოვან ამოცანად იქცა მეცნიერების წინსვლა, სწავლებისა და კვლევის ახალი ფორმების დანერგვა. წარმოდგენილი მოდელის განხორციელება სრულად მოხერხდა 1810 წელს ბერლინის უნივერსიტეტის გახსნით.

ამ უნივერსიტეტის იდეის საბაზო პრინციპები შემდეგში მდგომარეობდა:

- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს შედარებითი ავტონომია;
- კვლევა და სწავლება განათლების არსია;
- უნივერსიტეტი იმედოვნებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას, მის ღირებულებათა აღორძინებას, ასევე ცოდნისა და განსწავლულობის ღირსების ეთიკურ დასაბუთებას.

შემდგომში, უნივერსიტეტის ყველა ევროპური ცვლილება, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, ჰუმბოლტის სახელთან დაკავშირებულ უნივერსიტეტის მოდელთან შედარებით განიხილებოდა.

საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგთა პოზიციები საკმარისად სხვადასხვაგვარია, მაგრამ თუ ვეცდებით მათ ერთ საფუძველზე

დაუვანას, მივიღებთ თანამედროვე უნივერსიტეტის განზოგადებულ მოდელს. როგორც წესი, მათ ნააზრევში ფიქსირდება უმაღლესი განათლების სისტემის წამყვანი მიზნები, ფუნქციები და ღირებული ორიენტაციები, რომლებიც მსჯელობის საგანს წარმოადგენენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ ხელშეუხებელი რჩება უნივერსიტეტის ფუნქციები და ღირებულებათა ფუნდამენტური სისტემა. უნივერსიტეტის **ტრადიციული მისის** (სწავლებისა და პვლევის ერთიანობა, ავტონომიურობა) შენარჩუნების თვისება განიხილება როგორც უნიკალური.

უნივერსიტეტის მიზანი და ამოცანები საზოგადოებრივი დაკვეთის მიხედვით იცვლება დროში. არსებობს არა ერთი განსხვავებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტი და რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს იგი. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

**პონ პენრი ნიუმენი**, ირლანდიის კათოლიკური უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო. ამ უნივერსიტეტის შექმნის იდეა XIX საუკუნის 50-იან წლებში გაჩნდა. უნივერსიტეტის იდეაში სერიოზული უზუსტობების გამო იგი 7 წელიწადში (1851-1858 წწ.) დაიხურა. ნიუმენის აზრით: „უნივერსიტეტი – ადგილია, სადაც ისწავლება უნივერსალური ცოდნა. ნათქვამიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიზანი, ერთის მხრივ ინტელექტუალურია, ხოლო მეორეს მხრივ დაკავშირებულია ცოდნის გავრცელებასთან და არა ახალი ცოდნის მიღებასთან. თუ უნივერსიტეტის მიზნად მივიღებთ სამეცნიერო და ფილოსოფიურ აღმოჩენებს, მაშინ ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა იყოს წარმოდგენილი ლიტერატურა და მეცნიერება?.

... მიუხედავად იმისა, რა დასახელებას გამოვიყენებთ, ვფიქრობ, ეს ისტორიის ფაქტია, – უნივერსიტეტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ინტელექტუალური კულტურა გახდეს საქმიანობის სფერო, მისი ამოცანა – ინტელექტის ფორმირებაა

...

... თავად უნივერსიტეტის იდეას, მანამ მას, როგორც ეპლესის ინსტრუმენტს განვიხილავთ, საკუთარი მიზანი და მისია გააჩნია. უნივერსიტეტის დანიშნულება ინტელექტუალური კულტურაა. სწორედ მასზე უნდა იქნეს ორიენტირებული მეცნიერთა ყურადღება, სწორედ ეს განსაზღვრავს მისი საქმიანობის შინაარსს,

ორიენტირებულს ინტელექტის ყოველმხრივ განვითარებაზე, შემცნებაზე და ჭეშმარიტების დაღვენაზე... “

როგორც ციტატიდან ჩანს პენრი ნიუმენი თავად მოდის წინააღმდეგობაში იდეასთან უნივერსიტეტის შესახებ. რამაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამოიწვია მისი დახურვა.

**თრგვება-ი-გასეთი** მაღრიდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი იყო. ამავდროულად, იგი პოლიტიკითაც იყო დაკავებული. 1930 წელს მაღრიდში მის მიერ წაკითხულ იქნა ლექციათა კურსი „უნივერსიტეტთა მისია“ (Mision de la Universidad). აი რას წერს იგი:

**პირველ რიგ ში რა უნდა იყოს უნივერსიტეტი?**

1. უნივერსიტეტი პირველ რიგში, უპირატესობით აღნიშნავს უმაღლეს განათლებას, რომელიც უნდა მიიღოს ჩვეულებრივმა ადამიანმა.
2. ეს ჩვეულებრივი ადამიანი თავდაპირველად უნდა გავხადოთ კულტურული ე.ი. იგი, დროის მოთხოვნათა სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ. აქედან, უნივერსიტეტის პირველადი ფუნქცია გამომდინარეობს – კულტურის თვალსაზრისით ფუნდამენტალურ დისციპლინათა (ფიზიკა, ბიოლოგია, ისტორია, სოციოლიგია, ფილოსოფია) ფლობაში.
3. ჩვეულებრივი ადამიანი უნდა გახდეს კარგი პროფესიონალი. უნივერსიტეტმა, მუშაობის ყველაზე რაციონალური და ეფექტური მეთოდების გამოყენებით, ადამიანს საშუალება უნდა მისცეს გახდეს კარგი ექიმი, კარგი მოსამართლე, კარგი მათემატიკისა, თუ ისტორიის მასწავლებელი.
4. არანაირი დასაბუთებული საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი აუცილებლად მეცნიერი გახდება. აქედან, ბევრისათვის გამაოცებელი დასკვნა გამომდინარეობს: მეცნიერება თავისი შინაარსით, ე.ი. სამეცნიერო კვლევა, ნებისმიერი ფორმით, არ ფიგურირებს უნივერსიტეტის ძირითად ფუნქციათა რიცხვში.

გარდა ამისა, გასეტი თვლის, რომ უნივერსიტეტში პროფესორთა შერჩევა უნდა ხორციელდებოდეს პედაგოგიური საქმიანობისა და მეცნიერული კვლევის

უნარების სინთეზის გათვალისწინებით და არა იმით, თუ რაოდენ კარგი მკვლევარია აღნიშნული პიროვნება.

**კარლ იასპერსმა** ომის შემდეგ დაწერა და 1949 წელს გამოაქვეყნა შრომა „უნივერსიტეტის იდეა“ („Die Idee der Universität“). თავის წიგნში ის ხაზს უსვამს გერმანულ უნივერსიტეტში კვლევის ტრადიციას იმ სახით, როგორც ეს ჯერ კიდევ პუმბოლტმა განსაზღვრა.

უნივერსიტეტი – განსაკუთრებული სახის სკოლაა. იგი არა მხოლოდ მომზადების ადგილია. მის კედლებში სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კვლევებში. ამგვარი სამუშაო გამოცდილების დაგროვება აყალიბებს ხარისხს დაკავშირებულს ინტელექტუალურ დისციპლინასთან. იგი I-დებს განათლებას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მასთან დარჩება.

... კორპორაციული ფორმით, უნივერსიტეტი ახორციელებს ადამიანის ძირითად მოთხოვნილებას – ცოდნას. მისი უშუალო დანიშნულება მდგომარეობს იმის აღმოჩენაში, თუ რისი ცოდნაა საჭირო და რა გამომდინარეობს ამგვარი ცოდნიდან ადამიანებისათვის.

ამრიგად, უნივერსიტეტი აერთიანებს კვლევისადმი პროფესიულად თავდადებულ ადამიანებს, რომლებმაც სინამდვილე მეცნიერებისათვის მისაღები ფორმით უნდა მოგვაწოდონ.

რადგან სინამდვილის აღმოჩენა სისტემატური კვლევითაა შესაძლებელი, უნივერსიტეტის უპირველეს ამოცანას კვლევა წარმოადგენს. მეორე ამოცანა დაკავშირებულია სწავლებასთან, რადგანაც ცოდნა ჭეშმარიტების შესახებ გადაცემულ უნდა იქნას.

... თავის მხრივ უნივერსიტეტი წყვეტს სამეცნიერო და სასწავლო ამოცანებს, პკლევა და სწავლება უზრუნველყოფს ინტელექტუალური კულტურის განვითარებას, რომელშიც ჭეშმარიტება იღებს თავის მნიშვნელობას და სიცხადეს.

ამრიგად, უნივერსიტეტის ამოცანას – პკლევა და ცოდნის გადაცემა (განათლება) წარმოადგენს. თითოეული ცალ-ცალკე განისაზღვრება, მაგრამ არ შეიძლება ერთმანეთისაგან გამოყოფილ იქნას.

**ალფრედ ნოტს უაიტხედი** – ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, პედაგოგი. იგი ასწავლიდა კემბრიჯში (ინგლისი), შემდგომში ჰარვარდის პროფესორი. მის მიერ

წაკითხულ ლექციათა პურსი სხვადასხვა თემებზე, გამოცემულ იქნა საერთო სათაურით „განათლების მიზნები და სხვა ესეები“ („The Aims of Education and Other Essays“) 1929 წელს. მისი აზრით: „უნივერსიტეტი განათლებისა და კვლევის სკოლაა. მისი აღმოცენების ნამდვილი მიზეზი, დაკავშირებული არაა არც სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემასთან და არც ფაქულტეტებზე სამეცნიერო კვლევების ჩატარებასთან. ამ ორი ამოცანის გადაწყვეტა გაცილებით იაფად და დამოუკიდებლადაც შეიძლებოდა“ [20].

როგორც ზემოთ მოყვანილ ავტორთა ნააზრევიდან ჩანს, უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ინარჩუნებს კავშირს ცოდნასა და ცხოვრების არსს შორის. აერთიანებს სხვადასხვა თაობას სწავლების პროცესში. უნივერსიტეტი გადასცემს თვალსაჩინო ინფორმაციას. ყოველ შემთხვევაში ეს ის ფუნქციაა, რომელიც უნივერსიტეტმა საზოგადოებისათვის უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არსებობის უფლება არ ექნება.

დღეისათვის, უნივერსიტეტად იწოდება მრავალპროფილიანი უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ამზადებს სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციურ საეციალისტებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დრმა თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ სფეროებში.

1960-1970-იან წლებში ბევრ ევროპულ ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემამ სახე იცვალა. ამ პერიოდში აღმოცენებულმა და გავრცელებულმა სისტემებმა ჩაანაცვლა ომამდელ პერიოდში ჩამოყალიბებული უნივერსიტეტები.

ევროპის თანამედროვე უმაღლესი განათლების დახასიათების და აღწერის უამრავი გზა არსებობს. ერთ-ერთი მათგანია, დაახასიათო განსხვავებული სტრუქტურები დირექტულებათა სისტემის მიხედვით. მაგალითად, ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტის (European University Institute) პროფესორი კლაუდიუს გალერტი გამოყოფს ევროპული უნივერსიტეტების ტრადიციების სამ ძირითად მიმართულებას:

- პირველი, ისტორიული იდენტიფიცირება გერმანიასთან, ცოდნის ტაძრის შექმნა და შენარჩუნება უნივერსიტეტის მთავარი მისია; მოხსენიებული უნივერსიტეტი სამეცნიერო დაწესებულებაა.

- მეორე, საფრანგეთში რეალიზებული Grandes écoles<sup>1</sup>, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაღალი დონის დარგობრივი უნარების შეძენაზე ამახვილებენ; აქ უნივერსიტეტი გამოიყერება როგორც **პროფესიული დაწესებულება;**
- მესამე, ანგლო-საქსონური (ან უფრო ზუსტად ოქსფორდის და კემბრიჯის) მოდელი, რომელიც კონცენტრირებულია პროფესიონალიზმის განვითარებაზე; უნივერსიტეტი აქ პირველ რიგში სასწავლო, უფრო ფართოდ **კულტურული დაწესებულება.**

დღეისათვის, უმაღლესი განათლება მოიცავს განსხვავებულ ტრადიციებს, ბევრად უფრო მეტს ვიდრე ეს პროფესორმა გელერტმა აღნიშნა – ტექნიკური და ტექნოლოგიური განათლება, ზრდასრულთა განათლება და ა.შ.

უმაღლესი განათლების დაწესებულებების განსხვავებული ტიპების განხილვა მას შემდეგ დაიწყო, რაც მიმდინარეობს საუბარი უმაღლეს განათლებაზე, როგორც „სექტორზე“ ან (ქვე-) „სისტემაზე“. მეორე მსოფლიო ომამდე, მულტიდისციპლინარული უნივერსიტეტები ევროპის უმეტეს ქვეყნაში, სისტემის მწვერვალის სახით იყვნენ წარმოდგენილნი. მეტიც, მონოდისციპლინარული დაწესებულებები თავდაპირველად მათთან თანასწორუფლებიან პირობებში არც კი განიხილებოდნენ. პირველი ორი თუ სამი დეკადის შემდეგ, ეს განსხვავება თანდათანობით ჩამოირეცხა. სამედიცინო კოლეჯები, ტექნიკური კოლეჯები და ბევრი სხვა კოლეჯი მიღებულ იქნა როგორც უნივერსიტეტთან თანასწორუფლებიანი, ბევრმა - მაგრამ არა ყველამ - ტექნიკური უნივერსიტეტის სახელი დაირქვა და ა.შ.

განსხვავებულმა მცდელობებმა ევროპაში 1960 წლიდან უმაღლესი განათლების მეორადი სექტორი წარმოშვა. შერჩეულ იქნა სხვადასხვა ტერმინი:

- უმაღლესი განათლების „მოკლე წრე“
- „არასაუნივერსიტეტო“ უმაღლესი განათლება
- უმაღლესი განათლების ალტერნატიული სექტორი
- პროფესიული უმაღლესი განათლება

---

<sup>1</sup> Grandes écoles - გრანდზეკოლ - ამგვარი დაწესებულებები ტექნიკური ხასიათის უმაღლესი სასწავლებლებია და პრინციპში უნივერსიტეტის სისტემის გარეთ ირიცხება

- პროფესიონალური უმაღლესი განათლება
- „ახალი“ უმაღლესი განათლების დაწესებულებები ან პროგრამები
- „კოლეჯის სექტორი“
- ნაციონალური ტიპების ჩამონათვალის სექტორი მაგ. „Instituts Universitaires de Technologie“, „Fachhochschulen“ და ა.შ.

თუმცა, კონსენსუსი მეტად მისაღებ ტერმინზე მიღწეული არ იქნა. ისეთ ასოციაციას, როგორიცაა EURASHE<sup>2</sup> (მისი სურვილიც იყო ამ სექტორის წარდგენა და მხარდაჭერა), ტერმინისათვის პროპაგანდა არ გაუწევია. საერთო ტერმინის არარსებობა სიურპრიზი არ ყოფილა, უმეტესობა ამ ტერმინთაგანი სექტორს თავის „დიდ ძმა“, ე.ი. უნივერსიტეტთან დამოკიდებულებაში განსაზღვრავს. უმაღლესი განათლების „ახალ“ სექტორს აღიარების მოპოვება კი უნივერსიტეტის ჩრდილის გარეთაც სურს.

**საფრანგეთში** უნივერსიტეტების რეორგანიზაციამ, 1968 წლის შემდგომ მიმდინარე მოვლენებმა, გამოამჟღავნა უნივერსიტეტთა ცოტა არ იყოს მოძველებული სტრუქტურა. იგი მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ უმნიშვნელოდ იყო შეცვლილი. ხუთი წლით ადრე ბრიტანეთში გაფართოვდა ევროპაში ყველაზე არჩევადი საუნივერსიტეტო სისტემა; სამოციანი წლების ბოლოს, როგორც უმაღლესი განათლების ალტერნატიული ფორმა, დაარსდა პოლიტექნიკური სასწავლებლები. **გერმანიაშიც** მსგავსი მოვლენები განვითარდა. უნივერსიტეტები გაფართოვდნენ და მრავალმიმართულებიანი გახდნენ, გაძლიერდნენ დარგობრივი უმაღლესი სკოლები (Fachhochschuhlen). **შვედეთში**, დეკადით გვიან, უნივერსიტეტთა და კოლეჯთა უნიფიცირებული სისტემა ჩამოყალიბდა. მსგავსი პროცესები ევროპის გარეთაც მიმდინარეობდა. ყველაზე პირველი და აღსანიშნავი კალიფორნიის უმაღლესი განათლების „მთავარი (გენერალური) გეგმა“ („master plan“) განვითარების მკაფიო მაგალითია, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა (Condrone 1988; OECD 1989; Rothblatt 1992).

მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეფორმის პროცესის ორიენტირები ევროპაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა

<sup>2</sup> EURASHE – European Association of Institutions in Higher Education – უმაღლესი განათლების დაწესებულებათა ევროპული ასოციაცია

რაოდენობრივ ზრდაზე იყო მიმართული. რეფორმა ორი მიმართულებით განხორციელდა: პირველი - არსებული უნივერსიტეტების გაფართოება და ახალი უნივერსიტეტების ჩამოყალიბება. ევროპის რექტორთა კონფერენციის (Conference of European Rectors - CRE) წევრ უნივერსიტეტთაგან მესამედზე მეტი 1960 წლის შემდეგ ჩამოყალიბებული უნივერსიტეტია. 1960-1970 წლები შესაძლოა დახასიათდეს, როგორც ევროპული უნივერსიტეტების განვითარების დინამიური საფეხური. მეორე - სხვა ტიპის (არა უნივერსიტეტის) უმაღლეს სასწავლებელთა მოდერნიზაცია და გაფართოება.

რეფორმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა სტრატეგია იქნა შემოთავაზებული. ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესი განათლების ახალი ფორმების ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო უნივერსიტეტთა გაფართოებისა და გარდაქმნის პურსთან. მაგალითად, საფრანგეთში უნივერსიტეტთან არსებული ტექნოლოგიური ინსტიტუტები (IUT - Instituts Universitaires de Technologie) საზოგადოებისათვის დარგობრივი კურსების შეთავაზებაზე იყვნენ ორიენტირებული. თუმცა, როგორც დასახელებიდან ჩანს, ინსტიტუტები ორგანულად დაკავშირებული იყვნენ ტრადიციული უნივერსიტეტების ფაკულტეტებთან. შვედეთში, მეტად რადიკალური მიმართულება იქნა არჩეული. 1977 წლიდან, საექთო და მასწავლებელთა მომზადების კოლეჯები, რომლებიც მანამადე ცალკეული დაწესებულებები იყვნენ, უნივერსიტეტებს შეუერთდნენ.

სხვა ქვეყნებში, ცალსახად ორმაგი - „ბინარული“ მიმართულება ჩამოყალიბდა. საუკეთესო მაგალითი ბრიტანეთია, სადაც პოლიტექნიკური სასწავლებლები უნივერსიტეტების ალტერნატივას წარმოადგენდნენ. ამ ორ სექტორს შორის ინტენსიური კონკურენცია წარმოიშვა, თუმცა ისინი ერთმანეთის შემავსებელ და არა კონკურენტუნარიან სექტორებად განიხილებოდნენ. უნივერსიტეტების უპირატესობა დამტკიცებულ იქნა, მაგრამ მალისხმევა მაინც ტექნიკური უმაღლესი სკოლებისა და მსგავსი დაწესებულებების განვითარებისაკენ იყო მიმართული.

აღსანიშნავია, რომ მოდერნიზაციის განსხვავებული სტრატეგიების მკაცრი გამიჯვნა მართებული არაა. ფორმალურად უნიფიცირებულ სისტემაშიც შეინიშნება ბინარული (Binary) მახასიათებლები. მაგალითად, შვედეთში გაფართოებული

უნივერსიტეტების შერწყმა არსებულ ტრადიციულ ფაკულტეტებსა და ახლახან აღმოცენებულ კოლეჯებს შორის, როგორიცაა ჰველი უპსალა (Uppsala) და ახალი უმეა (Umea). მსგავსად ამისა ბინარული სისტემა სრულად არ შეიძლება იყოს თანმიმდევრული და ლოგიკური. ბრიტანეთში უნივერსიტეტის სექტორის გარეთ, ორმოცდაათიან წლებში ჩამოყალიბდა მაღალი ტექნოლოგიების კოლეჯები. აღნიშნული დაწესებულებები ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებად მხოლოდ აღმოცერნატიული დაწესებულებების („პოლიტექნიკუმების“) წარმოშობის შემდეგ გარდაიქმნენ.

გერმანიაში და ნიდერლანდებში, არაფორმარული ბინარული სისტემა აღმოცენდა არა როგორც უნივერსიტეტებთან კონკურირებადი აღტერნატიული დაწესებულებების წარმოქმნის შედეგი, არამედ როგორც ეტაპობრივად ცვლადი საშუალოსშემდგომი (Post-secondary)<sup>3</sup> განათლების დაწესებულებების განვითარებული სახე. მთავარი ცვლილება დაკავშირებული იყო არა უმაღლესი განათლების, უნივერსიტეტების ტოლდალოვანი დაწესებულებების ჩამოყალიბებასთან, არამედ საშუალოსშემდგომი განათლების გადახალისებასთან [49, 50].

უმაღლესი განათლების სისტემური ორგანიზაციის მოდელები, სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვაგვარად ხასიათდება, შერჩეულია განსხვავებული დასახელებები და კლასიფიკაციის კრიტერიუმები. ჩვენ შევჩერდებით ე.წ. სკოტის<sup>4</sup> ტიპოლოგიაზე. მის მიერ შემოთავაზებულ სისტემების მოდიფიცირებულ ვარიანტს არაერთი ავტორი გვთავაზობს.

პიტერ სკოტის უმაღლესი განათლების სისტემის ორგანიზაციის მოდელები შემდეგნაირია [45]:

- პირველი მოდელი – დუალური სისტემა (Dual system). უნივერსიტეტები და ქავერანაში მოქმედი სხვა ტიპის საშუალოსშემდგომი სასწავლებლები არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ანუ ზუსტად ისე, როგორც მოიაზრებდა ძველი განათლების სისტემა.

<sup>3</sup> საშუალოსშემდგომი საგანმანათლებლო დაწესებულებები – Post-secondary education institutions – საგანმანათლებლო დაწესებულებებითა რგოლი უმაღლეს და საშუალო განათლების დაწესებულებებს შორის

<sup>4</sup> Peter Scott – School of Education, University of Leeds, Leeds, UK

- მეორე მოდელი – ბინარული სისტემა (Binary system). ამ სისტემის პირობებში არსებობს უნივერსიტეტი და ალტერნატიული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც დროისა და საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად შეიძლება შეუერთდეს უნივერსიტეტს ან იყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ცალკე ერთეული. ამ სისტემაში ეს რგოლი შეიძლება განიხილოს, როგორც გარდამავალი შემადგენელი ნაწილი დუალურსა და ბინარულ სისტემას შორის.
- მესამე მოდელი – უნიფიცირებული სისტემა (Unified system). ქვეყანაში არსებული ყველა უმაღლესი სასწავლებელი ეკუთვნის ერთიან სისტემას და ფორმალურად არ დიფერენცირდება. საუკეთესო მაგალითია შვედეთი. 1992 წლიდან ბრიტანეთშიც ჩამოყალიბდა უმაღლესი განათლების უნიფიცირებული სისტემა – ან უფრო ზუსტად, განსხვავებული უნიფიცირებული სისტემები ინგლისსა, უელსსა და შოტლანდიაში.
- მეოთხე მოდელი – სტრატიფიცირებული სისტემა (Stratifies system). ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლები ერთიან სისტემას წარმოადგენენ და კლასიფიცირებული არიან რომელიმე პრიორიტეტებით ნიშნის მიხედვით. კლასიკური შემთხვევის მაგალითია კალიფორნიის „მთავარი გეგმა“. (ამ პრინციპით ქვეყნდება საუკეთესო უნივერსიტეტთა ჩამონათვალი).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული კლასიფიცირებისა, მკაცრი გამიჯვნა ამ ოთხ მოდელს შორის არ შეიძლება გაკეთდეს. განსხვავება პირველ და მეორე მოდელს შორის, როგორც წესი, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში თითქმის გაუგებარია. დუალური სისტემები, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით სტაბილურია, ხოლო ბინარული – შედარებით არასტაბილური. პრაქტიკულად მუდმივად მიმდინარეობს მათი ერთმანეთში გადასვლის პროცესები. ბინარული სისტემის გაძლიერება და განვითარება თავის მხრივ ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. ეს ცხადადაა ასახული პოლანდიისა მაგალითზე და ნაწილობრივ შეესაბამება გერმანიის სისტემას.

იგივე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია საფრანგეთის მაგალითის მოყვანისას, სადაც არასაუნივერსიტეტო სექტორმა მოიპოვა სრულუფლებიანი და კონკურენტუნარიანი სტატუსი. საკმაოდ პრესტიული „ გრანდზეკოლ“ (grandes

écoles), შექმნილი იყო მომავალი „მმართველი კლასის“ აღსაზრდელად. აქ არ არის აუცილებელი უმაღლესი განათლების ტიპის სასწავლებლები ექვემდებარებოდნენ უნივერსიტეტს. უფრო მეტიც, ამ სასწავლებლებს შეუძლიათ არ აღიარონ სხვა სასწავლებლის ბაკალავრის ხარისხი ე.ი. დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ.

ასევე, წმინდად უნიფიცირებული არ არიან არც შვედეთის (1977 წლიდან) და არც ბრიტანეთის (1992 წლიდან) სისტემები. შვედეთში 13 უნივერსიტეტი ცალკეულ პრივილეგირებულ ჯგუფად დარჩა. ისინი უწყვეტად სარგებლობენ პვლევისათვის განკუთვნილი ყველა პრივილეგით. ბრიტანეთშიც მსგავსი სიტუაცია აღინიშნება.

მიუხედავად იმისა, რა სტატუსის მატარებელია უმაღლესი სკოლა, ყველა მათგანში მოქმედებს ერთიანი მიზანი და პრინციპი, კერძოდ, კვლევითი ფონდებით უნდა დაფინანსდეს ის სფეროები, რომლებზეც დიდია საზოგადოების (საბაზო) დაკვეთა.

კალიფორნიის მსგავსი უმაღლესი სკოლების სტრატიფიცირებული სისტემის მაგალითი ევროპაში არ მოიპოვება. თუმცა მისი ელემენტები ბევრ ქვეყანაში გვხვდება. განსხვავება უნივერსიტეტებსა და უნივერსიტეტის ტიპის კოლეჯებს შორის შვედეთში უკვე აღინიშნა. ევროპაში უნივერსიტეტთა უმეტესობას დოქტორანტურის პროგრამების მონოპოლია აქვთ მოპოვებული. თუმცა, არც ერთი მათგანი კალიფორნიის მოდელის სტრატიფიცირებას არ შეეფერება.

ამრიგად, ეს ოთხი მოდელი ერთ-ერთი შესაძლო მაგალითია იმისა, რომ დავახასიათოთ ევროპის რთული უმაღლესი განათლების სისტემა. თუმცა, დამოუკიდებულება ამ ოთხ მოდელს შორის კვლავ ბუნდოვანია. არიან ისინი დამოუკიდებელნი, ერთმანეთის ალტერნატიული ან მიმდევრობითნი, გაურკვეველია. თითოეულ ქვეყანას უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების საკუთარი გზა აქვს.

ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ეტაპები შემდგები სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

### **სისტემა, რომელშიც დომინირებს უნივერსიტეტი (University-dominated system)<sup>5</sup>:**

სისტემა, რომელშიც უნივერსიტეტისაგან განსხვავებული ყველა სხვა დაწესებულება წარმოდგენილია, როგორც საშუალო ან უმეტეს შემთხვევაში ტექნიკური განათლების სექტორი. უნივერსიტეტები და არასრულყოფილი საშუალოსშემდგომი დაწესებულებები განიხილება როგორც ცალკეული სექტორები.

### **დუალური სისტემა (Dual system):**

სისტემა, რომელშიც უნივერსიტეტისაგან განსხვავებული სასწავლო დაწესებულებები აღიარებულია, როგორც საშუალოსშემდგომი განათლების რგოლი და უნივერსიტეტების მხრიდან მათი კოორდინირების საკითხი ოფიციალურადაა მიღებული. ბოლო დროს ისინი განიხილებიან როგორც კონკურირებადი ერთეულები.

### **ბინარული სისტემა (Binary system):**

სისტემა, რომელშიც ვითარდება ორი პარალელური უმაღლესი განათლების რგოლი, ერთი – ტრადიციული უნივერსიტეტები, ხოლო მეორე – „ალტერნატიული“ დაწესებულებები. (ამ ორი ცალკეული რგოლის ურთიერთთანამშრომლობის ტენდენცია მათი დამატებით კონკურენციის სახით არსებობს).

### **უნიფიცირებული სისტემა (Unified system):**

სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ტრადიციულ ასევე სხვა ტიპის უმაღლესი განათლების დაწესებულებებს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაერთიანებისას არა აქვს მნიშვნელობა დაწესებულების რეპუტაციასა და სტატუსს.

### **სტრატიფიცირებული სისტემა (Stratified system)<sup>6</sup>:**

<sup>5</sup> University-dominated system – სისტემა, რომელშიც დომინირებს უნივერსიტეტი აგზორს (პიტერ სკოტი) მის შემდგომი წლის შრომაში [31] მოხსენიებული აქვს როგორც divided system - ცალკეული, დაყოფილი სისტემა.

<sup>6</sup> Stratified system - სტრატიფიცირებული სისტემა ავტორის (პიტერ სკოტი) მომდევმო შრომაში [31] “market system” - „საბაზრო სისტემის“ სახელით, ხოლო სვეინ კიფინის სტატიაში [16] - განვენილის სახელით მოხსენიება

სისტემა, რომელშიც შენარჩუნებულია განსხვავებულ სასწავლებელთა ერთიანი სისტემა, თუმცა განსხვავება ფიქსირდება როგორც შინაგან, ასევე გარეგან მახასიათებლებში (განსხვავება აისახება პოლიტიკური დაკვეთისა ან საბაზო საქმიანობის მიხედვით).

აღნიშნული სქემა არ მიუთითებს თითოეულ ქვეყანაში უმაღლესი განათლების განვითარების ეტაპებს, ასევე არ იგულისხმება, რომ ერთი სისტემა მეორეს გადაფარავს ან აუცილებლად მიმდევრობითი სახისაა.

ქვეყნების მიხედვით უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ეტაპები მოყვანილია შემდეგ სქემაზე.

<b>დუალური</b>	<b>ბინარული</b>	<b>უნიფიცირებული</b>	<b>სტრატიფიცირებული</b>
<b>შვედეთი</b>		<b>1977</b>	
<b>პოლანდია</b>	<b>1992</b>		
<b>გერმანია</b>		(ამჟამადაც გარდაქმნის პროცესშია)	
<b>ბრიტანეთი</b>	<b>1965</b>	<b>1992</b>	
<b>საფრანგეთი</b>	<b>1969?</b>	(არაორდინალური და რთული სისტემა)	<b>?1969</b>
<b>ავსტრალია</b>		<b>1988</b>	
<b>კალიფორნია</b>			<b>1960</b>

აღსანიშნავია, რომ ეტაპების დიფერენციაცია პირობითი ხასიათისაა, მეტადრე ინდივიდუალური დამოკიდებულების საკითხია. რადგან ცალკეული ქვეყნის ერთმნიშვნელოვნად, რომელიმე სისტემაზე მიკუთვნება შეუძლებელია, ავტორთა მიერ გამოთქმულ აზრთა მრავალფეროვნებაში სხვადასხვა შეხედულება იკვეთება.

ვინაიდან, ქვეყნების მიხედვით საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო რგოლის სისტემური განსხვავებების დაფიქსირება ცალსახად შეუძლებელია, გადავწყვიტეთ უმაღლესი განათლების სექტორის თანამედროვე ტენდენციები

თითოეული ქვეყნისათვის ცალ-ცალკე განგვეხილა. დაინტერესებული მკითხველი დეტალურ ინფორმაციას დანართში შეიძლება გაეცნოს.

მაგალითისათვის შესაძლოა მხოლოდ გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემა განვიხილოთ. წყაროებში იგი, როგორც წმინდად ბინარული, დუალური ან მათი კომბინაციის სახელით არის მოხსენიებული.

## **უმაღლესი განათლება გერმანიაში<sup>7</sup>**

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე უმაღლესი განათლების სექტორი, სტრუქტურულად სხვადასხვაგარ მოდელებადაა დაყოფილი. განმარტებათა მრავალფეროვნებაში, გერმანიის მაგალითისათვის ორი - დუალური (Dual system) და ბინარული (Binary system) სისტემის ტიპის გამოყოფაა შესაძლებელი.

**დუალური სისტემა (Dual System)** – სისტემა, რომელშიც სხვადასხვა დაწესებულებები აღიარებულია, როგორც სამუალოსშემდგომი (Postsecondary) სექტორი. გარდა ამისა, დაშვებულია კოორდინაცია უნივერსიტეტებსა და „ახლებურ“ დაწესებულებებს შორის, ასევე განიხილება კატეგორიული დაქვემდებარების საკითხებიც.

**ბინარული სისტემა (Binary system)** – სისტემა, რომელშიც არასაუნივერსიტეტო დაწესებულებები განიხილება, როგორც უმაღლესი განათლების სისტემის ცალკეული ნაწილი. სისტემა დაყოფილია ორ ცალკეულ სექტორად – ტრადიციული უნივერსიტეტები და „ალტერნატიული“ დაწესებულებები.

პრაქტიკაში, განსხვავება დუალურ და ბინარულ სისტემას შორის ხშირად გაუგებარია. არსებობს დუალური სისტემისათვის სტაბილური ტენდენცია, რომელშიც დაწესებულებების განსხვავებული ტიპები მოიპოვებენ ცალკეულ და ზოგადად დამატებით როლს, რათა განვითარდეს შედარებით არასტაბილური ბინარული სისტემა. ბინარული სისტემის გაძლიერება და განვითარება თავის მხრივ ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.

<sup>7</sup> წარმოდგენილი მასალა ეყრდნობა უმაღლესი განათლების პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრის (CHEPS - Center for Higher Education Policy Studies) ყოველწლიურ სახელმწიფო ანგარიშს [26].

დღეისათვის გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემა წარმოდგენილია ტრადიციული საუნივერსიტეტო სექტორისა და უმაღლესი განათლების დაწესებულებათა შედარებით ახალი სექტორისაგან. „ახალი სექტორი“ სხვადასხვაგარად, „არასაუნივერსიტეტო სექტორის“ ან ე.წ. „ახალი ტიპის უნივერსიტეტების“ სახელით მოიხსენიება.

გერმანიის არსებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები სამი ტიპის უნივერსიტეტებად შეიძლება დავყოთ:

**პირველი ტიპი** – კლასიკური „უმკელესი“ უნივერსიტეტები, რომელთა ისტორიული ფესვები შეა საუკუნეებიდან იწყება. გერმანიის უმკელესი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი (1386წ), ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის მიერ დაარსებული ბერლინის უნივერსიტეტი (1810წ), უნივერსიტეტი ფრაიბურგში, ტიუბინგენში და სხვა.

**მეორე ტიპი** – უნივერსიტეტები, რომლებმაც თავიანთი სტატუსი ტექნიკური და სხვა დარგობრივი სასწავლებლების უნივერსიტეტებას გარდქმნით მოიპოვეს. მაგალითად ჰანოვერის, უმაღლესმა ტექნიკურმა სკოლამ 1968 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო, ხოლო შემდგომ 1978 წელს უნივერსიტეტად გარდაიქმნა. ამ ჯგუფს ტექნიკური უნივერსიტეტები (Technische Universitaeten) და მათთან გათანაბრებული ტექნიკური უმაღლესი სკოლები (Technische Hochschulen) მიეკუთვნება (აახენი, დარმშტადტი). საზღვარი ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უბრალოდ უნივერსიტეტს შორის ხშირად პირობითია. უნივერსიტეტში ტექნიკური ფაკულტეტია და ტექნიკურ უნივერსიტეტში ჰუმანიტარული განყოფილება არსებობს.

**მესამე ტიპი** – უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში, გერმანიაში უმაღლესი განათლებისაკენ მისწრაფების პიკზე წარმოიშვენ (უნივერსიტეტები რურში, ბოხუმში). მომზადების მიმართულებათა მრავალფეროვნებაში არც ერთ მათგანს, არ შეუძლიათ კლასიკურ უნივერსიტეტებთან კონკურირება. სამაგიუროდ აქ კვლევის თანამედროვე მეთოდთა დანერგვის ექსპერიმენტები ტარდება უხვად.

ამგვარი ფორმულირების გარდა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პატეგორიებად დაყოფის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. თუმცა ყველაზე ხშირად შემდეგ ტიპებს განასხვავებენ:

- უმაღლესი პროფესიული სასწავლებლები (Fachhochschule) ადმინისტრაციულ-პროფესიული (Verwaltungsfachhochschule) სასწავლებლების ჩათვლით.
- უნივერსიტეტები, ტექნიკური უნივერსიტეტები, უნივერსიტეტი-ერთობლივი უმაღლესი სასწავლებლები (Universitaeten-Gesamthochschulen), პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლები, თეოლოგიური უმაღლესი სკოლები.
- ხელოვნების უმაღლესი სასწავლებელი და სამუსიკო უმაღლესი სასწავლებები.

აღნიშნული ტიპების გარდა, არსებობს სპეციალური უმაღლესი განათლების დაწესებულებები, რომლებიც მხოლოდ გარკვეული ჯგუფების მიერაა აღიარებული (მაგალითად ფედერალური შეიარაღებული ძალების უმაღლესი განათლების დაწესებულებები). ასევე, ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებზე (მიწებზე) ორგანიზებული პროფესიული აკადემიები (Berufsakademien) ტერტიარული სექტორის (tertiary sector)<sup>8</sup> ოფიციალური ნაწილია. დაწესებულებათა უდიდესი ნაწილი სახელმწიფო სექტორს მიუკუთვნება, ასევე არსებობს „კერძო“ დაწესებულებებიც. ამ შემთხვევაში კერძო არ უნდა იქნას აღქმული სიტყვა-სიტყვით, ამ დაწესებულებებისათვის არსებობს იგივენაირი მოთხოვნები რაც სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. ამ თვალსაზრისით, ტერმინი „სახელმწიფოს მიერ აღიარებული“ (80 დაწესებულება) უფრო მეტად შესაფერისია.

2002 წლისათვის უმაღლესი განათლების სულ არსებული 345 დაწესებულების გარდა, არსებობს 70-მდე „რეალურად“ კერძო დაწესებულება. როგორც წესი, პატარა და კონკრეტული დისციპლინებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში დაახლოებით 20 000 სტუდენტი ირიცხება.

<sup>8</sup> tertiary - მესამეული, მიკუთვნებული მესამე რანგს, სექტორს, კლასს; tertiary education - ოფიციალური, არასავალდებულო განათლებაა, რომელიც საშუალო განათლებას შემდგომი საფეხურია

## **უმაღლესი პროფესიული სასწავლებლები**

### **სტუდენტურა**

უმაღლესი პროფესიული სასწავლებლები (Fachhochschulen) გერმანიში, როგორც უმაღლესი განათლების სისტემის ახალი ტიპი, 1970 წლიდან დაარსდა. უმაღლეს პროფესიულ სასწავლებლებში სწავლება მკაცრად მიმართულია პროფესიული საქმიანობის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. როგორც წესი უმაღლესი პროფესიული სასწავლებებში პროფესიათა ლიმიტირებული რაოდენობა ისწავლება. სწავლებასთან ერთად უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებში დამატებით, გამოყენებითი კვლევა და დასკვნების გამოტანა მოითხოვება. 1992 წლიდან, მნიშვნელოვანი გახდა პროგრამა „გამოყენებითი კვლევა და განვითარება უმაღლეს პროფესიულ სასწავლებლებში“ (Applied Research and Development at Fachhochschulen). ეს პროგრამა, დამოუკიდებელი დაწესებულების გამოყენებითი კვლევის და პროექტების დასაფინანსებლად იქნა შექმნილი. უმაღლესი პროფესიული სასწავლებლების ამოცანა ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადაცემის რეგიონალურ როლთანაცაა დაკავშირებული.

უმაღლესი განათლების დაწესებულებები განსაკუთრებულ ყურადღებას რაოდენონებრივ საკითხებს აქცვენ: სტუდენტების რაოდენობას, სასწავლო პურსების რაოდენობას. ზოგიერთ უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელს სპეციფიური რეგიონალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, სპეციალიზაციათა ცალკეული ჩამონათვალი აქვთ. დაწესებულებებს შორის დიდი განსხვავება ასევე მიწების მიხედვითაც აღინიშნება. დღეისათვის, უმაღლესი განათლების სტუდენტთა თითქმის 25% უმაღლესი პროფესიული სასწავლებლების პროგრამებშია ჩაწერილი. უმაღლესი პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა 90-იან წლებში შედარებით გაიზარდა. 2002 წელს სახელმწიფოსა და სამეცნიერო საბჭოს (Wissenschaftsrat) მიზნებიდან გამომდინარე კი მცირედ დაიკლო.

უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელთა გარკვეული რაოდენობა (31) სახელმწიფო აღმინისტრების საქმეში (Verwaltungsfachhochschulen) სპეციალურ როლს თამაშობს. აღნიშნული სასწავლებლები სახელმწიფო მოხელეებს კ.წ. მაღალი დონის სახელმწიფო საქმიანობისათვის ამზადებენ. ისინი სხვადასხვა

ფედერალური და მიწების სამინისტროების მიერ ფინანსდებიან. მიღება მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებისთვისაა დაშვებული.

არსებობს მიმართულებათა ჩამონათვალი, რომლებიც უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებში, საერთო ჯამში 50 სასწავლო კურსით შემოიფარგლება:

1. ინჟინერია
2. ეკონომიკა
3. ადმინისტრირება და სამართლის ადმინისტრირება
4. სოციალური საქმიანობა
5. ჯანმრთელობა და თერაპია
6. რელიგიური განათლება
7. მათემატიკა
8. კომპიუტერული მეცნიერებები
9. ინფორმაციისა და კომუნიკაციის სწავლება
10. დიეტური და საოჯახო მეცნიერებები
11. ხელოვნება, დიზაინი და რესტავრაცია

ამ კურსების გარდა, რომლებიც როგორც, წესი ხარისხის პირველ დონეზე (first degree) ტარდება, არსებობს შემდგომი სწავლების (further study), დამატებითი და დამამთავრებელი კურსები (postgraduale Studiengaenge). აღნიშნული კურსები შედიან პირველი ხარისხების შემადგენლობაში და ავითარებენ პროფესიულ უნარებს, აძლიერებენ და ამაღლებენ სპეციალიზაციის დონეს ან სწავლების სხვა კურსების პარალელურად ტარდებიან. უწყვეტი განათლებისაგან განსხვავებით, ამ ფორმალურ ხარისხის შემდგომ კურსებს (formal postgraduate courses), როგორც წესი, პირველი სასწავლო წლის შემდეგ მიმდევრობით ან პარალელურად ირჩევენ. იგი უმაღლესი განათლების ხარისხის მოპოვებას უწყობს ხელს.

უმაღლესი პროფესიული სასწავლებლების დაახლოებით ერთი მესამედი, ინტერნაციონალური ხარისხის პროგრამებს (International degree Programmes) სთავაზობს სტუდენტებს. ამგვარი პროგრამების გარკვეული ნაწილი სახდგარგარეთის დაწესებულებასა თუ კომპანიებში მიმდინარეობს. ზოგიერთი ასეთი პროგრამა, უმაღლესი სკოლის რექტორების კონფერენციის (HRK) და

გერმანული აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით  
მიმდინარეობს.

### **პროგრამების შინაარსი**

გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლების და გამოცდების პროცესის ორგანიზების სახელმწიფო წესი, უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებზეც ვრცელდება. სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური სწავლების, ასევე აკადემიური ხარისხების შესატყვისი სტანდარტების უზრუნველსაყოფის მიზნით, ადმინისტრაციული მიწების განათლებისა და კულტურის მინისტრების რეგულარული კონფერენციის მიერ, უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებისათვის გამოქვეყნებული იყო დადგენილება „ზოგადი დადგენილებები სადიპლომო გამოცდების რეგულირებისათვის - უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებში“ (*Allgemeine Bestimmungen für Diplomprüfungsordnungen - FH*). ეს დადგენილებები გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული საგნის შინაარსის რეგულირების დროს.

### **პროგრამის სტრუქტურა**

თითოეული პროგრამა დაყოფილია საბაზისო (Grundstudium) და ძირითად (Hauptstudium) სექტორად. საბაზო საფეხური (Grundstudium) სწავლის პერიოდი ოთხ სემესტრამდეა. იგი საშუალო დონის დიპლომის გამოცდით სრულდება (Diplomvorprüfung). ძირითადი საფეხური (Hauptstudium) სწავლების სექტორის ხანგრძლივობა, როგორც წესი, 9 სემესტრიანია და დიპლომის გამოცდით (Diplomprüfung) სრულდება. სემესტრები მარტიდან აგვისტომდე და სექტემბრიდან თებერვლამდე მიმდინარეობს. სემესტრი, როგორც წესი 19 კვირა გრძელდება, სასწავლო საათების უმეტესობა ლექციებზე იხარჯება. საგამოცდო რეგულირება საგნების მიხედვით ხდება. დადგენილებები გამოცდების შესახებ უმაღლესი პროფესიული სასწავლებლების მიერ იწერება და აღიარებისათვის გადაეცემა ადმინისტრაციული მიწის მეცნიერებათა სამისისტროს.

1998 წელს უმაღლესი სკოლის ჩარჩო კანონმა (Hochschulrahmengesetz HRG), დაწესებულებებს, არსებული სადიპლომო პროგრამების გვერდით საბაკალავრო და

სამაგისტრო პროგრამების დანერგვა მოთხოვა. ბაკალავრის პროგრამები სამ ან ოთხ წელს შეიძლება გრძელდებოდეს, მაგისტრის პროგრამები კი შემდგომ ერთ ან ორ წელს. იმ შემთხვევაში თუ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ერთმანეთის გამგრძელებელ ბლოკად იქნა ჩამოყალიბებული, სწავლის მაქსიმალური ხანგრძლივობა ხუთი წლით დამტკიცდება. დღეისათვის, მიმდევრობით მოდელზე სრულად პროგრამათა ნაწილია გადასული. არსებობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების საკმარისი რაოდენობა..

### **კურსის დიზაინი**

სასწავლო კურსის დიზაინი და სწავლების დაგეგმვა უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებში მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულ მოთხოვნებსა და პროფესიულ საჭიროებებზე. პრაქტიკის სემესტრების (Praxissemester) განმავლობაში, დაწესებულების გარეთ, პრაქტიკული გამოცდილების შეძენა ცხოვრებისეული მომავალია. უმაღლეს პროფესიულ სასწავლებლებში სასწავლო პერსონალი და საგნობრივი კურსები გამოყენებით მეცნიერებებსა და განვითარებად პროექტებზე მუშაობენ, რაც ამგვარი დაწესებულებების მახასიათებელია.

### **დუალური სისტემა**

უკანასკნელ წლებში, უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებმა დარგობრივი აკადემიების (Berufsakademien) მსგავსი ადაპტაცია გაიარეს, განსაკუთრებით ინჟინერიისა და ბიზნესის მენეჯმენტის მიმართულებით. წარმოდგენილი კურსები, დუალური სისტემის (Duales system) მიმართულების შესაბამისად, აკადემიურ სწავლებას სამუშაოზე მიღებულ (on-the-job training) გამოცდილებასა თუ დასაქმებასთან აკავშირებენ. ეს კურსები „სწავლებისა და პრაქტიკის კომბინაციის კურსების“ (Studiengaenge im Praxisverbund) სახელწოდებითაა ცნობილი ან „კოოპერატიული სწავლების კურსების“ (Kooperative studiengaenge) სახელით მოიხსენიება. სტუდენტებს უტარდებათ ტრეინინგები ან უფორმდებათ დამქირავებლის კონტრაქტი. სწავლების პერიოდი და სამუშაო გამოცდილება განსხვავებული მოდელის (თეორია და პრაქტიკა პარალელურად ე.წ. sandwich ან

მიმდევრობითი მოდელი - Consecutive model) ან სასწავლო რეგულირების მიხედვით ნაწილდება. დიპლომის ხარისხი (Diplomgrad), რომელშიც მითითებულია სიტყვა „Fachhochschuhle“, სტუდენტებს პროგრამის დასრულების შემდეგ მიენიჭებათ.

### **მიღება**

უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებში ჩასარიცხად საჭიროა მოწმობა, როგორიცაა, ერთის მხრივ, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები ზოგადი კვალიფიკაცია (Allgemeine Hochschulreife), ან უმაღლეს სასწავლებელში მისაღები კვალიფიკაცია დარგების მიხედვით (Fachgebundene Hochschulreife), ან მეორეს მხრივ, დარგობრივ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები კვალიფიკაცია (Fachhochschulreife), რომლის მოპოვებაც, დარგობრივი საშუალო სკოლის მაღალ კლასებში (Fachoberschule) შეიძლება. როგორც წესი, ვისაც აქვს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები კვალიფიკაცია (Hochschulreife), მან აუცილებლად უნდა გაიაროს პრაქტიკული ტრეინინგი ან პრაქტიკული ინტერნატურა. თუმცა, კვალიფიკაცია უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებისათვის ასევე შეიძლება მოპოვებული იქნას დამატებითი კლასების გავლით დარგობრივ სკოლებში. მაგალითად, Berufsfachschulen ან Fachschulen-ში. დამატებით, გარკვეულ კურსზე ჩასარიცხად აუცილებლობით მოითხოვება მანამადე მიღებული პრაქტიკული გამოცდილება. გარკვეულ კურსებზე (მაგ. დიზაინი) ჩასარიცხად, უმაღლესი განათლების მისაღები კვალიფიკაციის გარდა, მოითხოვება ხელოვნებისადმი მიღრეკილების დამადასტურებელი საბუთები. დღეისათვის უმაღლესი პროფესიული სასწავლებლების აბიტურიენტებს აქვთ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები ზოგადი კვალიფიკაცია, რომლის საშუალებითაც მათ უნივერსიტეტშიც შეუძლიათ ჩაბარება. შედარებისათვის 1975 წელს ამგვარი კვალიფიკაციის მფლობელი სტუდენტების მხოლოდ 20% აბარებდა უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში.

თითქმის ყველა ადმინისტრაციულ მიწაზე არსებობს ალტერნატიული გზა იმ აბიტურიენტებისათვის, რომელთაც გააჩნიათ დარგობრივი კვალიფიკაცია, მაგრამ არ აქვთ უმაღლესი განათლების მისაღები კვალიფიკაცია. აბიტურიენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას გააჩნია უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო ცოდნა და უნარები. გაიაროს მისაღები პროცედურები (მაგ. სწავლების გარკვეული

პერიოდით ჩაირიცხოს პირობითად) ან ჩააბაროს მისაღები გამოცდები უმაღლეს პროფესიულ სასწავლებლებში (მაგ. შეფასების ან ვარგისიანობის ტესტი, ინტერვიუ). აბიტურიენტების წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორც წესი, დებენ უფლებას ჩაირიცხონ უმაღლესი განათლების სწავლების სპეციფიურ კურსზე.

უცხოელი აბიტურიენტებისათვის (აპლიკანტებისთვის) დამატებით ზოგიერთი წესის დაკმაყოფილებაა საჭირო. ისინი ასევე ირიცხებიან უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში, თუკი გააჩნიათ ექვივალენტური უცხოური ხარისხი და შეუძლიათ დააკმაყოფილონ გერმანული ენის გარკვეული ცოდნის დონე.

თითქმის ყველა უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში, სტუდენტთა დიდი რაოდენობის გამო, შეზღუდულია საგნებზე ჩაწერა. საგნებზე მისაღებ ადგილთა რაოდენობა უმაღლესი პროფესიული სასწავლებელების მიერ განისაზღვრება, როგორც წესი, საშუალო ნიშანთა და ლოდინის პერიოდის მიხედვით.

### **გამოცდები და ხარისხები უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში (Fachschulen)**

სწავლების სტანდარტული პერიოდი (Regelstudienzeit) თითოეული გურსისათვის საგამოცდო ინსტრუქციებით (Pruefungsordnung) ფიქსირდება. ინსტრუქციების შინაარსი დამოკიდებულია სასწავლო კურსსა და იმ დროისათვის ჩასაბარებელ გამოცდებზე. ცხრა სემესტრიდან, ერთი ან ორი პრაქტიკული სემესტერი (Praxissemester) თითქმის ყველა სპეციალობაზე საგალდებულოა. საშუალოდ, სტუდენტები სწავლების დასამთავრებლად დამატებით ერთ ან ორ სემესტრს იღებენ.

უმაღლესი პროფესიული სასწავლებლები ხარისხის შესაბამის დიპლომებს დასრულებული სასწავლო კურსების მიხედვით ანიჭებენ. ხარისხი აღნიშნავს სპეციალობას და იმას, რომ იგი გაცემულია უმაღლესი პროფესიული სასწავლებლის (Fachschulen) მიერ: მაგალითად ინჟინერის დიპლომი - დარგობრივი უმაღლესი სასწავლებელი (Diplomingineur (Fachhochschule)), აბრივიატურა Dipl. Ing. (FH). ზოგიერთ უმაღლესი პროფესიულ სასწავლებელს აქვს შეთანხმება უცხოურ უნივერსიტეტთან ან სხვა უმაღლესი სკოლის დაწესებულებასთან. შეთანხმების თანახმად სტუდენტი იღებს უცხოური ხარისხს გერმანულ დიპლომთან ერთად.

შემდგომი სწავლება (Further study), დამატებით და შემავსებელ კურსებს (Postgraduale Studiengaenge) სთავაზობს სტუდენტებს. იგი ძირითადად ბოლო სამი სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს და მეორე დიპლომის ხარისხით (Second Diplom degree) ან აკადემიურ მიღწევის დამადასტურებელი სერტიფიკატით სრულდება. დოქტორის ხარისხის მოპოვება უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში შეუძლებელია, ეს ხარისხი, მხოლოდ ხარისხის მინიჭების უფლების (Doktorgrad) მფლობელი უნივერსიტეტების ან მათი ექვივალენტური უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაიცემა.

## უნივერსიტეტები<sup>9</sup>

### სტრუქტურა

გერმანიაში ტრადიციული უნივერსიტეტების გვერდით, უნივერსიტეტის სტატუსით საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროფილის სპეციალიზირებული ტექნიკური უნივერსიტეტებიც (Technische Hochschulen ან Technische Universitaeten) სარგებლობენ. 1970 წლის შემდეგ შექმნილი ერთობლივი უნივერსიტეტები (Gesamthochschulen) შეიძლება მივაკუთვნოთ უნივერსიტეტების სპეციალურ ტიპებს, თუმცა მათი პოპულარობა გარკვეულწილად დაბალია. ამ ტიპის შვიდი უნივერსიტეტი - ერთობლივი უმაღლესი სკოლა (Universitaet-Gesamthochschulen) დარჩენილია მხოლოდ პესენის და ნორდრაინ-ვესტფალიის მიწებზე. ისინი სასწავლო აკადემიურ, უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებს და ე.წ. ინტეგრირებულ კურსებსაც ატარებენ. კვალიფიკაციებს სამი ან ოთხი წლის შემდეგ, უნივერსიტეტის სტატუსის ექვივალენტურ სტატუსს ანიჭებენ. ისეთი დაწესებულებები როგორიცაა, თეოლოგიური უმაღლესი სკოლები (Theologische Hochschulen) და პედაგოგიური უმაღლესი სკოლები (Paedagogische Hochschulen), კურსების შედარებით შეზღუდული რაოდენობა ისწავლება.

უკელა ამ დაწესებულებას კანონმდებლობით აქვს ტრადიციული უფლება მომხმარებელს შესთავაზონ დოქტორანტურა (Doctorgrad) და დოქტორანტურის შემდგომი სწავლების კვალიფიკაცია (Habilitation).

<sup>9</sup> ამ სექტორში მოქცეულია, ცალკე განსახილვები ინფორმაცია ხელოვნებისა და მუსიკის კოლეჯების სექტორის შესახებ.

უმაღლესი სკოლის ჩარჩო პირობების გათვალისწინებით (Hochschulrahmengesetz), უნივერსიტეტი სტუდენტებს გარკვეული პროფესიული სფეროსათვის ამზადებს, აძლევს მათ პროფილის შესაბამის განსაკუთრებულ ცოდნას, უვითარებს უნარებს ისე, რომ წარმართონ მეცნიერული ან შემოქმედებითი საქმიანობა.

### **უნივერსიტეტების სასწავლო მიმართულებები**

უნივერსიტეტები, როგორც წესი, საგანთა ფართო არჩევანს სთავაზობენ სტუდენტებს. საგანთა რაოდენობა ვარირებს დაწესებულებათა შორის, ერთად მათი რაოდენობა 330-ს შეადგენს და 6800 განსხვავებული ხარისხის კურსს ითვლის. ყველაზე გავრცელებული მიმართულებებია:

- ენა და ჰუმანიტარული მეცნიერებები, სპორტი
- იურისპრუდენცია, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები
- მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- მედიცინა
- აგრონომია, მეტყველება, დიეტური(კვებასთან დაკავშირებული) მეცნიერებები
- საინჟინრო მეცნიერებები

გარდა ამისა, ხელოვნების და სამუსიკო პროფილით, გერმანიაში არსებობს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, რომელთაც კოლეჯები ჰქვიათ.

### **ხელოვნებისა და სამუსიკო კოლეჯების სასწავლო მიმართულებები**

ხელოვნების კოლეჯები სტუდენტებს სთავაზობენ კურსებს ვიზუალურ, დიზაინისა და შემოქმედებით ხელოვნებაში. სამუსიკო კოლეჯები სხვადასხვა საგნებს, ზოგჯერ თეორიულ დისციპლინებთან კომბინაციის სახითაც ასწავლიან (შემოქმედებითი ხელოვნება და ხელოვნების ისტორია, მუსიკათმცოდნეობა, მუსიკის სწავლების ისტორია, და ბოლო წლებში გავრცელებული მედიის ახალი სფეროები). ზოგიერთი კოლეჯი ხელოვნების საგანთა სრულ სპექტრს ასწავლის, ზოგიერთი კი გარკვეულ მიმართულებს სთავაზობს სტუდენტებს.

## გამოცდები და ხარისხები უნივერსიტეტებში

სტანდარტული სწავლების პერიოდი (Regelstudienzeit) გამოცდების ინსტრუქციების საფუძველზე (Pruefungsordnungen) თითოეული სასწავლო პროგრამისათვის ინდივიდუალურად ფიქსირდება. კურსის სწავლების ხანგრძლოვობის (და გამოცდების ჩაბარების) პერიოდი შესაბამისი ინსტრუქციით განისაზღვრება. უმეტესობა კურსებისა ოთხნახევარი წელი გრძლელდება, ზოგიერთი უფრო მეტხანს (მაგ. მედიცინის სწავლება გრძელდება ექვსი წელი და სამი თვე). საშუალოდ, მიუხედავად ამისა, ყველა სტუდენტი სწავლის დასასრულებლად დამატებით ერთ ან ორ წელს იღებს.

აკადემიურ ხარისხების მოსაპოვებლად, სტუდენტები აბარებენ აკადემიურ, სახელმწიფო და საეკლესიო გამოცდებს. როგორც წესი, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება გამოცდების ჩაბარების საფუძველზე ხდება. უმაღლესი განათლების დაწესებულებებს კანონიერი უფლება აქვთ თავად ჩატარონ გამოცდები (Hochschulpruefungen). აკადემიური ხარისხი მიენიჭებათ შემდეგი ორი ტიპის აკადემიური გამოცდის საფუძველზე ხდება:

- სადიპლომო გამოცდა (Diplompruefung) (რომელიც ანიჭებს დიპლომის ხარისხს (Diplomgrad) და წოდებას, მაგ. ფსიქოლოგის დიპლომი)
- სამაგისტრო გამოცდა (Magisterpruefung) (რომელიც ანიჭებს მაგისტრის ხარისხს (Magistergrad) და წოდებას, მაგალითად, Magister Artium - MA).

სასწავლო კურსები, რომლებიც სრულდება დიპლომით (Diploma) შემოიფარგლება მხოლოდ ერთი სფეროთი, ხოლო ის კურსები, რომლებიც მაგისტრის ხარისხით სრულდება, მოიცავს სპეციალობათა კომბინაციას, როგორც წესი, ერთ ძირითად (Major) და ორ მეორეხარისხოვან (Minor) სფეროებს, ან ორ თანასწორუფლებიან Major სფეროს.

1998 წლის უმაღლესი სკოლის ჩარჩო კანონი (HRG), უკვე არსებული Diplom და Magister პროგრამების პარალელურად, სთავაზობს უნივერსიტეტებს წარმოადგინონ საბაკალავრო და სამაგისტრო (MASTER) პროგრამები. ბაკალავრო პროგრამები შეიძლება იყოს სამ ან ოთხ წლიანი, სამაგისტრო პროგრამები სწავლების ერთი ან ორი წელი. იმ შემთხვევაში თუ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ერთმანეთის თანმიმდევრულ ბლოკად იქნა ჩამოყალიბებული, სწავლის

მაქსიმალური ხანგრძლივობა ხუთ წელს შეადგენს. არსებობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დიდი რაოდენობა (განსაკუთრებით მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ბაკალავრიატის დონეზე, და საინჟინრო პოგრამები სამაგისტრო დონეზე). უმაღლესი სკოლის რექტორთა კონფერენციაზე (Hochschulrektorenkonferenz) „უმაღლესი სკოლის კომპასმა“ (Hochschulkompass) აღრიცხა თითქმის ათასი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა (55). თუმცა ამ პროგრამებზე მსურველთა რაოდენობა შედარებით მწირია. გერმანიის უმაღლესი განათლების კურსთა მხოლოდ 10% მიმდინარეობს ინგლისურად. (Klemperer et al., 2002).

გერმანიის კანონმდებლობით, სახელმწიფო გამოცდებით (Staatprüfung) აუცილებლობით უნდა სრულდებოდეს საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პროფესიის მიმნიჭებელი კურსები. ასეთებია მედიცინა, სტომატოლოგია, გეტერინარული მედიცინა, ფარმაცია, კვების ქიმია, იურისპრუდენცია და განათლება. სახელმწიფო გამოცდის ჩატარების სტანდარტი შეესაბამება აპარატურულ გამოცდებს. აქედან გამომდინარე, განსხვავება სახელმწიფო და აკადემიურ გამოცდებს შორის პრინციპში ფორმალური ხასიათისაა. სახელმწიფო გამოცდების ჩატარების შემდეგ, სახელმწიფო გამომცდელები, უნივერსიტეტის პროფესორებთან შეთანხმებით, გამოცდების შედეგებს აქტის სახით წარმოადგენენ. საუკლესიო გამოცდები ტარდება თეოლოგიური სფეროს გათვალისწინებით და ზუსტად ასახავს სახელმწიფო გამოცდების ხარისხს.

მომავალი იურისტები და მასწავლებლები, პირველი სახელმწიფო გამოცდის შემდეგ, გადიან ტრეინინგს ე.წ. მოსამზადებელ სერვისს (Vorbereitungsdienst), რომელიც სრულდება შემდგომი სახელმწიფო გამოცდით. კურსდამთავრებულს მხოლოდ მეორე სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ეძლევა პროფესიულ სფეროში პრაქტიკის გავლის უფლება.

### **გამოცდები და ხარისხები ხელოვნებისა და მუსიკალურ კოლეჯებში**

ხელოვანის კვალიფიკაცია გერმანიაში ენიჭებათ პირველი ხარისხის კურსის (Diplom) დამთავრებისას. ხელოვნების ტრეინინგებთან ერთად, ხელოვნების კოლეჯები ატარებენ ისეთი ტიპის სასწავლო კურსებსაც, რომელიც სტუდენტებს

სახელმწიფო გამოცდების ჩატარების (Staatpruefung) და შემდგომი მოსამზადებელი სერვისის (Vorbereitungsdienst) გავლისას სკოლებში ხელოვნებისა ან მუსიკის სწავლების უფლებას აძლევს. სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, დამატებითი და მომდევნო კურსების (postgraduale Studiengaenge) გავლის შემდეგ სტუდენტებს მიენიჭებათ ხელოვნების სკოლის სტუდენტის (Meisterschueler) წოდება, ხელოვანის პრალიფიკაციის დამადასტულებელი მოწმობა (Kuenstlerische Reifeprüfung), საკონცერტო გამოცდის დამადასტურებელი მოწმობა (Konzerterxamen) ან შემდგომი ხარისხის დიპლომი (Diplom). საბოლოოდ, უმაღლესი განათლების პირველი პრალიფიკაციის მოპოვების შემდეგ, პროფესიულ საქმიანობაში ჩაბმამდე, სტუდენტებს ასევე დოქტორანტურის გავლა შეუძლიათ.

ხელოვნებისა და მუსიკის კოლეჯებმა (ისევე როგორც თეოლოგიურმა უმაღლესმა სკოლებმა (Theologische Hochschulen) და პედაგოგიურმა უმაღლესმა სკოლებმა (Paedagogische Hochschulen)) გადაწყვიტეს არ წარმოადგინონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. ხელოვნებისა და მუსიკის კოლეჯებმა მაგისტრის დონის გამოყოფა მათ სფეროში აზრს მოკლებულად ჩათვალეს. თეოლოგიური სასწავლებლები დიდად არიან დამოკიდებული კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალზე (მაგ. ეკლესიები, სკოლები). ამ სასწავლებლებს ჯერ არ აქვთ დანერგილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, მაგრამ დიდი წნევის გამო იძულებულნი იქნებიან გადავიდნენ სწავლების ამ მოდელზე. (Klemperer et al., 2002).

## **კურსების შინაარსი უნივერსიტეტებში**

სასწავლო კურსთა სტრუქტურა და შინაარსი განსაზღვრულია სასწავლო ინსტრუქციებით (Studienordnungen) და საგამოცდო წესებით (Pruefungsoednungen). ინსტრუქციებში აღწერილია კონკრეტულ კლასებში საათობრივი დატვირთვის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის (საბაზისო - Grundstudium და მირითადი - Hauptstudium) სასწავლო კურსის წარმატებით დასრულებისათვის, მითითებულია რომელი საგანია სავალდებულო, არჩევითი და არასავალდებულო. სასწავლო დებულებაში ასევე აღნიშნულია სერთიფიკატის ფორმა, რომელიც მიენიჭებათ სპეციალური კლასების გავლისას. ამგვარი დებულებების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები სრულად ფლობენ.

აღნიშნული პროცედურა თითოეული დეპარტამენტის კურიკულუმის დაგეგმვის ერთ-ერთი საბაზისო საფუძველია.

საგამოცდო წესებითა თუ ინსტრუქციებით (Pruefungsoednungen), ასევე დადგენილია სწავლების სტანდარტული პერიოდი (Regelstudienzeit), მისაღები მოთხოვნები, გამოცდებზე მისანიჭებელი პრედიტების რაოდენობა, დისერტაციის დასასრულებლად დაშვებული პერიოდი, საგამოცდო სტანდარტებს, პროცედურები და საგნები.

გერმანიაში, სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის (მიწების) განათლებისა და კულტურის საქმეთა სამინისტროების რეგულარულმა კონფერენციამ და უმაღლესი განათლების დაწესებულებების რექტორებისა და პრეზიდენტების კონფერენციამ (Hochschulrektorenkonferenz), სასწავლო დაწესებულებებში საგამოცდო ინსტრუქციათა რეგულაციის მიზნით, „შეადგინა „სასწავლო და საგამოცდო ინსტრუქციების მარეგულირებელი ერთობლივი კომისია“ (“Joint Commission for the Coordination of Study and Examination Regulations”), რომელმაც შეიმუშავა ძირითადი დადგენილებები გამოცდებისა და სტრუქტურის ტიპის შესახებ თითოეული სასწავლო კურსის (Magister, Diplom) დონეზე.

### **აკადემიური წელი საუნივერსიტეტო სემინარში**

აკადემიური წელი ორ სემესტრადაა დაყოფილი, ზაფხულის სემესტრი მიმდინარეობს აპრილიდან აგვისტომდე, ზამთრის სემესტრი ოქტომბრიდან მარტამდე. ხუთოვიან პერიოდებში სტუდენტებს აქვთ დრო ინდივიდუალური მეცადინეობისათვის, პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების მიღებისა და გამოცდების მომზადებისათვის.

### **უნივერსიტეტებში სემესტრის განმავლობაში კვირეული სააუდიტორო საათები**

უმაღლესი დაწესებულებების მიერ შეთავაზებული ყველა კურსი ექვივალენტურ კვალიფიკაციებით (Diplom, Magister, Staatpruefung) სრულდება. კვალიფიკაციები განსაზღვრულია „სასწავლო და საგამოცდო ინსტრუქციების მარეგულირებელი ერთობლივი კომისია“ (“Joint Commission for the Coordination of Study and Examination Regulations”) მიერ. კომისია ასევე არეგულირებს სასწავლო კურსების რაოდენობრივ მონაცემებს, განსაკუთრებით სწავლების სტანდარტულ პერიოდს

(Regelstudienzeit), საგალდებულო და არასავალდებულო საგნების საათობრივ დატვირთვას და საგანთა განაწილებას, გამოცდების შემდეგ მინიჭებად სერტიფიკატებს (Leistungsnachweise), გამოცდების დეტალებს და საბოლოო თეზისების დასრულებისათვის საჭირო პერიოდს.

სემესტრის განმავლობაში საჭირო სასწავლო საათების რაოდენობა დამოკიდებულია უმაღლესი განათლების დაწესებულების სასწავლო ინსტრუქციებზე. თითოეული საგნისათვის განისაზღვრება სემესტრის განმავლობაში სააუდიტორიო კვირეული საათები (Semesterwochenstunden). წვეულებრივ, უნივერსიტეტების კურსები სტუდენტობა სასწავლო დატვირთვის დებულების (Regelstudienzeit) გათვალისწინებით ან სტანდარტული სწავლებით, საშუალოდ 9 სემესტრს მოიცავს 160 საათიანი დატვირთვით (20 კვირეული სააუდიტორიო საათი, 8 სასწავლო სემესტრი). ეს სქემა გაცილებით იზრდება, როდესაც კურსი პრაქტიკულ ტრეინინგებს ან ლაბორატორიულ სამუშაოს მოიცავს. პერიოდი, რომელიც ცნობილია „დასწრების პერიოდის“ (სააუდიტორიო დატვირთვა) სახელწოდებით, სასწავლო კურსის დასრულების მხოლოდ ერთი ასპექტია. დამატებით, სტუდენტებმა დროის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დახარჯონ დამოუკიდებულ მუშობაზე, მოქმედონ ინდივიდუალური მეცადინეობისათვის ან დაუთმონ ყურადღება სპეციალობაში იმ დამატებით მიმართულებებს, რომელიც არაა შემოთავაზებული კურსის მიმდინარეობისას. დღეისათვის, ყოველთვის შესაძლებელი არაა დროის ნაწილობრივი დატვირთვით (Part-time) სწავლის გაფორმება, კურსების ორგანიზებისას დიდი ყურადღება ეთმობა მოსამსახურე და იმ სტუდეტების მოთხოვნებს, რომელთაც შვილები ყავთ.

## მიღება

### საუნივერსიტეტო სექტორზე მისაღები კვალიფიკაცია და მიღება

უნივერსიტეტის და მისი ექვივალენტური უმაღლესი განათლების დაწესებულებაში მისაღებად მოითხოვება ზოგადი კვალიფიკაცია (Allgemeine Hochschulreife) ან კვალიფიკაცია დარგების მიხედვით (Fachgebundene Hochschulreife). ამგვარი ფორმა ყოფილ მოსწავლეებს აძლევს უფლებას გააგრძელონ სწავლა

ნებისმიერი უმაღლესი დაწესებულების ნებისმიერ მიმართულებაზე, მაშინ როცა, ადრე არსებული უფლებებით კურსთა მიმათულებები შეზღუდული იყო.

ევროსაბჭოს ქვეყნების აპლიკანტებმა, რომელთაც არ გააჩნიათ გერმანული უმედლესი განათლების სექტორში მისაღები კვალიფიკაცია, უნდა წარმოადგინონ საშუალო სკოლის სერტიფიკატი, რომელიც აძლევს უფლებას ჩაირიცხონ საკუთარი ქვეყნის უმაღლესი განათლების დაწესებულებაში. აპლიკანტს ასევე შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ცნობა. დამატებით, უცხოელმა აპლიკანტებმა სასწავლო ადგილის მოსაპოვებლად უნდა დაამტკიცონ გერმანული ენის გარკვეული დონის ცოდნა, ჩააბარონ გერმანული ენის გამოცდა უმაღლესი განათლების სექტორში მისაღებად უცხოელი აპლიკანტებისთვის (Deutsche Sprachpruefung fuer den Hochschulzugang auslaendischer Studienbewerber - DSH) ან ექვივალენტური გამოცდა.

## შერჩევა

უმეტესობა სასწავლო კურსზე, ნაციონალობის კრიტერიუმის მიხედვით არ არსებობს აპლიკანტთა რაოდენობის შეზღუდვა. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ნაციონალობის წარმომადგენელს, შეუძლია საქმიანობის თავისუფალი არჩევანის უფლებით ისარგებლოს, როგორც ეს გარანტირებულია კონსტიტუციის მე-12-ე მუხლით. ყველა აპლიკანტი, რომელიც დაადასტურებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს, დარეგისტრირდება უმაღლესი განათლების დაწესებულებაში, საკუთარი სურვილის მიხედვით არჩეულ სასწავლო კურსზე, ყოველგვარი დამატებითი მისაღები პროცედურების გარეშე.

ზოგიერთ კურსზე, (მაგალითად მედიცინა, ვეტერინარიული მედიცინა, სტომატოლოგია, არქიტექტურა, ბიზნესის მენეჯმენტი და ფინანსობრივი მეცნიერებები), არსებობს ნაციონალური ქვოტა, აპლიკანტების დიდი რაოდენობის გამო მისაღები ადგილების არასაკმარისი რაოდენობაა გამოყოფილი. 1998 წლის ზაფხულის სემესტრიდან, საერთო არჩევითი პროცედურის გათვალისწინებით, კურსებზე მისაღებ ადგილთა რაოდენობას ადგენს სასწავლო ადგილთა გამოყოფის ცენტრალური ოფისი (Zentralstelle fuer die Vergabe von Studienplaetzen, ZVS). ამ პროცედურის ლეგალური საფუძველი, სასწავლო ადგილების გამოყოფასთან დაკავშირებით,

ადმინისტრაციული მიწების შიდა სახელმწიფო შეთანხმებაა. 1997-98 წლის ზამთრის სემესტრიდან, მედიცინის კურსის აპლიკანტებმა სპეციალური შერჩევის პროცედურა უნდა გაიარონ დამატებით, რაც ტესტის ჩაბარებაში გამოიხატება. დღეისათვის უმაღლესი განათლების დონეზე ჩაბარების ლიბერალური პროცედურები გადახედვის სტადიაშია.

ზოგადნაციონალურ შერჩევის პროცედურაზე დამოკიდებული კურსთა ტიპები და რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდნენ ყოველ სემესტრში. ეს სავსებით შესაძლებელია, რადგან ყველა ასარჩევ კურსთა რაოდენობა მცირეა აპლიკანტთა რაოდენობასთან შედარებით. სასწავლო კურსებზე ნაციონალური ქვოტის გათვალისწინებით აპლიკანტები უმაღლესი განათლების დონეზე ჩარიცხვის პვალიფიკაციის სტატუსით (Abitur) სარგებლობენ. დამატებით ასევე გათვალისწინებულია მოლოდინის პერიოდი (abitur სტატუსსა და ჩარიცხვას შორის).

არსებობს ზოგიერთი სასწავლო სფერო, სადაც ყველა აპლიკანტი მოიპოვებს ადგილს, თუმცა შეიძლება ეს ადგილი არ იყოს მის მიერ არჩეულ დაწესებულებაში. არსებობს ზოგადი შეზღუდვები ზოგიერთი სასწავლო დაწესებულების კურსისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს ნაციონალურ მისაღებ პროცედურებს. ამის გამო აპლიკანტების მიღება დამოკიდებულია მათ საშუალო ქულათა რაოდენობის კრიტერიუმზე, გათვალისწინებულია ქულათა შენარჩუნების პერიოდიც.

### **უნივერსიტეტებსა და ხელოვნებისა და მუსიკის კოლეჯებში გადაყვანის წესი და სწავლის ვადამდე დასრულება**

უნივერსიტეტებში სტუდენტთა სასწავლო ჯგუფები დგება არა სასწავლო სემესტრის მიხედვით, არამედ საბაზისო ან ძირითად დონეზე სავალდებულო საგნების შესაბამისად. თუკი სტუდენტი ვერ ჩააბარებს რომელიმე კურსს, იგი გაივლის ამ კურსს მომდევნო ნაკადთან სემესტრული ჩამორჩენის გარეშე. პრაქტიკაში, მიუხედავად ჩაუბარებელი საგნებისა, სტუდენტი მაინც რჩება უნივერსიტეტში. სწავლებისა და გამოცდების რეგულირება დგინდება მისაღებ მოთხოვნებთან ერთად თითოეული საფეხურისათვის. როგორც წესი, საშუალებო

და საბოლოო გამოცდებზე განმეორებით გასვლა მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი. სასწავლო პერიოდის შემცირებასთან დაკავშირებით, ეს საკითხი ნაწილობრივ მოგვარებულია. კერძოდ, თუ სტუდენტი საბოლოო გამოცდას ვერ ჩაბარებს სტანდარტული სწავლის პერიოდში (Regelstudienzeit) მას უფლება აქვს გამოცდა სხვა დროს ჩაბაროს.

ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტებს სურვილი აქვთ შეიცვალონ სასწავლო კურსი ან შეწყვიტონ სწავლა უნივერსიტეტში. ყოველწლიურად ყვალდა უნივერსიტეტის სტუდენტთა 28%, გამოცდების სრულად ჩაბარების გარეშე სწავლას თავს ანებებს. თუკი სტუდენტებს სჭირდებათ კონსულტაცია რაიმე კრიტიკულ სიტუაციასთან დაკავშირებით, მათ შესაძლოა მიმართონ სტუდენტთა კონსულტაციის სამსახურებს. სტუდენტთა სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტში მათ შესთავაზებენ, როგორც კონსულტაციას, ასევე ფსიქოსოციალურ დახმარებასაც.

ზოგადად შესაძლებელია სასწავლო კურსის შეცვლა, თუმცა ბოლო სემესტრებზე განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში. ირგარემოებები შეიძლება იყოს მათ მიერ არჩეული კურსების სხვა ტერიტორიაზე გავლა. ჩაბარებულად ეთვლებათ მხოლოდ ის კურსები, რომელიც ექვივალენტურია მათი სასწავლო კურსისა.

## **შემდგომი განათლება (Further Education)**

გერმანიაში „შემდგომი“ განათლება, თავისი საკუთარი წესებით განათლების მიმართულება გახდა. შემდგომი განათლების სხვადასხვა ხანგრძლივობის ტრეინინგები აღრმავებს, როგორც უკვე არსებული ცოდნასა და უნარებს, ასევე გამოცდილებას. შემდგომი განათლება ერთნაირად მოიცავს ზოგად, დარგობრივ და სოციო-პოლიტიკურ მიმართულებებს.

ვინაიდან მოთხოვნა და ოფიციალური განცხადებები შემდგომ განათლებაზე ყოველდღიურად მზარდია, სტრუქტურა სოციალური ბაზრის პრინციპების გათვალისწინებით განვითარდა. შემდგომ განათლებას მოსახლეობა იღებს მუნიციპალურ დაწესებულებებში, სახალხო უმაღლეს სკოლებში (Volkshochschulen), კერძო დაწესებულებებში, საეკლესიო დაწესებულებებში, პროფესიულ

გაერთიანებებში, ინდუსტრიისა და კომერციის პალატებში, პოლიტიკურ პარტიებსა და ასოციაციებში, კომპანიებსა და სახელმწიფო მმართველ ორგანოებში, საოჯახო განათლების ცენტრებში, აკადემიებში, უმაღლესი პროფესიული სასწავლებლებში, უმაღლესი განათლების და დისტანციური სწავლების დაწესებულებებში. რადიო და ტელევიზიუმი ასევე აწარმოებენ შემდგომი განათლების პროგრამებს.

### დისტანციური განათლება

ჩვენს მიერ აქამდე მოტანილი მასალა ანსხვავებდა საუნივერსიტეტო და უმაღლესი პროფესიული სასწავლებლების სექტორს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გერმანიაში დამატებით არსებობს დაწესებულებები, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობენ დისტანციური სწავლების ფორმებს. დისტანციური სწავლების ზოგადი უნივერსიტეტი (Fernuniversitaet-Gesamthochschule) ჰაგენში 1974 წელს დაარსდა. იგი სთავაზობს კურსებს Diplom და Magister ხარისხების მოსაპოვებლად. ზოგიერთ გერმანულ ქალაქში, ისევე როგორც ავსტრიის, უნგრეთის და შვეიცარიის ქალაქებში დისტანციური განათლების უნივერსიტეტებს აქვთ უმაღლესი განათლების ცენტრები ადგილობრივი სტუდენტების კონსულტაციისათვის, ასევე იღებენ სტუდენტებს საგალდებულო კლასების გავლის პერიოდში.

ზოგიერთი უმაღლესი განათლების დაწესებულებამ, დისტანციური სწავლების კურსების განვითარების მიზნით, დანერგა დისტანციური სწავლების ფორმები. დისტანციური სწავლების ასოციაციები ბოლო წლების განმავლობაში დაარსდა აღმოსავლეთ გერმანიაში ბერლინის ჩათვლით, ნორდრაინ-ვესტფალიაში, ჰესენთან და ზაარლანდთან ერთად რაინლანდ-პფალცში. ერთობლივ პროექტთა ნაწილი შექმნილია დისტანციური განათლების სააგენტოებთან თანამშრომლობით. დისტანციურ სწავლებას დამატებით, კერძო ორგანიზაციები ახორციელებენ. ზრდასრულთა კვალიფიკაციის ამაღლების აკადემიკოსთა საბჭომ (Akademiker-Gesellschaft fuer Erwachsenenfortbildung) დააარსა უმაღლესი სკოლა დასაქმებული ადამიანებისათვის (Hochschule fuer Berufstaetige). სახელმწიფოს მიერ აღიარებული კერძო დაწესებულებები სთავაზობენ უმაღლეს განათლებას რენსბურგში (შლესვიგ-ჰოლშტაინი) და შტუტგარტში (ბადენ-ვურტენბერგი). შექმნილია კურსები ბიზნესის

მენეჯმენტი, ინდუსტრიულ ინჟინერიაში და გამოთვლით ბიზნესში. ეკონომიკისა და სოციოლოგიის ლაპრის კოლეჯი კერძო ორგანიზაციის კიდევ ერთი მაგალითია.

დისტანციური სწავლების ცენტრალური დაწესებულების (ZFU) მონაცემებით, 1995 წელს დისტანციური სწავლების კურსებზე 150000 სტუდენტი ჩაეწერა. აქედან დაახლოებით 50000 ხარისხს მოპოვების სტადიაზეა.

### **ხარისხის შემდგომი განათლება (Post-graduate education)**

ხარისხის შემდგომი განათლების ფაქტიურად ორი ტიპი არსებობს. ერთი ეხება დამატებით ცოდნის ან უნარების შეძენა-გაღრმავებას სპეციალური კურსების და პროგრამების საშუალებით (დამატებითი (Zusatz)-, დამატებითი (Ergaenzung)-, სამშენებლო სწავლება (Aufbaustudien)). უკანასკნელ წლებში, პირველი ტიპი მეტად პოლუპარული გახდა „ცოდნის ასოციაციის“ კონტექსტით. გერმანიაში ეს ინიციატივა გაძლიერდა, „ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლება ყველასათვის“ პროგრამის (Aktionsprogramm Lebensbegleitendes Lernen fuer Alle) სახით. რის შედეგადაც, ამ ტიპის განათლების მიღების მსურველი არ ფინანსდება ავტონომიურად, არამედ მიმართავს აღნიშნული პროგრამის ცენტრს.

ხოლო მეორე ტიპი დაკავშირებულია აკადემიური სწავლების გაგრძელებასთან, რომელიც სრულდება დისერტაციით. გერმანიაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში სწავლების პირველ და უმაღლეს ხარისხებს შორის დაყოფის ზღვარი მკვეთრად არაა განსაზღვრული. ტრადიციულად სტუდენტები აგრძელებენ სწავლას მაღალ (ან ხარისხის შემდგომ) საფეხურზე საწყისი კვალიფიკაციის მოპოვების გარეშე.

### **სტრუქტურა და მიღება**

უნივერსიტეტსა ან ექვივალენტურ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაში, პირველი სასწავლო საფეხურის წარმატებით დასრულების, შემდეგ აკადემიური საქმიანობის გარკვეულ სტადიაზე მყოფ ადამიანებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ დოქტორანტურის საფეხურზე, პროცესი Promotion-ის სახელითაა ცნობილი. უმაღლესი პროფესიული სასწავლებლის (Fachhochschulen) ხარისხის მფლობელებისათვის დოქტორანტურის საფეხურზე მისაღებად არსებობს

სპეციალური წესები. უკვე არსებული უმაღლესი პროფესიული სასწავლებლების ხარისხის გარდა, სტუდენტებმა დამატებით მოსამზადებელი კურსები უნდა გაიარონ დოქტორანტურაში შესასწავლ საგანში, ან აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტში დამატებითი სწავლების პერიოდი უნდა დაძლიონ, ან უნდა ჩააბარონ გარგისიანობის ტესტი (Aptitude Test). დოქტორანტურაში ყურადღებას სადოქტორო თეზისებზე (რომელიც დამოუკიდებელ კვლევას უნდა ეყრდნობოდეს) და ზეპირ გამოცდებზე (Rigorosum) ამახვილებენ. გამოცდები შეიძლება ჩანაცვლდეს სტუდენტური PhD თეზისების დაცვით (Disputation). სადოქტორო თეზისები უნდა იქნას დაწერილი დადგენილი პერიოდის განმავლობაში. დოქტორანტურის დასრულება ანიჭებს დოქტორის (Doktor, Doktorgrad) აკადემიურ ხარისხს.

ხარისხის შემდგომ დონეზე, სტუდენტებისაგან მინიმალურ დროში რეგისტრაცია მოითხოვება, არავინ არ იცის რა დროის განმავლობაში გაგრძელდება მუშაობა ხარისხის მოსაპოვებლად. სხვა ქვეყნებთან შედარებით, დოქტორანტურაში სწავლის პერიოდი გაცილებით გრძელვადიანი და თავისუფლად დაგეგმილია. იგი პროფესიული საქმიანობის და განათლების კომბინაცია უფროა, ვიდრე განათლების ცალკეული ფაზა. დოქტორანტების უმეტესობა უნივერსიტეტში პერსონალის თანამდებობაზე მუშაობს. უმეტეს შემთხვევაში ატარებენ სემინარებს ან კონსულტაციებს (საშუალოდ 1-2-ს სემესტრის განმავლობაში). კურსებზე დაიშვებიან, როგორც მაღალი დონის ხარისხამდელი, ასევე ხარისხის შემდგომი სტუდენტები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არის ძალიან დიდი განსხვავებები სხვადასხვა დაწესებულებების მიერ შეთავაზებულ პირობებს შორის. მეტიც, რადგან PhD სტუდენტები ყოველთვის არ არიან ფორმალურად რეგისტრირებულნი (ისინი არ წარმოადგენენ პერსონალის სპეციალურ კატეგორიას), ამის გამო ძალიან რთულია ბოლო პერიოდის რაოდენობრივი ინფორმაციის ფლობა. სამეცნიერო საბჭოს (Wissenschaftsrat) 1995 წლის მონაცემებით, 1992 წლისათვის გერმანიაში 63000 დოქტორანტი იყო. მათგან დაახლოებით 70% უნივერსიტეტის თანამშრომელია, რომლებიც თავიანთი სამუშაო დროის ნაწილს PhD თეზისების მომზადებას უთმობენ. დაახლოებით 20% PhD-ზე გრანტის ან კონტრაქტის

საფუძველზე მუშაობს. დაფინანსება შეიძლება იყოს მოპოვებული სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო და არასამეცნიერო ორგანიზაციიდან.

80-იან წლებში გერმანიაში, დაინერგა ტრეინინგების არაფორმალურ სისტემა. გერმანული კვლევის საბჭომ (Deutsche Forschungsgemeinschaft) წარმოადგინა შესაბამისი პროგრამა ხარისხის მფლობელებისათვის (Graduiertenkolleg). ხარისხის შემდგომი ტრეინინგების ახალი სისტემა წარმატებით შეფასდა. 2002 წლისათვის გერმანიაში თითქმის 300-მდე ხარისხის მიმჭიდრებელი სკოლა იყო. 2001 წლისათვის ამ ტიპის სკოლებში სტუდენტთა საერთო რაოდენობას 4800 სტუდენტი დაემატა. სალექციო ჯგუფი შედგებოდა 15-25 PhD ერთი ან რამდენიმე დამეგობრებული (შესაძლოა ინტერნაციონალური) უნივერსიტეტის სტუდენტისაგან. უნივერსიტეტი წარადგენს Graduiertenkolleg-ს გუგმას (კვლევითი და სასწავლო პროგრამის ჩათვლით), რომელიც როგორც შინაარსობრივად, ისევე ფინანსურადაც შესაბამისი ადმინისტრაციული მიწის მიერაა დამოწმებული და მხარდაჭერილი. გერმანული კვლევის საბჭო (Deutsche Forschungsgemeinschaft) აფასებს ამ წინადაღებას, მისი დამოწმების შემთხვევაში დგება შესრულების პერიოდი სამიდან მაქსიმუმ 9 წლამდე ხანგრძლივობით.

## ძირითადი დაფინანსება

გერმანიის უმაღლესი განათლება სახელმწიფო დაფინანსებაზეა, სასწავლებლები ცხადია, ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა იცავდნენ გერმანიის მთავრობის ადმინისტრირების კანონებს. კანონები, შექმნილია თითოეული მიწისათვის, მაგრამ მეტ-ნაკლებად მსგავსია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ძირითადი შეზღუდვები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა შემდეგია:

- ბიუჯეტის მოთხოვნა (ხარჯვის კატეგორიების დაფიქსირება) დააფიქსიროს ფინანსური წლის პრიორიტეტები,
- ბიუჯეტი არ შეიძლება გაიხარჯოს მიმართულებების საწინააღმდეგოდ,
- დაწესებულება ერთიანად არ იღებს დაფინანსებას პერსონალის დასაფინანსებლად, თუკი ეს საშტატო გეგმაში (Stellenplan) არ არის გათვალისწინებული,

- დაწესებულებას არ შეუძლია გახარჯოს პერსონალის ფონდი სხვა საჭიროებისათვის, მაშინაც კი, როცა ეს ითვლება აუცილებლად და შესაფერისად,
- ფონდები (დაუხარჯავი ბალანსი) არ შეიძლება გადატანილ იქნას მომდევნო ფინანსურ წელზე,

მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გერმანიის ადმინისტრაციულ მიწებზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ზოგიერთმა მიწამ შეინარჩუნა სწორხაზოვანი ბიუჯეტის ფორმა, ზოგიერთმა გადაუხვია დადგენილ მიმართულებას, ზოგიერთმა კი მაინც შექმნა ერთიანი დაფინანსების ბიუჯეტი (Ziegele, 2000).

## **სწავლების გადასახადები**

როგორც წესი, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კურსებზე, გერმანელი და არაგერმანელი სტუდენტებისათვის არ არსებობს რეგისტრაციის გადასახადი, სემესტრული გადასახადი ან საგამოცდო გადასახადი. თუმცა, ყველა სტუდენტი იხდის მინიმალურ თანხას სოციალური კეთილმოწყობით სარგებლობისათვის. სასწავლებლებში არსებობს სტუდენტთა თვითადმინისტრირების ორგანიზაციები (როგორც წესი სტუდენტური კომიტეტები – *Algemeine Studentenausschuss*), სტუდენტები ასევე იხდიან მათ დამატებით გადასახადებს.

ზოგიერთ მიწაზე შემოიდეს ან აპირებენ შემოიღონ გადასახადები იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ხანგრძლივად სწავლობენ, ე.წ. „*Long-term*“. მაგალითისათვის ბადენ-ვუნტერნბერგში სტუდენტებმა, რომლებიც სტანდარტული სწავლის პერიოდზე (Regelstudienzeit) ოთხი სემესტრით მეტ ხანს სწავლობენ, ყოველსემესტრულად 511 ევრო უნდა გადაიხადონ. სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს შეუძლიათ შეცვალონ გადასახადები შემდგომი (Weiterbildung) განათლების პროგრამებზე რეგისტრირებისას. გადასახადების ოდენობა დარეგულირებულია, მაგალითად, პროგრამის სრული დირექტულების 60%. კერძო უნივერსიტეტებს სრული თავისუფლება აქვთ ნებისმიერი პროგრამის გადასახადების დადგენაში. შესაბამისად, გადასახადები არაა ბარიერი სახელმწიფო უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემა მრავალფეროვანია. თანამედროვე დაკვეთებიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების დაწესებულებების დამოკიდებულება და ურთიერთკავშირი მათი ერთი ქუდის ქვეშ გაერთიანებას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ ახლებური ტიპის უნივერსიტეტს აყალიბებს. ცხადია, მთელი ეს ცვლილებები მიმდინარეობს ბოლონიის პროცესის დაკვეთების ფონზე, რაც 2010 წლისათვის უნდა დამთავრდეს.

ბოლონიის პროცესის ფარგლებში აქამდე განხორციელებული ყველა ძალისხმევა, რომელიც მიმართულია უმაღლესი განათლების განსხვავებული სისტემების ჰარმონიზაციისაკენ, არ სცილდება შიდასტრუქტურულ მითითებებს. მრავალრიცხოვან მითითებებსა თუ მოთხოვნებს შორის შეიძლება რამდენიმე დავასახელოთ: სწავლების სამსაფეხურიანი სისტემის, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS), დიპლომის ახლებური დანართის (ევროპის საბჭოსა და UNESCO/CEPEC-ის მიერ შემუშავებული მოდელი) შემოღება, სწავლების ყველა დონეზე სილაბუსებისა და კურიკულუმებისა თანამედროვე სახით შემუშავება, შეფასების ერთიანი სისტემის დანერგვა და სხვა. კონვენციებისა და დეკლარაციების დოკუმენტებში შეფარვითაც არაა ნახსენები უმაღლესი განათლების სექტორის ორგანიზაციული მოდელის სახე, საუბარი არც პრიორიტეტზეა. პოლიტიკის გლობალური ხაზი მიმართულია იქითკენ, რომ სანამ სტუდენტებს მოპოვებული, ადიარებადი კვალიფიკაციით შესაძლებლობა აქვთ თავისუფლად გადაადგილდნენ ქვეყნიდან ქვეყნაში, ნებისმიერ სახელმწიფოს დამოუკიდებლად ძალუბს აირჩიოს საკუთარი უმაღლესი განათლების სისტემის ორგანიზაციული მოდელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმაღლესი განათლების ისტორია პლატონის აკადემიიდან და არისტოტელეს ლიკეიდან იწყება. შემდეგ მოდის შუა საუკუნეების უმაღლესი განათლების ცნობილი დაწესებულებანი. ევროპის უძველესი უნივერსიტეტი, ბურჟუაზიული ეპოქა და სოციალისტური უმაღლესი სკოლა მოედი თავისი გამოცდილებით. თითოეული ეპოქის სასწავლო დაწესებულებას,

ქვეყნის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკუთარი მიზანი და ამოცანები გააჩნდა. ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წარმოადგენს საქართველოში არსებული სასწავლო დაწესებულებებიც.

ძველი ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ჩანაწერები მოწმობს, რომ ანტიკურ საქართველოში იყო „აყვავებული ქალაქები“ შესანიშნავი „საზოგადოებრივი შენობების“, „გიმნასიონებით“. ანტიკური განათლების გავრცელებასა და მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა კოლეჯთა უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ (IIIს. IIნახ). IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა ეკლესიებთან სკოლების გახსნა. მაგრამ მალე უცხო დამპყრობთა შემოსევებმა, განსაკუთრებით კი არაბთა ბატონობამ, დიდი ხნით შეაფერება ქართული კულტურის განვითარება. განათლების აღორძინება და ინტენსიური განვითარება დაიწყო XI-XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ხანაში. შეიქმნა მეცნიერებისა და განათლების ისეთი კერძები, როგორიც იყო გელათის აკადემია და იყალთოს აკადემია. ამ დიდი საქმის მოსამზადებელი საფეხური იყო ქართული კულტურის ცნობილი კერძები საქართველოს საზღვრებს გარეთ – ათონის ივერიელთა მონასტერი საბერძნეთში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში. XIII საუკუნიდან მოყოლებული ჯერ მონღოლთა, ხოლო შემდეგ ირანისა და ოსმალეთის გამაპარტახებელმა შემოსევებმა დააქვეითეს და დასცეს კულტურა და განათლება საქართველოში.

XVII საუკუნის II ნახევრიდან შეიქმნა ერთგვარი პირობები საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გამოცოცხლებისათვის. XVIII საუკუნეში სახალხო განათლების საქმე ხელისუფლების მზრუნველობის საგნად იქცა, რამაც სათანადო შედეგი გამოიდო – 1755 წელს გაიხსნა თბილისის სემინარია, 1782 წელს თელავის სემინარია (რომელიც ფაქტობრივად უმაღლეს სკოლას წარმოადგენდა), ითარგმნა და შეიქმნა სახელმძღვანელოები [6].

მასწავლებელთა პროფესიული მომზადების დაწესებულებებს საქართველოში XIX საუკუნიდან ვხვდებით. XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოს სახალხო სკოლებისათვის მასწავლებლებს ამზადებდა თბილისის სასულიერო სემინარია (1817წ), თბილისისა და ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლები (1846, 1847 წწ) და აგრეთვე, ნაწილობრივ ვაჟთა გიმნაზიები, მაგრამ ეს არ იყო მათი ძირითადი

დანიშნულება. ამასთან, მათ არ ჰქონდათ სათანადო პირობები მასწავლებელთა მოსამზადებლად და არც იყო შემუშავებული პედაგოგიური კადრების მომზადების გარკვეული სისტემა.

საქართველოში პირველი სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი შეიქმნა 1866 წელს. ეს სკოლა გახსნა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ და სკოლის დანიშნულებას წარმოადგენდა აღნიშნული საზოგადოების სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა მომზადება. მაგრამ სინამდვილეში, ეს სკოლა მასწავლებლებს ამზადებდა განათლების სამინისტროს დაწყებითი სასწავლებლებისათვისაც. სასწავლებელი თავდაპირველად სამი კლასისაგან შედგებოდა, იდებდნენ დაწყებით სკოლადამთავრებულებს. 1871 წლიდან იგი გადაკეთდა საოსტატო სამასწავლებლო ინსტიტუტად და ალექსანდრე II-ის სახელი ეწოდა. სამასწავლებლო ინსტიტუტი ამზადებდა მასწავლებლებს ჯერ ამიერკავკასიის საქალაქო, ხოლო შემდეგ უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლებისათვის. სწავლების ხანგრძლივობა 4 წელი იყო და რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართული ენა არასავალდებულო იყო, პვირეული დატვირთვით 4 სთ. სკოლაში მიღება ხდებოდა საკონკურსო გამოცდების წესით, ირიცხებოდნენ მოსწავლეები, რომელთაც სამაზრო ან საქალაქო სასწავლებლები ჰქონდათ დამთავრებული. სამასწავლებლო სკოლასთან არსებობდა ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელიც შემდგომში ჯერ ორკლასიანად, ხოლო შემდეგ, 1882 წლიდან საქალაქო სასწავლებლად გადაკეთდა. პედაგოგიური ციკლის საგნებიდან ისწავლებოდა პედაგოგიკა, სასკოლო პიგიენა და პედაგოგიური პრაქტიკა. ალექსანდრე II-ს სამასწავლებლო ინსტიტუტი ატარებდა რუსეთის პოლიტიკას ამიერკავკასიაში და ცხადია, სწავლების კურსი არ იყო შეფარდებული კავკასიის აღგილობრივ პირობებთან, არასავალდებულოდ ისწავლებოდა ადგილობრივი ენები, ხოლო კავკასიის ისტორია, გეოგრაფია, ეთნოგრაფია საერთოდ არ ისწავლებოდა. მომავალი პედაგოგისათვის, რომელსაც მუშობა კავკასიაში მოუხდებოდა, სავალდებულო არ იყო ადგილობრივი მხარის, ხალხის, კულტურისა და ენების ცოდნა.

XX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს სახალხო განათლების სისტემაში სერიოზული ცვლილებები დაიწყო. 1909 წელს თბილისში, კერძო პირთა ინიციატივით, დაარსდა პირველი უმაღლესი სკოლა - „ქალთა უმაღლესი კურსები“,

რომელიც შემდგომში ამიერკავკასიის კერძო ინსტიტუტიდ გადაკეთდა, იარსება 1920 წლამდე. 1917 წელს, ასევე კერძო ინიციატივით, დაარსდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა), ხოლო 1918 წელს, ივანე ჯავახიშვილის და სხვა ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი, რომელმაც სათავე დაუდო ეროვნული კადრების მომზადებას საქართველოში.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისის პირველი სამასწავლებლო ინსტიტუტი 1919 წელს გადაკეთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო ინსტიტუტიდ, 1921 წლის 29 ივნისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტის სიპრეზიდენტის და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანდა ერთ პედაგოგიურ ფაკულტეტიდ, რომელიც გაერთიანების მიუხედავად ორი განყოფილებისაგან შედგებოდა – სობრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, თითოეულ განყოფილებას ჰყავდა თავისი თავმჯდომარე და მდივანი. პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანად დამტკიცებულ იქნა პროფ. პ. კაპელიძე, მდივნად დოც. ზ. ყანჩაველი. 1922 წლის 30 ივნისს უნივერსიტეტთან არსებული საპედაგოგო ინსტიტუტი გადაკეთდა საპედაგოგო ფაკულტეტის **ინსტიტუტიდ და მისი კურსის** გავლა საგალდებულო იყო იმ **სტუდენტებისათვის**, რომლებიც საპედაგოგო სარბილოები აპირებდნენ მოღვაწეობას. აღნიშნულ ინსტიტუტთან გაიხსნა ეწ. მთლიანი შრომის სკოლის ტიპის საცდელი სკოლა, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. დ. უზნაძეს. 1923 წლის ბოლოს ინსტიტუტი დაიხურა და სტუდენტთა უმრავლესობა პედაგოგიურ ფაკულტეტზე გადავიდა.

1925 წლიდან დაიწყო სახელმწიფოს გენერალური ხაზის გატარება განათლების სფეროში, რამაც ცხადია, უპირველესი დარტყმა თბილისის უნივერსიტეტს მიაყენა. დაიწყო უნივერსიტეტის სტრუქტურის, სწავლების მეთოდებისა და პროფესორ-მასწავლებელთა კრიტიკა. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიურმა სექციამ შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვით პედაგოგიური ფაკულტეტის ფილოსოფიური, ფილოლოგიური და ისტორიის დარგები უნდა გაუქმებულიყო. ამ პროექტის გამო, 1925 წლის შემოდგომაზე ივანე

ჯავახიშვილი განათლების სახალხო კომისარიატში გზაუნის მოხსენებით ბარათს, რომელშიც წერს: „რატომ უნდა დანგრეული იქნეს პედაგოგიური ფაკულტეტი და განადგურებული ის დიდი მუშობა და მოდვაწეობა, რომელიც ამ შეიძი წლის განმავლობაში გაწეული იყო და დიდის ენერგიით მოპოვებულია? მასწავლებლის მოწოდება და წოდება იმდენად მაღალი და დიდია, რომ ის ვითარცა მომავალი თაობის აღმზრდელი საუკეთესოდ და ფართოდ უნდა იყოს განათლებული, თავისი სპეციალობის მეცნიერების უკანასკნელი მიღწეულობათა მცოდნე და მისი წარმატების თვალყურის მდევნელი. მხოლოდ ასეთი პირი აასრულებს პირნათლად თავის მოვალეობას. ამიტომ მას შესაფერისი მომზადება უნდა ჰქონდეს და პედაგოგიური ფაკულტეტების პროგრამას გამარტივება კი არა, პირიქით გაფართოება სჭირდება“. ამონარიდი ივანე ჯავახიშვილის წერილიდან, ნათლად გვიჩვენებს დიდი მეცნიერის დამოკიდებულებას მასწავლებლის პროფესიისა და მისი მომზადების საქმისადმი.

წერილი რეაგირების გარეშე დარჩა. დაიწყო უნივერსიტეტების ფაკულტეტების ინსტიტუტებად დაშლა. 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თსუ-ს რეორგანიზაცია. მის ბაზაზე შექმნა 4 სპეციალური სასწავლო ინსტიტუტი. მათ შორის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1930-1931 სასწავლო წელს პედაგოგიურ ინსტიტუტს, ჩამოყალიბების დროს 6 ფაკულტეტი ჰქონდა: ფიზიკა-მათემატიკის, საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური და გეოგრაფია-გეოლოგიური. შემდგომში დაემატა: ენისა და ლიტერატურის (ქართული და ევროპული), საზოგადოებრივ-ეკონომიკური (ფილოსოფიურ-ისტორიული და ეკონომიკური განყოფილებით), ფილოლოგიურ-პედაგოგიური (პედაგოგიური, სკოლამდელი და სასკოლო ადზრდის განყოფილებით), სახვითი ხელოვნების. 1930 წლის ნოემბრისათვის პედაგოგიურ ინსტიტუტში 49 პროფესორი იყო, მათ შორის 6. მუსხელიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, პ. კაგალიძე, ს. ხუნდაძე, პ. კაკაბაძე, დ. კაკაბაძე და სხვა. პროფესორთა პირველ კოლეგიას (8 წევრი) მეთაურობდა ივანე ჯავახიშვილი. როგორც ვხედავთ, ამ უმძიმეს პერიოდში, სწორედ პედაგოგიურმა ინსტიტუტმა იტვირთა ძირითადი პუმანიტარული სპეციალობებისა და დისციპლინების თავმოყრა.

უნივერსიტეტის ბაზაზე ინსტიტუტების შექმნაში წარმოშვა საფრთხე ფუნდამენტური მეცნიერების დარგში მომუშავე ძალთა დაქსაქსვისა და სამეცნიერო

კვლევითი მუშაობის შეფერხებისა საბედნიეროდ, ყველაფერი მაღე ჩადგა თავის კალაპოტში. 1933 წლის 8 იანვარს საქართველოს სსრ ცაპმა და სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც საფინანსო ეკონომიკური ინსტიტუტის, საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და ნაწილობრივ პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე მოეწყო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამჯერად სწავლების ვადა განისაზღვრება 4-5 წლით და შეიქმნა 5 ფაკულტეტი სხვადასხვა განყოფილებებით და სექციებით (სულ 24 სექცია). უნივერსიტეტში, 1930 წლიდან ცალკე ერთეულად დაარსებული პედაგოგიკის კათედრა 1933 წლიდან ემსახურება კველა ფაკულტეტს და შესაბამისად უნივერსიტეტის კურსდამთავრებულო ენიჭებათ მასწავლებლის წოდება. როგორც ვხედავთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თითქმის გახსნის დღიდან, მასწავლებელს ამზადებს სპეციალური ფაკულტეტი და მისი წოდება ენიჭება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამ ფაკულტეტს გაივლიან. იმ დროინდელ მსოფლიოში არსებული მასწავლებლის მომზადების სისტემებიც სწორედ ასეა აგებული. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის და მათ შორის საქართველოს განათლების სისტემაც ძირებულად იცვლება და ატარებს ქვეყნის პოლიტიკის ინტერესებს. მასწავლებლის მომზადების სისტემაც განსხვავებულია მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების სისტემებისაგან, სადაც მასწავლებლებს ამზადებენ უნივერსიტეტებთან არსებული სპეციალური ფაკულტეტები, განყოფილებები და კოლეჯები და მასწავლებლის კვალიფიკაცია ენიჭებათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც თავიანთი სურვილის შესაბამისად გაივლიან აღნიშნულ ფაკულტეტებსა და კურსებს.

1933 წელს მთავრობის დადგენილებით პედაგოგიური ინსტიტუტი გადატანილ იქნა ქუთაისში. ინსტიტუტში შეიქმნა შემდეგი განყოფილებები: 1. ფიზიკა-მათემატიკური განყოფილება; 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება; 3. ისტორიულ-ლიტერატურული განყოფილება; 4. პედაგოგიურ-პედოლოგიური განყოფილება. სწავლების ვადა პედაგოგიურ ინსტიტუტში 4 წლით განისაზღვრა.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნას მოჰყვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსება, კერძოდ, გაიხსნა ცხინვალის (1932 წ.), სოხუმის (1932 წ.), თბილისის (1935 წ., პუშკინის სახელობის), ბათუმის (1935 წ.), გორის (1935 წ.), თელავის (1939 წ.), ზუგდიდის (1939 წ., იარსება

1952 წლამდე), პედაგოგიური ინსტიტუტები, თბილისის სომხურ-აზერბაიჯანული სამასწავლებლო (1939 წ, რომელიც შემდგომ შეუერთდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებს).

აღსანიშნავია, რომ ეს პედაგოგიური ინსტიტუტები უნივერსიტეტის დააყენა ფეხზე. წლების განმავლობაში, უნივერსიტეტის ხანდაზმული პროფესორ-მასწავლებლები კვირებს მოგზაურობაში ატარებდნენ, ღარმეებს ათენებდნენ, მაგრამ მაინც დაუზარებლად ემსახურებოდნენ მომავალი მასწავლებლის აღზრდის საქმეს ქუთაისსა თუ ბათუმში, გორსა თუ თელავში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადამწყვეტი როლი შეასრულა აგრეთვე ამ ინსტიტუტებისათვის პროფესორ-მასწავლებელთა მომზადების საქმეში [9].

შემდგომში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არა ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, განვითარდა და დღეს მოიაზრება, როგორც უმაღლესი განათლების სერიოზული კერა საქართველოში.

2005 წელს საქართველო ბოლონიის მიმდინარე პროცესში გაწევრიანდა. შესაბამისად სრულდება ბოლონიის პროცესის ფარგლებში მიმდინარე ყველა მოთხოვნა.

უნივერსიტეტის წინაშე დგას ამოცანა, მან უნდა მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება დასაქმების ბაზარზე. უნივერსიტეტის ერთი მთავარი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში სასწავლო-პედაგოგიური პროცესის გაშლა მხოლოდ სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბაზაზე უნდა იყოს შესაძლებელი, რის გარეშეც მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერული კადრების მომზადება წარმოუდგენელია. უნივერსიტეტი უმაღლესი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებაა და არა მარტო უმაღლესი სასწავლებელი [8].

დღეისათვის საქართველოში უამრავი უმაღლესი სასწავლებელი არსებობს, რომელთაც მსოფლიოში არსებული უკვე ცნობილი ტენდენციის შესაბამისად უნივერსიტეტები ეწოდებათ. თუმცა ქართულ სინამდვილეში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ პრაქტიკულ დონეზე ვერ არის გაწერილი უნივერსიტეტის მისია, და, ჩვენი აზრით, სასწავლო და სამეცნიერო პროცესები სპონსორული მიმდინარეობს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მთელ სასწავლო-პედაგოგიურ პროცესში და კერძოდ, მის მეთოდურ მომსახურებაში, კვლევითი პრინციპები ურყევად უნდა იქნას დაცული. უნივერსიტეტის და ზოგადად ყველა უმაღლესი სასწავლებლის ამოცანაა მოამზადოს სპეციალისტი, რომელმაც შეეძლება მოპოვებული ცოდნა გამოიყენოს საჭიროებისამებრ და დროისა და საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად დამოუკიდებლად გაიღრმავოს და სრულჰყოს საკუთარი გამოცდილება. ასევე მას უნდა ჰქონდეს მეცნიერული აზროვნების, მეცნიერული მუშაობის უნარი და ჩვევები. აღნიშნული მოსაზრება კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ბოლონიაში 1988 წლის 18 სექტემბერს ჩატარებული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის (Magna Charta Universitatum) დოკუმენტში - „უნივერსიტეტში სწავლება და კვლევა ურთიერთისაგან განუყოფელი უნდა იყოს, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს“.

ამრიგად, ისტორიული და თანამედროვე ლიტერატურის გადამუშავებამ, მორიგ ჯერზე დაგვარწმუნა, რომ უნივერსიტეტი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც შესამებულია კვლევისა და სწავლების ორიენტაცია და სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია სტუდენტისა და მასწავლებლის თავისუფლება.

## §2. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები

უმაღლესი სკოლის მასწავლებელს ჩვეულებრივად ლექტორს (Lat. Lector - მკითხველი) უწოდებენ, ვინაიდან სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმად უმაღლესი სკოლაში ლექციაა (Lat. Lectio - კითხვა) მიჩნეული. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ლექტორი, როგორც მასწავლებელი ყველა იმ ძირითადი ნიშნის მატერიებელია, რაც საერთოდ მასწავლებლისთვის (მაგ. საშუალო სკოლის მასწავლებლისთვის) არის დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, ლექტორს საშუალო სკოლისაგან განსხვავებით, თავისებურებაც გააჩნია, რაც უმაღლესი სკოლის ამოცანებითა და სტუდენტთა თავისებურებებითაა განპირობებული. [23]

უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლექტორის (შემდგომში მასწავლებელი) წინაშე სხვადასხვა ამოცანა დგას. უმაღლესი სასწავლებლის ტიპის მიხედვით განისაზღვრება მასწავლებლისადმი წაყენებული მოთხოვნა-მოვალეობებიც. ჩვენი უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასწავლებელს არა თუ საკუთარი საგნის დრმად ცოდნა, არამედ პედაგოგიური უნარ-ჩვევების ფლობა ევალება. ამასთან, უმაღლესი სკოლის მასწავლებლისათვის მეცნიერული ცოდნის გასაღრმავებლად აუცილებელი მეცნიერული კვლევის უნარების ფლობაა. სწორედ, მეცნიერული ცოდნის, კვლევითი უნარების და პედაგოგიური უნარის სწორი შეხამება წარმოადგენს კარგი მასწავლებლობის აუცილებელ პირობას.

არსებობს უმაღლესი სკოლის ლექტორის, როგორც მასწავლებელის, პროფესიულ თვისებათა გარკვეული ჩამონათვალი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია იგი კარგი პედაგოგი იყოს. რასაკვირველია, კარგი ლექცია, მეცნიერული ერუდიციის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ჩაატარო ლექცია, ასწავლო სხვას მეცნიერება, ცოდნის გარდა, პედაგოგიურ უნარსაც საჭიროებს. ასწავლო სხვას, ეს არა მარტო ხელოვნება, შემოქმედება, არამედ უნარიცაა, რაც პიროვნული თვისებაა და სპეციალური დარგის ცოდნას მოითხოვს.

უმაღლესი სკოლის მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მრავალწლიან გამოცდილებას მივყავართ აზრამდე, რომ ეს შეფასება კომპლექსური, (ინფორმაციის სხვადასხვა წყარო) უნდა იყოს.

ამის არა ერთი მაგალითი არსებობს სპეციალურ ლიტერატურაში. ასე მაგალითად, გ.პ. სკოკს [24] მიაჩნია, რომ პედაგოგიური პროფესიონოლიზმი შედგება სამი ბლოკისა ან კომპონენტისაგან:

- ზოგადკულტურული
- სტუდენტის პიროვნების პატივისცემა
- საგნობრივ-ტექნოლოგიური

რესერტის სახელმწიფო საგადასახადო აკადემიის მიერ გამოქვეყნებულ საურნალო სტატიაში [14] აღნიშნულია, რომ მოთხოვნები მასწავლებლის პროფესიონალიზმისადმი შეიძლება დაიყოს შემდეგ ასპექტებად:

- სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ტექნოლოგია
- პედაგოგის პიროვნული მახასიათებლების შეფასება
- სტუდენტსა და პედაგოგს შორის დამოკიდებულების ანუ პედაგოგიური ურთიერთობის შეფასება

საქართველოში ფონდ „დია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ 2001-2002 წლებში განხორციელებული მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების პროგრამის მასალებში ასევე მოცემულია სხვადასხვა ავტორთა მოსაზრება მასწავლებელთა პროფესიული მახასიათებლების შესახებ. კერძოდ, სტატიაში „მასწავლებლის კვალიფიკაცია დია, პეტეროგენულ საზოგადოებაში“ ჩამოთვლილია შემდეგი მახასიათებლები:

1. მასწავლებელი, როგორც სასწავლო პროცესების ორგანიზატორი, ინიციატორი, მეთველყურე
2. მასწავლებელი, როგორც აღმზრდელი
3. მასწავლებელი, როგორც მოსწავლეთა მრჩეველი და მსაჯული
4. მასწავლებელი, როგორც ის, ვინც ასწავლის
5. მასწავლებელი, როგორც თანამოღვაწე სკოლის განვითარებაში

(მირითადი წეარო: KMK – განმარტებანი, ბრემენული განმარტება 5.10.2000 სრულად: პვალიფიკაციის პროფილები გრაციდან, აგსტრიიდან და ნიდერლანდებიდან „Beroessrofiee“ და სხვა).

აქვე სტატიაში „საგანმანათლებლო პოლიტიკა“ მოტანილია მასწავლებლის „ახალი პროფესიონალიზმის“ მოთხოვნები:

- გამოცდილება
- პედაგოგიური „ნოუ-ჰაუ“ (know-how)
- სპეციალური ტექნიკის ცოდნა
- ორგანიზაციული კომპეტენცია და თანამშრომლობა
- მოქნილობა
- მობილურობა
- დიარბა

ამავე სტატიაში „სწავლების უნარ-ჩვევა და კომპეტენცია განახლებული კურიკულუმის დანერგვაში“ პროფესიული მახასიათებლები შემდეგი სახით არის წარმოდგენილი

1. მასწავლებლის ზოგადი პროფესიული კომპეტენცია
  - ა. ღრმა და ნათელი ცოდნა და გაგება
  - ბ. პიროვნული ღირსებები
  - გ. პროფესიული უნარ-ჩვევები
2. მასწავლებლის კომპეტენცია საგნის (მეცნიერულ) სპეციფიკასთან დაკავშირებით;

ქუინსლანდის სახელმწიფოს, განათლებისა და ხელოვნების დეპარტამენტის გებ-გვერდზე [54] გამოქვეყნებული პროდუქტიული პედაგოგის მახასიათებლები შემდეგნაირია:

### ინტელექტუალური ხარისხი

- ფიქრის უმაღლესი დონე
- ღრმა ცოდნა
- ღრმად გაგება
- რეალური საუბრები
- ცოდნა, როგორც პრობლემა

## **ლოგიკურობა, ურთიერთკავშირი**

- ცოდნის ინტეგრაცია
- საწყისი ცოდნები
- სამყაროსთან კავშირი
- პროცესუალური დამყარებული კურიკულუმი

## **პლასის მხარდაჭერი გარემო**

- სტუდენტების დამოძღვრა (მითითებების მიცემა)
- სოციალური მხარდაჭერა
- აკადემიური საქმიანობა
- შემაჯამებელი კრიტერიუმების ხარისხიანი შესრულება
- ოგიორუგულაცია

## **განსხვავებების აღიარება**

- კულტურული ცოდნები
- ჩართულობა
- ჯგუფის იდენტურობა
- აქტიური მოქალაქეობა

ამასთან განასხვავებენ „მაღალი“, „საშუალო“ და „დაბალი“ დონის პროდუქტიულ პედაგოგებს. მაღალი რეიტინგის მასწავლებლები შედარებით დაბალი დონის მასწავლებლებისაგან განსხვავდებიან:

- პასუხისმგებლობის გრძნობით
  - ეფექტურად გამოხატავენ და ხელს უწყობენ სტუდენტების სწავლების შედეგების ამაღლებას
  - გააზრებული აქვთ მასწავლებლობის როლი
  - გაგებული აქვთ კურიკულუმი
- მოყვანილია დაბალ და მაღალ დონედ დასახელებული ჯგუფების მახასიათებლები:

<b>მაღალი დონის მასწავლებლები</b>	<b>დაბალი დონის მასწავლებლები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებენ, რომ მათ არ შეუძლიათ გამოიწვიონ სტუდენტების სწავლის მოტივაცია</li> <li>• საკუთარ თავს სტუდენტების სწავლის ხელშემწყობებად განიხილავენ</li> <li>• ყველა სტუდენტებში ხედავენ ძალებს წარმატების მიღწევისათვის</li> <li>• საკუთარ თავზე საუბრობენ როგორც სწავლების პროცესის წარმმართველებზე</li> <li>• აუცილებლად მიაჩნიათ, სტუდენტებს შეუქმნან გარემო, ექსპერიმენტის ჩატარებისთვის</li> <li>• მეტ ყურადღებას უთმობენ უნარების და იდეის განვითარებას ვიდრე შინაარსის გადაცემას</li> <li>• შემოქმედებითად უდგებიან კურიკულუმს</li> <li>• დაბალი დონის ჯგუფთან, შედარებით ხშირად აწარმოებენ მონიტორინგს</li> <li>• ცდილობენ არასაპროგრამო მასალის დიდი რაოდენობით გამოყენებას</li> <li>• კოლეგებთან აწარმოებენ სწავლებასთან დაკავშირებით პროფესიულ დისკუსიებს</li> <li>• მზად არიან ისაუბრონ საკუთარ შეცდომებზე და სწავლებასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თვლიან, რომ სტუდენტები სწავლებაზე თავად არიან პასუხისმგებელნი</li> <li>• თვლიან, რომ მასწავლებლის კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ სტუდენტთა მიღწევებს</li> <li>• იძლევიან ინსტრუქციებს, რომლებიც ორიენტირებულია კლასის საშუალო დონეზე</li> <li>• თვლიან, რომ ზოგიერთი სტუდენტი ისწავლის, ზოგიერთი არა - ეს მათი გადასაწყვეტია</li> <li>• საკუთარ თავს აღიქვამენ ინფორმაციის მიმწოდებლებად</li> <li>• უჩივიან კურიკულუმის გასავლელად გამოყოფილ არასაკმარის დროს</li> <li>• უნარებსა და კონცეპციებზე მეტად ყურადღებას შინაარსზე ამახვილებენ</li> <li>• არ მოსწონთ საუბარი შეფასების შეზღუდვებზე</li> <li>• კოლეგებთან შედარებით ხასიათდებიან ბუნდოვანი პედაგოგიური საქმიანობით</li> <li>• მაღალი დონის კოლეგებთან შედარებით, ფრთხილად ეკიდებიან პირადი საქმიანობის განხილვას აღფთოვანებით აღნიშნავენ უფროსობის მხრიდან სამუშაოს შემოწმების პროცესს</li> </ul>

ნაციონალურ დონეზე აღიარებულ სერტიფიცირებულ მასწავლებელთა (NBCT) და ლიდერ მასწავლებელთა ქსელის (TLN) მიერ ჩატარებული კვლევა [83], რომლის მიზანია გამოავლინოს „კარგი მასწავლებლის“ მახასიათებლები (Characteristics of “quality teacher”) დასკვნის სახით განასხვავებს კარგი მასწავლებლის მახასიათებლის ხუთ ძირითად მიმართულებას:

## 1. მასწავლებლის მოვალეობა სტუდენტები და მათი სწავლებაა კარგ მასწავლებელს:

- აქვს სწავლების სურვილი
- გულწრფელად უყვარს ყველა სტუდენტი
- სჯერა სტუდენტების და მათი პოტენციალის
- სჯერა, რომ ყოველ სტუდენტს შეუძლია სწავლა
- იცნობს და პატივს სცემს ყოველ სტუდენტს როგორც პიროვნებას
- ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ მოთხოვნას, დამყარებულს მრავალმხრივ შეფასებაზე (ფორმალურზე და არაფორმალურზეც)
- თითოეული სტუდენტზე ამყარებს რეალურად მაღალ მოლოდინებს
- პატივს სცემს/აღნიშნავს სტუდენტების კულტურულ მრავალფეროვნებას
- სწრაფად და შესაბამისად ახდენს მეცადინეობების ადაპტირებას ინდივიდუალური სტუდენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
- ადგენს და ნერგავს სტუდენტის განვითარების შესაბამის მეცადინეობებს, რომელიც დამყარებულია განვითარების და ინტელექტის გავრცელებულ თეორიებზე

## 2. მასწავლებელმა იცის საგანი, რომელსაც ასწავლის და იცის სწავლების მეთოდიკა

კარგი მასწავლებელი:

- არის პროფესიონალი და ღრმად ფლობს იმ საგანს, რომელსაც ასწავლის

- ფლობს სწავლების ხელოვნებას ისევე კარგად, როგორც მის შინაარსს
- ამყარებს დისციპლინათა შორის კავშირს
- ეხმარება სტუდენტებს შეიცნონ საგნის შინაარსი რეალობასთან კავშირის საშუალებით
- ამჟღავნებს ენთუზიაზმს საგნის შინაარსთან დაკავშირებით
- ასწავლის სრულყოფილად, საზღვრებს გარეშე
- ხელახლა აფასებს და უკეთებს კორექტირებას გეგმებს საათების, დღეების, წლების მიხედვით სტუდენტების ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით
- შეუძლია განმარტოს/გაამართლოს ყველა სასწავლო გადაწყვეტილება სტუდენტების ცოდნაზე, ცოდნის შინაარსზე და მოკლე ან გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით
- აქვს სტრატეგიების და გადაწყვეტილებების ფართო რეპერტუარი იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც ასწავლის
- ატარებს სტუდენტზე ორიენტირებულ მეცადინეობებს, შემოქმედებითად უდგება შინაარსს. ატარებს ემოციურ, ნოვატორულ, დაკვირვებაზე და საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებულ მეცადინეობებს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის განვითარებას და ითვალისწინებს მის მოთხოვნებს.

### **3. მასწავლებელი პასუხისმგებელია სწავლების ორგანიზებასა და მონიტორინგზე**

კარგი მასწავლებელი:

- ახალისებს სტუდენტის კრიტიკულ აზროვნებას, ცხოვრების მანძილზე განათლებას (LLL), შემოქმედებითობას და რისკს, რათა შექმნას პოზიტიური, მხარდამჭერი, აღმზრდელობითი და მასტიმულირებელი გარემო
- აღიქვამს ყველა მითითებას როგორც შეფასებას

- იყენებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს (სტუდენტების მიერ შესრულებულ სამუშოს, ეპიზოდურ ჩანაწერებს, პორტფოლიოებს, ტესტებს და ა.შ.)
- ყველა მითითებას ამყარებს შეფასების შედეგებზე (ფორმალურზე და არაფორმალურზე)
- სტუდენტებთან ცხადად განმარტავს შეფასების განაწილების პუნქტებს
- აწარმოებს სტუდენტების შესაფერის, დროულ და კონსტრუქტიულ უპერაციურების (feedback)
- იკვლევს სტუდენტს სრულად (აკადემიურად, სოციალურად, ემოციურად და ფიზიკურად)
- მომთხოვნია სტუდენტების მიმართ და ახალისების მათ პასუხისმგებლობას სწავლასთან დაკავშირებით
- აწარმოებს კლასის ეფექტურ მენეჯმენტს
- ეფექტურად იყენებს დროსა და რესურსებს

#### **4. მასწავლებელი სისტემატიურად აანალიზებს საკუთარ პრაქტიკას და სწავლობს გამოცდილებებზე დაყრდნობით**

კარგი მასწავლებელი:

- საკუთარ პრაქტიკაში შესაბამისობის გათვალისწინებით შეაქვთ ცვლილებები
- სიხარულით ხვდება კონსტრუქტიულ კრიტიკას და აქტიურად აღიქვამს „წარუმატებლობებს“
- ცდილობს გაიღრმავოს საკუთარი პრაქტიკა უწყვეტი განათლების (LLL) მიღების გზით

#### **5. მასწავლებელი პროფესიული საზოგადოების წევრია**

კარგი მასწავლებელი:

- სკოლაში სტუდენტის დამცველია, საზოგადოების აქტიური წევრია, კარგი ხელმძღვანელი და აღმზრდელია, ლიდერი, ტრენერი და პარტნიორია
- პროფესიის დამცველია
- აქტიურადაა ჩართული განათლების ცვლილებებში
- ცდილობს ისწავლოს სტუდენტებისგან, მშობლებისგან, თანასწორრანგიანი თანამშრომლებისგან, კოლეგებისგან და საზოგადოებისაგან
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ეძებს სწავლების იმ გზებსა და საშუალებებს, რომლებიც მისი საგნის შინაარსს და პიროვნულ ინტერესებს სცილდება
- ანგითარებს მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებს მშობლებთან
- გაწევრიანებულია პროფესიულ ორგანიზაციებში
- სისტემატიურად იღრმავებს ცოდნას
- კოლეგებთან ერთად ზრუნავს სტუდენტებზე  
აქვე მოყვანილია რესპონსიული მიერ დასახელებული „კარგი მასწავლებლის“ პიროვნული თვისებები:

- გამომგონებელი
- ენერგიული
- ენთუზიაზმით  
ადსავსე
- ეთიკური
- ზრდილობიანი
- თანმიმდევრული
- თვითდაჯერებული
- აქტიური
- ინტუიტიური
- იუმორის მქონე
- შშვენიერი
- მიმართულების მიმცემი
- მოაზროვნე
- მომთმენი
- მომთხოვნი
- თავის მიმართ  
პატივცემული
- მოქნილი
- მზრუნველი
- ნდობის დამმსახურებელი
- ორგანიზებული
- პოზიტიური
- რეალურად მოტივირებული
- რისკიანი
- სანდო
- კოლაბორაციული
- შემოქმედებითი
- შემწყნარებელი
- ყურადღებიანი მსმენელი
- წამახალისებელი
- ხელმისაწვდომი<sup>10</sup>

თითოეული ამ მოდელის უკან, მოიაზრება პუნქტებად გაშლილი მოთხოვნები, რომელიც ავტორისათვის მისაღები და დასაბუთებულია.

ჩვენ სრულად ვერ გავიზიარეთ ვერც ერთი მოსაზრება. ამასთან გამოთქმული წინადაღებები ვერ ასახავენ კლასიკურ დიდაქტიკაში პედაგოგისადმი დამკვიდრებულ მოთხოვნებს. შევახამეთ რა ეს მოთხოვნები ქართულ რეალობასთან, გადავწყვიტეთ პედაგოგის პროფესიული სახე სამი ასპექტით მოვიაზროთ:

- **საგნის ცოდნა (მეცნიერული ცოდნა)**
- **მეთოდური მომზადება**
- **პიროვნული თვისებები**

---

<sup>10</sup> ხელმისაწვდომი – accessible –შინაარსით სააუდიტორიო დროის გარეთ (ზოგიერთ შემთხვევაში 24 საათის განმავლობაში) რაიმე ფორმით, საქმესთან დაკავშირებულ კონსულტაციის გაწევას გულისხმობს. კონსულტაციის ამგვარი ფორმა, ხშირ შემთხვევაში, პიროვნების მოვალეობის შესრულებაზე უფრო მიუთითებს ვიდრე მის გულისხმიერებაზე.

მიგვაჩნია, რომ უმაღლესი სკოლის პედაგოგის პროფესიული საქმიანობის შეფასება ამ კუთხით ამომწურავადაა შესაძლებელი.

საგნის ცოდნა ნიშნავს იმ საგნის, მეცნიერების საფუძვლიან, შეგნებულ ცოდნას, რომელსაც იგი ასწავლის. გარდა ამისა, იმ დარგის მეცნიერებათა სისტემაში გარკვევას, რომელსაც ეს საგანი ეკუთვნის და სპეციალობის მომიჯნავე საგნებში მომზადებას. უმაღლესი სკოლის მიზნიდან გამომდინარე მასწავლებელი მეცნიერ-მკვლევარიც უნდა იყოს, ანუ უნდა ფლობდეს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევებს და თანამედროვე მიღწევებით სისტემატიურად იღრმავებდეს ცოდნას.

მეთოდურ მომზადებაში პედაგოგიურ მეცნიერებათა ის დისციპლინები შეიძლება გავაერთიანოთ, რომელსაც პედაგოგი საკუთარი საგნის გარდა უნდა ფლობდეს, რათა გადაწყვიტოს სწავლების პროცესში წარმოქმნილი სიმებულები და პედაგოგიური მოღვაწეობა შეგნებულად და ხარისხიად წარმართოს.

სწავლებაში წარმატების მისაღწევად საგნის ღრმად ცოდნა და სწავლების მეთოდების და პრინციპების ფლობა საკმარისი არაა, აქ წარმმართველი ფაქტორი მასწავლებლის პიროვნება, მისი პიროვნებული თვისებებია.

ჩვენს მიერ მოაზრებული მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლის თეორიული მოდელი ვიკლიეთ ემპირიულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის. ინდივიდუალურად და ჯგუფურად გამოკითხულ იქნა თითქმის ყველა სპეციალობის 350 სტუდენტი. სტუდენტებს მივმართეთ კითხვით: „როგორი უნდა იყოს უმაღლესი სკოლის მასწავლებელი?“, წერილობით მოპოვებული ინფორმაცია შევაჯერეთ მოაზრებულ თეორიულ მოდელთან. (მასალიდან, შერჩეულ იქნა მხოლოდ ის მოსაზრებები, რომლებსაც რესპონდენტთა არანაკლებ 80% იზიარებდა).

ამრიგად, გავითვალისწინეთ რა უნივერსიტეტის სპეციფიკა, სტუდენტთა სურვილები და მოთხოვნები, მეცნიერულ საფუძველსა და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, აღნიშნულმა ასპექტებმა შინაარსობრივად გაშლის შედეგად შემდეგი სახე მიიღო:

## **უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები**

### **I. ცოდნა საგანში**

- ზოგადმეცნიერული მსოფლმხედველობა
- მეცნიერული ცოდნა
- პროფესიული მობილობა (საბაზო ცოდნის თანადროულობასთან მოდიფიცირება)
- მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევა
- კვალიფიკაციის ამაღლება და შემდგომი განათლება

### **II. მეთოდური მომზადება**

▷ პედაგოგიური ციკლის დისციპლინების ცოდნა

▷ საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნა

- სწავლების პროცესის დაგეგმვა და ორგანიზაცია
- სწავლების პროცესში დადებითი ემოციური ატმოსფეროს შექმნა
- სტუდენტის ინტერესების გათვალისწინება – სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება
- სტუდენტისადმი ინდივიდუალური მიღება
- სტუდენტის მოტივირება
- სტუდენტთან თანამშრომლობა
- მასალის გადმოცემა
- მეტყველების კულტურა
- სტუდენტის აქტივიზაციის ხერხების ფლობა:
  - ა. დისკუსია
  - ბ. დებატები
  - გ. საპროექტო მუშაობა
  - დ. გუნდური მუშაობა
  - ე. როლური თამაშები
  - ვ. მუშაობა წყვილებში და ა.შ.
- შეფასების სისტემის მოქნილობა, ღიაობა და ობიექტურობა
- ტექნიკური საშუალებების გამოყენება

- სტუდენტებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ჩამოყალიბება
- პედაგოგიური ტაქტი
- პედაგოგიური პვლევითი უნარები (სტუდენტის ცოდნისა და პიროვნული მახასიათებლების აღრიცხვა)

▷ **სტუდენტის პიროვნების აღზრდა**

- სტუდენტის მსოფლიმხედველობის ორიენტაცია ზოგადსაკაცობრო ფასეულობებზე
- სტუდენტებში თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბება
- სტუდენტებში წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის და პვლევის უნარის ჩამოყალიბება
- კრიტიკულ სიტუაციაში დახმარება და სტუდენტებისათვის რჩევის მიცემა

▷ **საუნივერსიტეტო საქმიანობაში მონაწილეობა**

- სწავლისათვის ხელშემწყობი ატმოსფეროს შექმნა
- მონაწილეობა სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში
- მონაწილეობა საზოგადოებრივ პროცესებში
- ზრუნვა უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო პროცესების გაუმჯობესებაზე

**III. პიროვნული თვისებები**

▷ **ზნეობრივ-ეთიკური სახე**

- საკუთარი კულტურისა და ტრადიციების, ფასეულობების პატივისცემა
- განსხვავებულ კულტურათა პატივისცემა
- პიროვნული ღირსების თვითშეგრძნება
- სტუდენტის პიროვნების პატივისცემა
- საკუთარი პროფესიის სიყვარული და დაცვა
- სტუდენტის სიყვარული
- მომთხოვნელობა, როგორც საკუთარი თავის, ასევე სტუდენტების მიმართ
- თვითდაკვირვება და თვითშეფასება

- საკუთარ თავზე მუშაობა
- პასუხისმგებლობის გრძნობა
- დისციპლინირებულობა
- ორგანიზებულობა
- ნდობის მაღალი ფაქტორი, როგორც კოლეგების ასევე სტუდენტების მხრიდან
- ენთუზიაზმი
- ინტეიტიურობა
- მომთმენობა და შემწყნარებლობა
- კოლეგიალურობა
- კომუნიკაბელურობა
- საკუთარი სუბიექტურობის, სტერეოტიპული აზროვნების, შეზღუდვების აღიარება
- ახალი იდეების და გამოცდილების მიღება და გაზიარება როგორც კოლეგების, ასევე სტუდენტებისა და საზოგადოებისაგან
- შემოქმედებითობა
- ზოგადი ერკედიცია

უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პიროვნული თვისებები ძალზედ მნიშვნელოვანი, წარმმართველი ფაქტორია სწავლების პროცესში, ჩვენს მიერ მოყვანილი ჩამონათვალი იდეალურ, ხშირად რეალობისგან დაშორებულ ვარიანტს შეესაბამება, თუმცა კი სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის ჩვენ იგი აუცილებელ ფაქტორად მიგვაჩნია.

ამრიგად, ჩვენ თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგად შევქმნით უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიოგრამის ჩვენებული ხედვა.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა პროფესიოგრამა, მიუხედავად კაცობრიობის მიერ შემუშავებული მარადიული მოთხოვნებისა მასწავლებლისადმი, დია და ცვლადი სისტემა. იგი მუდმივად ვითარდება და იცვლება საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად.

## **თავი II. უმაღლესი სკოლის მასწავლებლის შეფასება სტუდენტის მიერ**

### **§1. მასწავლებლის საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასების საკრედიტაციო მოთხოვნები**

საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესები უმაღლესი განათლების სფეროს მნიშვნელოვან გარდაქმნებს მოითხოვს. ძირეული ცვლილებები ბოლონიის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემასაც ეხება. ადსანიშნავია, რომ საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წლის მაისში შეუერთდა.

ბოლონიის პროცესის ძირითად მიმართულებათა შორის, ერთ-ერთი უმაღლესი სკოლის აკრედიტაციის საკითხია.

საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ აკრედიტაცია განმარტებულია როგორც: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემის უფლების) დადგენის პროცედურა. ამ პროცედურას ახორციელებს სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან/და საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრედიტაცია) შესაბამისობის დადგენით“.

ამჟამად საქართველოში უკვე ჩატარებულია ინსტიტუციური აკრედიტაცია. 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დასრულებული უნდა იყოს პროგრამული აკრედიტაციაც.


აკრედიტაციისაკენ მიმავალი გზა ევალვაციაა<sup>11</sup>. ევალვაციის მრავალნაირი განმარტება არსებობს. „თუ ვიტყვით, რომ არსებობს ევალვაციის იმდენნაირი განმარტება რამდენიც შემფასებელია არ ვიქნებით შორს სიმართლისაგან“.

განმარტებათა მრავალფეროვანი სპექტრიდან შეიძლება მოვიყვანოთ ევალვაციის ასეთი განსაზღვრება:

<sup>11</sup> Evaluation - შეფასება, ღირებულების განსაზღვრა.

ევალვაცია (Evaluation (Bewertung)): პროდუქტის, პროცესის ან პროგრამის ღირებულების შეფასების პროცესი, რომელიც არ მოითხოვს სისტემატიურ ქმედებებს ან მონაცემებზე დაფუძნებულ მტკიცებულებებს [52].

განათლების სფეროში ევალვაციის სტანდარტები ევროპაში სრულად ჯერ კიდევ არაა დადგენილი. გერმანის სასწავლო დაწესებულებებში, აშშ-ში ერთობლივი კომისიის მიერ შემუშავებული ევალვაციის სტანდარტების ადაპტირებული კრებული [43] გამოიყენება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში ბოლო პერიოდში ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით შემუშავებულია ევალვაციის ცალკეული ჩარჩო-პირობები. სტანდარტები ძალიან ზოგად მითითებებს და მოქმედების ფართო არეალს იძლევა. სასწავლო დაწესებულებები დიდი თავისუფლებით სარგებლობენ და ხელეწიფებათ საკუთარი შეხედულებისამებრ შეადგინონ ევალვაციის მოდელი. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ზაარლანდის უნივერსიტეტში თითოეული დარგორივი მიმართულების ევალვაციის სქემა, რომელიც სასწავლო პროცესის ყველა რგოლის შეფასებას გულისხმობს:



განათლების სფეროს ევალვაციის ერთ-ერთი რგოლი უმაღლესი სკოლის მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას მოიცავს. ჩვენს მიერ მოპოვებულმა მასალებმა დაგვარწმუნა, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებელთა შეფასების, ანუ ევალვაციის უამრავი მოდელი არსებობს. მოდელები, მირითადად საკუთრივ უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნების საფუძველზეა შემუშავებული, თუმცა, ევროპულ სივრცეში არსებული ევალვაციის მოდელები ბოლონიის პროცესის ზოგადი მოთხოვნების გათვალისწინებითაა შედგენილი. სიცხადისათვის მოვიტანთ რამდენიმე მოდელს.

ფლინდერსის „უნივერსიტეტის (ავსტრალია) მიერ შექმნილ ვებ-გვერდზე [72] „სწავლება&სწავლა“ მოტანილია მოსაზრება, რომ ევალვაციის პროცესში შეიძლება შედიოდნენ: თავად პიროვნება (პედაგოგი), სტუდენტები, თანასწორრანგიანი კოლეგები, სუპერვიზორები და ექსპერტები, რადგან ისინი სწავლება/სწავლის პროცესის სხვადასხვა მხარეს წარმართავენ.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრის (ERIC) მონაცემებზე დაყრდნობით ავტორი ბარეტ ჯოანი, თავის სტატიაში „მასწავლებელთა ევალვაცია“ [92] მასწავლებელთა შეფასებას შემდეგი კომპონენტებით მოიაზრებს: მასწავლებელთა ინდივიდუალური ინტერვიუირება, პედაგოგიური კომპეტენტურობის დამდგენი ტესტირება, კლასზე დაკვირვება, სტუდენტების რეიტინგი, კოლეგების შეფასება, სტუდენტების მიღწევები, ფაკულტეტის თვითევალვაცია. აქვე მოყვანილია „კარგი მასწავლებლის“ პიროვნული მახასიათებლების ჩამონათვალი, როგორც ირიბი ინდიკატორი, რომლის გამოყენებაც მასწავლებელთა ევალვაციისას ყოველთვის არაა შესაძლებელი.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, პედაგოგთა საქმიანობის შეფასების შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. შეფასება წარმოებს ადმინისტრაციის, კოლეგების, სტუდენტების მიერ. შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას საბოლოო შედეგი, მეთოდური უზრუნველყოფა, მეცადინეობის ხარისხი და სხვ. ყურადღება ექცევა თვითშეფასებასაც.

ჩვენ შევეცადეთ შეგვექნა მასწავლებლის შეფასების ისეთი მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების სისტემის, კერძოდ თსუ-ის თავისებურებანი. ჩვენებული მოდელის მიხედვით მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასება კომპლექსურად ხდება. შეფასების საბოლოო მიზანი რაოდენობრივ მახასიათებელზე გასვლაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება უმაღლესი სკოლის მასწავლებლის „ავ-კარგიანობის“ დადგენა. ნაშრომის საბოლოო მიზნის მიღწევა ამ ეტაპისათვის არ იგუგმებოდა, ეს ჩვენი მომავალი საქმიანობის შედეგი იქნება. ამჯერად ჩვენი მიზანი შეფასების ერთ-ერთი რგოლის, კერძოდ სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარის შექმნით შემოიფარგლებოდა.

ჩვენი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელიც თავის მხრივ ქვეყნის პოლიტიკის ნაწილია და აუცილებლობით

ითვალისწინებს ნაციონალური სტანდარტის თავისებურებებს, მასშიავლებლის პროფესიული საქმიანობა შეიძლება დავყოთ პედაგოგიურ და სამეცნიერო სფეროებად. ცხადია, იმთავითვე იგულისხმება, რომ პედაგოგიური საქმიანობის გამიჯვნა სამეცნიერო საქმიანობისაგან შეუძლებელია, ანუ ეს სფეროები ცალკე არ განიხილება.

შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მასშიავლებლის საქმიანობის სფეროები, პირობითად, შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



პედაგოგის საქმიანობის შეფასების ჩვენეულ მოდელში, მასშიავლებელი წარმოადგენს თვითანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ. შემდეგ შეფასება ხორციელდება ადმინისტრაციის (უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, ფაკულტეტის დაქვემდებარებული ერთეული - მიმართულება, დეპარტამენტი თუ ინსტიტუტი), კოლეგების, სტუდენტების მიერ. შემდგომში კოლეგების მიერ შეფასებას მოვიაზრებთ ადმინისტრაციის მიერ შეფასებაში, რადგან კოლეგა, თუ ყველა არა, ერთ-ერთი რგოლის წარმომადგენელი მაინც არის.

ჩვენი აზრით, ადმინისტრაციაში მასშიავლებელი შემდეგი პუნქტების მიხედვით შეიძლება შეაფასოს:

1. პროფესიული საქმიანობის შედეგი (სტუდენტთა ცოდნის დონე, სტუდენტთა ზოგადსასწავლო უნარები);
2. საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, საკუთარი საქმიანობის ანალიზის უნარი, კვლევითი უნარი (თეორიული და ექსპერიმენტული

მუშაობა), პროფესიული ზრდის მიმართულებით წარმართული საქმიანობა (სამეცნიერო შრომები, სარეკომენდაციო და მეთოდური ხასიათის პუბლიკაციები და სხვა);


3. თანამშრომლობის კულტურა (სტუდენტებთან, კოლეგებთან თანამშრომლობის უნარი, პროფესიული ეთიკა, პედაგოგიური ხელმძღვანელობის სტილი);
4. შრომითი საშემსრულებლო დისციპლინის დონე;

ამგვარ შეფასებას ემატება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და კოლეგების მიერ გამოხატული აზრი.


**მასწავლებლის თვითანგარიში** შესაძლოა შესრულებული სამუშაოს მიხედვით შემდეგ სფეროებში გაკეთდეს:

1. პედაგოგიური (სასწავლო, აღმზრდელობითი) საქმიანობა
2. სამეცნიერო საქმიანობა
3. სხვა აქტივობები

თუკი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარმოვიდგენთ შემდეგი სახით,




მაშინ უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შესრულება შესაძლოა შემდეგი სქემის მიხედვით დაევალოს:



თითოეულ რგოლს შესაძლოა გააჩნდეს როგორც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ასევე ერთმანეთზე დამოკიდებული საქმიანობა.

მასწავლებლისაგან, თითოეული საუნივერსიტეტო ერთოეული (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დეპარტამენტი, მიმართულება ოუ ინსტიტუტი) გარკვეული საქმიანობის (როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური) შესრულებას მოითხოვს. მიღებული შედეგების მიხედვით შესაძლოა შეფასდეს პედაგოგის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი. მოთხოვნათა თითოეულ პუნქტის დეტალური გაწერა, რომელსაც შესაძლოა თავისი რაოდენობრივი დატვირთვა, ანუ ქულების სხვადასხვა რაოდენობა პქონდეს, მხოლოდ ჩვენი შეხედულებისამებრ არასაკმარისად მივიჩნიეთ.

ამრიგად, მთელი სისტემის სტრუქტურული სახე ასე გამოიყურება:



სქემის მიხედვით წარმოდგენილი თვითანგარიშის, კოლეგებისა და სტუდენტების მიერ მასშავლებლის შეფასებისა და ფაკულტეტის ქეყროეულის ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, პირველ დონეზე დგება პედაგოგის საქმიანობის შეფასების რეიტინგი. შემდგომში იგი წარედგინება ფაკულტეტს. ფაკულტეტი თავის მხრივ, დაუმატებს რა საკუთარ შეფასებას და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, რეიტინგულ მაჩვენებელს გადასცემს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. შეფასების თითოეულ რგოლს ემატება „გარეშე შეფასება“, რომელიც სურვილისამებრ აისახება ანგარიშებში.

ჩვენ წარმოვადგინეთ უმაღლესი სკოლის მასშავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების ჩვენეული თვალთახედვა. ცხადია წარმოდგენილ მოდელში უამრავი ხარვეზი და უზუსტობა იქნება. ვფიქრობთ, ხელმძღვანელობის პოზიციიდან, მოცემული საკითხის ჩვენეული ხედვა საინტერესო იქნება შეფასების შემდგომი სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასშავლებლის საქმიანობის შეფასების მოდელი თეორიულად და ემპირიულად გადავამოწმეთ ზაარლანდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ევალვაციის ცენტრში. კერძოდ, ჩვენი თეორიული სქემა შევადარეთ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის მოქმედ მოდელებს, თეორიული შედარების შემდეგ ვაწარმოეთ მოდელის კონკრეტული განხილვა ზაარლანდის უნივერსიტეტის ევალვაციის დარგის ადმინისტრაციულ მუშაკებთან. მათი მითითებები ეხებოდა ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებას, თუმცა აღნიშნებოდა, რომ შეფასების ჩვენეული ნიმუშის მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია ევალვაციის საერთაშორისო ჩარჩოსთან.

## §2. საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების არსებული კითხვარები

მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემაში, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ კომპლექსურად მოიაზრება, ჩვენი შეხედულებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასებას უჭირავს, რადგან მასწავლებლის ძირითადი მოვალეობა, სწორედ რომ სტუდენტთან მუშაობა და მისი აღზრდაა. ამასთან, სტუდენტი მასწავლებლის შეფასებაში ყველაზე მეტად ობიექტური და მიუკერძოებელია. სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასება მოვიაზრეთ კითხვარის საშუალებით, რომელიც მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების (თეორიული და ემპირიული კვლევით მიღებული) საფუძველზე შევადგინეთ.

იმისათვის, რომ გაგვეთვალისწინებინა თანამედროვე სოციალური დაკვეთები მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლებისა და ის უარყოფითი მახასიათებლები, რომლებიც სამწესაროდ უნივერსიტეტის თანამედროვე კადრს გააჩნია, გადავწყვიტეთ კვლევითი სამუშაოს ჩატარება.

აღნიშნული სამუშაო დაგიწყეთ მსოფლიოში ამ მიმართულებით არსებული და აპრობირებული სტუდენტთა მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარების მოძიებით. მოვიძეთ ბეჭდურ და ელექტრონულ წყაროებში გამოქვეყნებული, სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების უამრავი კითხვარი. გთავაზობთ თსუ-ში გავრცელებული კითხვარების დამდენიმე მაგალითს:

### **აშშ-ს მოდელის თარგმანი (თხუ-ში არსებული ვარიანტი)**

№	კითხვები
1.	მასწავლებელი მიჰყვება კურსის გეგმას, როგორც ეს დამტკიცებულია პროგრამით (განრიგით)
2.	მასწავლებელი იძლევა ამ კურსის მიზნების შესაფერის დაგალებებს
3.	მასწავლებელი მკაფიოდ ხსნის შეფასების სისტემას
4.	მასწავლებელი სტუდენტისათვის მისაწვდომია კლასგარეშეც

5.	მასწავლებელი კარგადაა მომზადებული
6.	მასწავლებელი ლაპარაკობს ადვილად გასაგები ენით
7.	მასწავლებელი განიხილავს თავისაგან განსხვავებულ მოზაზრებებს
8.	მასწავლებელი მიმოიხილავს უცანასკნელ სიახლეებს საგნის გარშემო
9.	მასწავლებელი წარმოადგენს იდეებისა და კონცეფციების საწყისებს
10.	მასწავლებელი ხსნის გასაგებად
11.	ლექციები კარგადაა დაგეგმილი და საკითხის განხილვა მაღალ დონეზეა ორგანიზებული
12.	მასწავლებელი ყურადღებით და ზუსტად პასუხობს შეკითხვებს
13.	მასწავლებელი აჯამებს უმთავრეს მომენტებს
14.	მასწავლებელი სახავს მიზნებს ყოველი საკლასო მუცადინეობისთვის
15.	მასწავლებელი ახალისებს საკლასო განხილვებს
16.	მასწავლებელი გვიწვევს საკუთარი იდეების გასაკრიტიკებლად
17.	მასწავლებელმა იცის, ესმისს თუ არა კლასს მისი
18.	მასწავლებელი ყურადღებას აქცევს საკუთარ საქმიანობის ხარისხს
19.	მასწავლებელი გულწრფელად არის დაინტერესებული სტუდენტებით
20.	მასწავლებელი ეპურობა სტუდენტებს როგორც პიროვნებებს
21.	მასწავლებელი არის დინამიური და ენერგიული პიროვნება
22.	მასწავლებელს აქვს ლექციის კითხვის საინტერესო სტილი
23.	მოსწონს მასწავლებლობა
24.	მასწავლებელი ენთუზიასმით ეპურობა თავის საგანს
25.	მასწავლებელი როგორც ჩანს, თვითდაჯერებულია
26.	მასწავლებელი ცვლის თავისი საგნის გადმოცემის სიჩქარესა და ტონს
27.	მაიძულებს მე ვიმუშაო საუკეთესოდ
28.	მოტივაციას მიკეთებს ვიმუშაო საუკეთესოდ
29.	მასწავლებელი გამოცდებზე მოითხოვს შემოქმედებით, ორიგინალურ მოფიქრებას
30.	გამოცდების და დავალებების მოცემული ხასიათი ადვილად საპასუხოა
31.	მასწავლებელი იძლევა დავალებებს და საგამოცდო საკითხებს, რომლებიც სავსებით მისაღების მოცულობით და სირთულით

32.	მასწავლებელი შეფასებას სვამის პატიოსნად და სამართლიანად
33.	განვიხილავთ რა კურსისა და საგნის შესაძლებლობებს და შეზღუდვებს, როგორ საერთო შეფასებას მისცემთ მასწავლებელს
34.	ყურადღებას ვამახვილებ კურსის შინაარსზე, რამდენად ლიტერატურულია მოცემული კურსი სხვა კურსებთან შედარებით, რომელიც ჩვენ გავიარეთ უნივერსიტეტში

### აშშ-ს მოდელის თარგმანი (თხუ-ში არსებული ვარიანტი)

Nº		სრულიად არ გვთანხმდები	არ გვთანხმდები	ნეიტრალური	გვთანხმდები	სრულიად გვთანხმდები
1.	ლექტორი მასალას გადმოსცემს ნათლად და გასაგებად	1	2	3	4	5
2.	ლექტორი ეფექტურად იყენებს სასწავლო-დამხმარე და ტექნიკურ საშუალებებს	1	2	3	4	5
3.	ლექტორი ემზადება მეცადინეობისათვის	1	2	3	4	5
4.	ლექტორი გონივრულად ხელმისაწვდომია კლასის გარეთ	1	2	3	4	5
5.	სტუდენტები თავისუფლად გრძნობენ თავს შეკითხვის დასმისას	1	2	3	4	5
6.	ლექტორი სტუდენტებს განიხილავს პატივისცემით	1	2	3	4	5
7.	ლექტორი ახალისებს კლასის მონაწილეობას	1	2	3	4	5
8.	ლექტორი უზრუნველყოფს განვლილი მასალის კონკრეტულ ფონს	1	2	3	4	5
9.	ლექტორი უბრუნდება განვლილ მასალას სწრაფად	1	2	3	4	5
10.	შეფასების კრიტერიუმები იყო ნათლად ახსნილი და გატარებული	1	2	3	4	5
11.	საბოლოოდ როგორ შეაფასებო მასწავლებელს (ძალიან ცუდი, ცუდი, დამაკმაყოფილებელი, კარგი, საუკეთესო)	1	2	3	4	5

	კურსმა გადაფარა გამოცხადებული საკითხები	1	2	3	4	5
13.	სასწავლო მასალა სწავლისათვის მოსახერხებების	1	2	3	4	5
14.	შეფასებები და საშინაო დავალება სასარგებლოა სწავლისათვის	1	2	3	4	5
15.	საგამოცდო საკითხები მხოლოდ კურსის საკითხებია	1	2	3	4	5
16.	კურსის ობიექტურიბის დონე (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი)	1	2	3	4	5
17.	საერთოდ, როგორ აფასებთ ამ კურსს (ძალიან ცუდი, ცუდი, დამაკმაყოფილებელი, კარგი, საუკეთესო)	1	2	3	4	5

**გერმანული (შტუტგარდის უნივერსიტეტი) მოდელის თარგმანი (თსუ-ში არსებული  
გარიანტი)**

№	ლექტორთან დაკავშირებული კითხვები	ძალიან გარები	გარები	დამატებულ ფოლებელი	საგარისი	ნატურალ ცენტი
1.	კურსის მიზნები და მოთხოვნები ახსნილი იყო	0	1	2	3	4
2.	კურსის სტრუქტურა იყო	0	1	2	3	4
3.	ლექტორის მომზადება და პასუხისმგებლობა	0	1	2	3	4
4.	კურსში განხილული ფაქტები და პრობლემები ახსნილი იყო	0	1	2	3	4
5.	ლექტორის სტუდენტებთან თანამშრომლობის უნარი (მაგ. კითხვებით) იყო	0	1	2	3	4
6.	ლექტორის უნარი გამოიყენოს დაფა, სლაიდები, კომპიუტერი იყო	0	1	2	3	4
7.	მოლიანობაში როგორ აფასებთ ლექტორს როგორც პედაგოგს	0	1	2	3	4

აქვე გთავაზობთ თსუ-ში შექმნილ სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების  
რამოდენიმე კითხვარს:



**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პედაგოგის ხელოვნების შეფასება სტუდენტის მიერ  
(თხუ სახურავლო-მეთოდური სამმართველოს გარიანტი)**

გთხოვთ, მოგვაწოდოთ პედაგოგის პროფესიული და პიროვნეული თვისებების თქვენების შეფასება. კარგად გაიაზრეთ თითოეული კითხვა და ობიექტურად მიუთითოთ პასუხი. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი თანადვორმა დიდად წაადგება სახურავლო პროცესის შემდგომ სრულყოფას და თავად კონკრეტული პედაგოგის მომავალ საქმიანობას.

**პედაგოგი**

**დისციპლინა**

**კითხვარი კონფიდენციალურია**

პალიან გარები	გარები	საქმიანისი	ცუდი	ალიან ცუდი	გერ გაფასებ
---------------	--------	------------	------	------------	-------------

1. დისციპლინის მიზნები და ამოცანები. ცოდნის 5 4 3 2 1 0  
შეფასების სისტემა, ფორმები და კრიტერიუმები  
თავიდანვე მკაფიოდ იყო ახსნილი
2. ლექციები კარგად აქვს დაგეგმილი. თანმიმდევრულად, 5 4 3 2 1 0  
ლოგიკურად მიჰყება დამტკიცებულ პროგრამას, წარმო-  
ადგენს იდეებსა და კონცეფციებს, იძლევა რთული მო-  
მენტების ამომწურავ განმარტებას
3. მეცადინეობაზე თემის ირგვლივ მოხმობილია უახლესი 5 4 3 2 1 0  
მასალა
4. ლექციაზე ეფექტურად იყენებს თვალსაჩინოებას (დაფა, 5 4 3 2 1 0  
სლაიდები, კომპიუტერი, ვიდეო-მასალა)
5. საშინაო დაგალებები კურსის მიზნების შესაბამისი, 5 4 3 2 1 0  
მაკაფიოდ  
განსაზღვრული და შესრულებადია

6. მეცადინეობაზე ახერხებს შეაფასოს ჯგუფის მიერ  
მიცემული დავალების შესრულების ხარისხი      **5 4 3 2 1 0**
7. საკონტროლო საკითხები სრულად შეესაბამება გავლილ  
პროგრამას,  
მისაღებია მოცულობითა და სირთულით      **5 4 3 2 1 0**
8. ახდენს კოლოკვიუმების, საკონტროლო წერების  
შეჯამებასა და ანალიზს      **5 4 3 2 1 0**
9. თემის შეჯამებისას ყველა აქცენტი ზუსტად და  
სტუდენტებისათვის ზედმიწევნით გასაგებადაა  
გაძლიერებული      **5 4 3 2 1 0**
10. შესწავლილ მასალას უკავშირებს მომავალ  
პროფესიულ და  
საზოგადოებრივ საქმიანობას      **5 4 3 2 1 0**
11. ლექცია და პრაქტიკული მუშაობა ერთმანეთს  
ეხამებოდა      **5 4 3 2 1 0**
12. დისციპლინა იწვევს ინტერესს, კურსის  
ინტელექტუალური დონე დამაკაყოფილებელია      **5 4 3 2 1 0**
13. კარგად მომზადებული და მომხთოვნია საკუთარი  
თავის მიმართ      **5 4 3 2 1 0**
14. ფლობს აუდიტორიას, იოლად შეუძლია მასთან  
ურთიერთობა,  
ადვივებს ინტერესს საგნისადმი      **5 4 3 2 1 0**
15. აქვს ორატორული ნიჭი (დიქცია, მეტეკველების  
კულტურა, თხრობის ნორმალური ტემპი)      **5 4 3 2 1 0**

16. გვერდს არ უგლის სადაო საკითხებს, არ ერიდება 5 4 3 2 1 0  
აუდიტორიაში დისკუსიას, ყურადღებითა და ზუსტად  
პასუხობს შეკითხვებს, განიხილავს იმ  
მოსაზრებებსაც, რომლებიც მისთვის მიუღებელია
17. პატივს სცემს თავის საქმეს, პროფესიონალია, 5 4 3 2 1 0  
გულწრფელად არის დაინტერესებული სტუდენტების  
მომზადების ხარისხით
18. მისი დამოკიდებულება საქმისადმი აიძულებს 5 4 3 2 1 0  
სტუდენტს თავადაც პასუხისმგებლობით მოეკიდოს  
საგანს
19. წამოჭრილი კითხვების გასარკვევად შეგვიძლია აუდი- 5 4 3 2 1 0  
ტორიის გარეთ მიგმართოთ და მივიღოთ პასუხი,  
ურთიერთობა მასთან იოლია,  
მაგრამ ზღვარი არ იშლება
20. კეთილმოსურნე და ტაქტიანია სტუდენტებთან 5 4 3 2 1 0  
დამოკიდებულებაში. შეუძლია მათი პრობლემების  
გააზრება და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა
21. სტუდენტი მისთვის პიროვნებაა, ანგარიშს უწევს მის 5 4 3 2 1 0  
პრინციპებს და მოსაზრებებს, აფიქრებს მისი მომავალი
22. დაინტერესებულია სტუდენტების წარმატებით, 5 4 3 2 1 0  
ახალისებს მათ კარგ მუშაობას
23. მოითხოვს შემოქმედებით, ორიგინალურ აზროვნებას 5 4 3 2 1 0  
და აფასებს მას
24. მომთხოვნია, მკაცრი, მაგრამ ობიექტური, შეფასებებს 5 4 3 2 1 0  
სვამს სამართლიანად

25. თავის მიმართ განაწყობს სტუდენტებს მაღალი  
ინტელექტით, დახვეწილი ქცევებითა და გარეგნობით 5 4 3 2 1 0

26. რამდენად თავისუფალი ხართ სასწავლო  
ლიტერატურის შერჩევისას 5 4 3 2 1 0

27. ისურვებდით თუ არა თქენი შვილის აუდიტორიაში მის  
შესვლას 5 4 3 2 1 0

28. პროგრამით გათვალისწინებული კურსი წაკითხულ იქნა  
მოცულობით:  
  
 $> 80\% - „5“, 61-80\%-მდე - „4“, 41-60\%-მდე - „3“, 21-40\%-მდე - „2“, < 20\% - 1$  5 4 3 2 1 0

შეფასებათა სკალა 5 ბალიანია. გთხოვთ გადახაზოთ ოქუენთვის მიხალები ნიშანი.

## ზოგადი შეფასება და წინადაღებები კურსისადმი

პრაქტიკული მეცადინეობების % რომელსაც ესწრებოდით -----  
მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის. გვჯერა თქვენი გულწრფელობისა.



**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კითხვარი სასწავლო დისციპლინის სწავლების შესახებ  
(თხუ მეთოდსაბჭოს ვარიანტი)**

გთხოვთ, ხტუდებებს გულდასმით შეავხოთ კითხვარი. თქვენი თანადგომა დიდად წაადგება სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფასა და თავად კონკრეტული პედაგოგის მომავალ საქმიანობას.

**ფაკულტეტი** \_\_\_\_\_

**დისციპლინა** \_\_\_\_\_

**პედაგოგი** \_\_\_\_\_

**კითხვარი კონფიდენციალურია**

მდგრად ანგაზვა	გარე	საჭირო	ცუდი	გადაიცემული	გადაიცემული
----------------	------	--------	------	-------------	-------------

- |  |
|--|
| 1. დისციპლინის (მისი ნაწილის) მიზნები და ამოცანები, 5 4 3 2 1 0<br>ცოდნის შეფასების სისტემა (ფორმები და კრიტერიუმები)<br>თავიდანვე მკაფიოდ იყო ახსნილი |
| 2. ლექციები კარგადაა დაგეგმილი, რთული მომენტები 5 4 3 2 1 0<br>ამომწურავადაა განმარტებული  |
| 3. საჭიროების შემთხვევაში თვალსაჩინოების ხერხები 5 4 3 2 1 0<br>ეფექტურად გამოიყენება (ცარცი, სლაიდები, კომპიუტერი<br>და ა.შ.)                         |
| 4. ახდენს კოლოკვიუმების შეჯამებასა და ანალიზს 5 4 3 2 1 0  |
| 5. თემის შეჯამებისას ყველა აქცენტი ზუსტად და   |

## სტუდენტისათვის გასაგებადაა გაკეთებული

6. შესწავლილი მასალა უკავშირდება მომავალ პროფესიულ  
საქმიანობას 5 4 3 2 1 0
7. ლექტორი ფლობს აუდიტორიას, იოლად შეუძლია მასთან ურთიერთობა, აღვივებს ინტერესს საგნისადმი. ფლობს ორატორულ ნიჭს (დიქცია,  
მეტყველების კულტურა, თხრობის ნორმალური ტემპი) 5 4 3 2 1 0
8. გვერდს არ უვლის სადაო საკითხებს, არ ერიდება აუდიტორიაში დისკუსიას. განიხილავს იმ მოსაზრებებსაც, რომლებიც მისთვის მიუღებელია 5 4 3 2 1 0
9. საქმისადმი ლექტორის დამოკიდებულება სტიმულს აძლევს სტუდენტს, თავადაც პასუხისმგებლობით მოეკიდოს საგანს 5 4 3 2 1 0
10. წამოჭრილი კითხვების გასარკვევად თუ შეგვიძლია პედაგოგს მივმართოთ აუდიტორიის გარეთ და მივიღოთ მისგან პასუხი. ურთიერთობა მასთან იოლია, მაგრამ ზღვარს არ ცდება 5 4 3 2 1 0
11. კეთილმოსურნე და ტაქტიანია სტუდენტებთან დამოკიდებულებაში, შეუძლია მათი პრობლემების გააზრება და საჭიროების შემსთვევაში მხარდაჭერა 5 4 3 2 1 0
12. დაინტერესებულია სტუდენტის წარმატებით, ახალისებს მათ კარგ მუშაობას 5 4 3 2 1 0
13. მოითხოვს შემოქმედებით, ორიგინალურ აზროვნებას და აფასებს მას 5 4 3 2 1 0
14. მომთხოვნია, მკაცრია, მაგრამ ობიექტური, სტუდენტის ცოდნას აფასებს სამართლიანად 5 4 3 2 1 0

შეფასებათა სკალა 6 ბალიანია. გთხოვთ გადახაზოთ ოქუმების მისაღები ნიშანი.

**დამატებითი მოსაზრებები სასწავლო დისციპლინის**

**სწავლებასთან დაკავშირებით**

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

ლექციათა % რომელსაც ესწრებოდით -----

პრაქტიკული მეცადინეობების % რომელსაც ესწრებოდით -----

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის

## კურსის შეფასების ფორმა

(თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ვარიანტი)

ძვირფასო სტუდენტო,

ამ ფორმის მიზანია მივიღოთ ობიექტური მონაცემები კურსის მიმდინარეობის შესახებ, რაც დაეხმარება თვით ლექტორს და ადმინისტრაციას მიიღოს ზომები სწავლების უფრო მაღალი დონის მისაღწევად. გთხოვთ კურადღებით შეისწავლოთ კითხვები და აღნიშნოთ ერთ-ერთი შეფასება ჯვრის დასმით.

### ნურაფერს დაწერთ თქვენი ვინაობის შესახებ

საგნის დასახელება . . . . . რიცხვი . . . . .

ლექტორის გვარი და სახელი . . . . .

№	ლექტორის დახასიათება	საუკეთესო	ძალიან გარები	კარგი	საშუალო	სუსტი
1.	პროფესიონალიზმი თავის სფეროში					
2.	მნიშვნელოვანი საკითხების განმარტება და გამეორება					
3.	სტუდენტთა აქტივობა ლექციის დროს					
4.	პასუხის ხარისხი სტუდენტთა შეკითხვებზე					
5.	დავალებების მიცემა მასალის განმტკიცების მიზნით					
6.	მასალის ასენისას მისი მაგალითებით განმტკიცება					
7.	გადმოცემული მასალის ათვისების ხარისხი					
8.	სტუდენტებთან ურთიერთობა					

9.	სტუდენტებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება				
10.	აუდიტორიაში სიტუაციის ფლობა				
11.	საგამოცდო და შესწავლილი მასალის შესაბამისობა				
12.	საგამოცდო კითხვების ხარისხი				
13.	გამოცდის ობიექტურობა				
14.	სტუდენტთა ლექციებზე დასწრება				

უკანასკნელ წლებში, თსუ ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, შემუშავებულ იქნა სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის. მაგალითისათვის წარმოგიდგენთ 2007 წელს გამოქვეყნებულ [87] კითხვარს სტუდენტებისათვის:

ძვირფასო სტუდენტებო, თქვენთვის ცნობილია, რომ უნივერსიტეტში ამჟამად რეფორმა მიმდინარეობს და სერიოზული ცვლილებები ხდება სწავლების პროცესში. გვაინტერესებს თქვენი აზრი მიმდინარე რეფორმასა და სასწავლო პროცესზე, ამიტომ, გთხოვთ, პასუხი გასცეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. თქვი პასუხები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათზე დაყრდნობით დაიგეგმება მომავალი მუშაობა.

- დაგხვდათ თუ არა ცხრილი გამოკრული ფაკულტეტზე სათანადო ადგილას, როდესაც პირველ სემესტრში სწავლა დაიწყო? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. ცხრილი გამოკრული იყო სათანადო ადგილას
  2. ცხრილი გამოკრული იყო, მაგრამ ისეთ ადგილას, რომ სპეციალურად თუ არ მიგითოთებდნენ, ვერ მიაგნებდი
  3. ცხრილი არ იყო გამოკრული და არც გამოუკრავთ შემდეგში
  4. ცხრილი გამოაკრეს დაგვიანებით
  5. სხვა: \_\_\_\_\_
2. აცდენდნენ თუ არა ლექტორები ლექციებს (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
1. საერთოდ არა
  2. კი, იშვიათად
  3. კი, ხშირად
  4. სხვა: \_\_\_\_\_
3. გაგმაყოფილებთ თუ არა სწავლის პირობები?
1. აუდიტორიაში საგმარისი ადგილი არ არის, ყველა სტუდენტი ვერ ეტევდა
  2. გათბობა არ არის
  3. მერხებია დამტვრეული
  4. დაფა არ არის
  5. სინათლე არ არის
  6. სხვა: \_\_\_\_\_
4. გიმლით თუ არა სწავლაში ხელს ეს სირთულეები? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
1. დიახ, ძალიან
  2. არც ისე
  3. თითქმის არა
  4. სხვა: \_\_\_\_\_
5. რას ნიშნავს ძირითადი და დამატებითი სპეციალობა? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
1. ბაკალავრი სტუდენტი ირჩევს ან ძირითად, ან დამხმარე სპეციალობას
  2. მაგისტრი სტუდენტი ირჩევს ძირითად და დამხმარე სპეციალობას

3. ბაკალავრმა სტუდენტმა უნდა მიიღოს ორივე: ძირითადი და დამხმარე სპეციალობა, ოღონდ, დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობაა განსხვავებული
  4. ბაკალავრმა სტუდენტმა უნდა მიიღოს ორივე: ძირითადი და დამხმარე სპეციალობა, თანაც, დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა ერთი და იგივეა
  5. არ ვიცი
6. გასაგები იყო თუ არა თქვენთვის, რა პრინციპით უნდა აგერჩიათ სპეციალობები და კურსები? (აღნიშნეთ მხრივ ერთი პასუხი)
1. აბსოლუტურად გაუგებარი იყო, მაგრამ მოგვიანებით გავერკვის
  2. თავიდანვე გასაგები იყო
  3. ვერც მაშინ გავიგე და არც ახლა მესმის
7. გაქმაყოფილებთ თუ არა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული სიტუაცია?
1. ყველა სახელმძღვანელო შეიძლება იყიდო
  2. ზოგი სახელმძღვანელო იყიდება, ზოგიც ბიბლიოთეკაშია
  3. ზოგი სახელმძღვანელო საერთოდ არ იშოვება და გვიწევს მათი გადაქსეროქსება
  4. სახელმძღვანელოები ქართულად არ არის, ხოლო სხვა ენებზე კითხვა გვიჭირს
  5. ლექტორები ძალიან ბევრ სახელმძღვანელოს გვთხოვენ ერთი კურსის ფარგლებში
  6. სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში არ არის
  7. სხვა:
- 
8. გაგიწიათ თუ არა ვინმებ კონსულტაცია, რომელი კურსები აგერჩიათ? (აღნიშნეთ მხრივ ერთი პასუხი)
1. დიახ, ამისათვის სპეციალურად არსებობს თანამშრომელი ფაკულტეტები
  2. თანამშრომელი არ არის, მაგრამ ლექტორები გვაძლევდნენ რჩევებს
  3. არავინ არ გვაძლევდა რჩევებს
  4. სხვა:—————

9. იცით თუ არა, რას ნიშნავს კრედიტი და როგორ უნდა მიიღოთ ის? (აღნიშნეთ მხრივოდ ერთი პასუხი)

1. ვიცი კარგად
2. ვიცი ბუნდოვნად
3. მხრივოდ მსმენია
4. არ ვიცი

10. საქმარისი იყო თუ არა საგნების შესწავლისათვის გამოყოფილი დრო სემესტრის განმავლობაში? (აღნიშნეთ მხრივოდ ერთი პასუხი)

1. დიახ, სრულიად საქმარისი
2. ჯობდა ცოტათი მეტი დრო დათმობოდა
3. ძალიან ცოტა დრო იყო გამოყოფილი
4. სხვა: \_\_\_\_\_

11. წარმოგიდგინათ თუ არა ლექტორმა კურსის დაწყებისთანავე სილაბუსი? (აღნიშნეთ მხრივოდ ერთი პასუხი)

1. დიახ, ყველაზ
2. დიახ, დახლოებით  $3/4$ -მა
3. დიახ, დაახლოებით ნახევარმა
4. დიახ, დაახლოებით  $1/4$ -მა
5. დიახ, მხრივოდ ერთი-ორმა
6. არავინ

(თუ ამ კითხვაზე პასუხიად შემოხაზავთ 6-ს, მაშინ 12-ს არ ავსებოთ)

12. თუ წარმოგიდგინათ, დაგეხმარათ თუ არა ეს სწავლების ორგანიზებაში? (აღნიშნეთ მხრივოდ ერთი პასუხი)

1. დიახ, ძალიან
2. დიახ, საშუალოდ
3. დიახ, ოდონდ უმნიშვნელოდ
4. საერთოდ არ დამხმარებია
5. არ მესმის, რა საჭიროა საერთოდ სილაბუსის დარიგება

13. დაახლოებით რა თანხა გეხარჯებათ მასალების ასლის გადაღებაზე ერთ სემესტრში? (აღნიშნეთ მხრივოდ ერთი პასუხი)

1. 10-დან 20 ლარამდე

2. 20-დან 30 ლარამდე
  3. 30-დან 40 ლარამდე
  4. 40-დან 50 ლარამდე
14. რას ფიქრობთ შეფასების 100 ქულიან სისტემაზე? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
1. კარგია, რადგან უკეთ აჩვენებს განსხვავებებს სტუდენტებს შორის
  2. კარგია ის, რომ მთელი სემესტრის მანძილზე სწავლას აფასებს
  3. კარგია ზემოთ მოყვანილი ორივე მიზეზის გამო
  4. შეფასების ახალი სისტემის შემოდებით არაფერი შეცვლილა
  5. ცუდია, რადგან ითვალისწინებს ისეთ არაარსებით მხარეებს, როგორიცაა, მაგალითად, დასწრება
  6. ცუდია, რადგან მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ასახავს რეალურ ცოდნას
  7. ცუდია ზემოთ მოყვანილი ორივე მიზეზის გამო
  8. სხვა: \_\_\_\_\_
15. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ძირითადი სპეციალობით? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
1. დიახ,
  2. არა, რომ შემეძლოს, შეცვლიდი არჩევანს
  3. სხვა: \_\_\_\_\_
16. საერთოდ, როგორ შეაფასებდით თქვენს არჩევანს, გესტავლათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
1. მოლოდინი გამიმართლდა
  2. მოლოდინი ნაწილობრივ გამიმართლდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ
  3. უკმაყოფილო ვარ, მოლოდინი თითქმის არ გამიმართლდა
  4. საერთოდ არ უნდა ჩამებარებინა ამ ფაქულტეტზე
  5. საერთოდ არ უნდა ჩამებარებინა უნივერსიტეტში
  6. სხვა: \_\_\_\_\_

მიუთითეთ ფაქტურები:

- ა. პუმანიტარული
- ბ. სოციალური და პოლიტიკური
- გ. საბუნებისმეტყველო
- დ. სამედიცინო
- ე. იურიდიული
- ვ. ეკონომიკური

### გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

შემთხვევაში განხილული კითხვარი, როგორც დასავლური, ისე ადგილობრივი, არასაკმარისად მივიჩნიეთ შემდეგი მიზეზებისა გამო:

- ა. დასავლური კითხვარები შედგენილი იყო ადგილობრივი მოთხოვნებისა და სასწავლო სისტემის შესაბამისად, რაც არავითარ შემთხვევაში არ ეთანადებოდა ჩვენი საზოგადოებისა და სასწავლო სისტემის მოთხოვნებს;
- ბ. ადგილობრივი კითხვარები რიგ შემთხვევაში წარმოადგენდა დასავლური კითხვარების ასლებს, ამასთან მათი შედგენისას ვფიქრობთ არ ყოფილა გათვალისწინებული, მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების თეორიული მოდელისა და სტუდენტის თანამედროვე დაკვეთები, ასევე ზოგიერთ ვარიანტში არ ყოფილა დაცული კითხვარის შედგენის პრინციპები. კერძოდ, კითხვები კომპლექსური იყო, რაც თავის მხრივ გამორიცხავს პასუხის სისწორეს.

აღნიშნული მიზეზების გამო, ჩვენი მუშაობა მთლიანად ემპირიულ კვლევაზე აიგო. კვლევის დეტალურ აღწერას შემდეგ პარაგრაფში გთავაზობთ.

### §3. კვლევის შედეგად შექმნილი სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარები

მეცნიერული კვლევის ძირითადი მიზანია კონკრეტული ობიექტის და მისი სტრუქტურის მნიშვნელოვანი მახასიათებლების სხვა ობიექტებთან და მოვლენებთან კავშირის ჭეშმარიტი განსაზღვრა, აგრეთვე მეცნიერებაში დამუშავებულ პრინციპებსა და შემცნების მეთოდებზე დაყრდნობით ადამიანისათვის სასარგებლო შედეგების მიღება და წარმოებაში დანერგვა.

ძირითადად, მეცნიერული კვლევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ემპირიული, ისე თეორიული მეთოდი.

„თეორიული მეთოდი გამოიყენება ობიექტის (მოვლენის) სტრუქტურისა და ყოფაქცევის დასადგენად მეცნიერებაში დამუშავებული პრინციპებისა და მეთოდების საშუალებით მანამდე არსებული მეცნიერულ დაკვირვებებზე და მათ განზოგადებაზე დაყრდნობით. თეორიული გამოკვლევების შედეგები, როგორც წესი, უნდა დამტკიცდეს ექსპერიმენტით. ზოგჯერ თეორიული გამოკვლევები იმდენად დრმად ასახავენ ბუნების ზოგად კანონზომიერებებს, რომ საშუალებას იძლევიან რიგი ახალი მოვლენების და ეფექტების წინასწარმეტყველებისა.

ემპირიული მეთოდი მდგომარეობს გამოსაკვლევი მოვლენის (ობიექტის) ზუსტ აღწერაში და ამ მოვლენასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორების დეტალურ შესწავლაში. თავის მხრივ, ემპირიული ამოცანები წყდება ორი გზით – დაკვირვებით და ექსპერიმენტით“ [3].

დაკვირვება ნიშნავს შესასწავლ მოვლენაზე (საგანზე) ბუნებრივი, შეუიარაღებელი თვალით დაკვირვებას (ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით) და მის შესახებ ფაქტების შეგროვებას იმ ზომით, რომ შესაძლებელი იყოს განზოგადება, დასკვნის გამოტანა და კანონზომიერებათა დადგენა.

ექსპერიმენტი არის შემცნების ყველაზე ზოგადი ემპირიული მეთოდი. ექსპერიმენტი მკვლევარი ახდენს არა მხოლოდ გაზომვებსა და დაკვირვებებს, არამედ იგი თვითონ აყენებს მას და თვითონვე განსაზღვრავს ობიექტზე ტექნიკის დონის შესაბამისი ზემოქმედების საშუალებას. მის ჩასატარებლად აუცილებელია ექსპერიმენტატორი, ცდის პირი, სპეციალური ლაბორატორია-კაბინეტი, ცდის

მსვლელობის ჩამწერი – ლაბორანტი, ხელსაწყოები და ა.შ. რის გამოც, იგი მოვლენის ბუნებრივ მდგომარეობას ვერ წვდება [7].

ექსპერიმენტის ძირითად მიზანს საკვლევი ობიექტის თვისებათა გამოვლენა წარმოადგენს. ექსპერიმენტები, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა დარგში ტარდება, განსხვავდება ერთმანეთისაგან:

- პირობათა ფორმულირების საშუალებით (ბუნებრივი და ხელოვნური);
- საკვლევი მიზნების მიხედვით (გარდაქმნა, კონსტატირება, კონტროლირება, ძიება, გადაწყვეტა);
- ჩატარების ორგანიზაციის მიხედვით (ლაბორატორიული, საკულტო სამეწარმეო და სხვა);
- საკვლევი ობიექტის მიხედვით (მარტივი და რთული);
- საკვლევ ობიექტზე გარემო ფაქტორების მოქმედების მიხედვით (ნივთობრივი, ენერგეტიკული, ინფორმაციული);
- ექსპერიმენტი საკვლევი მოდელების ტიპის მიხედვით (მატერიალური და აზრობრივი);
- კონსტრუირებადი სიდიდეების მიხედვით (პასიური და აქტიური);
- ფაქტორების რაოდენობის მიხედვით ვარირებადი (ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი) და სხვა;

ექსპერიმენტი შეიძლება იყოს **დახურული** ან **ლია.** ისინი ფართოდ არიან გავრცელებულნი ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, პედაგოგიკაში. ლია ექსპერიმენტში ამოცანებს ღიად უხსნიან ცდაში მონაწილე პირებს, დახურულში, ობიექტური მონაცემების მიღების მიზნით, მონაწილეობის ამოცანები უცნობია. ღია ექსპერიმენტის ნებისმიერი ფორმა ზემოქმედებას ახდენს (ხშირად ააქტიურებს) ცდაში მონაწილე პირებს სუბიექტურ ქცევაზე. ამასთან დაკავშირებით, ღია ექსპერიმენტის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როცა გამოსაცდელი პირი სუბიექტურად უჭერს მხარს დაგეგმილ საქმიანობას [22].

კვლევა შეიძლება დაიყოს ძიებით (exploratory research) და დასკვნით (conclusive research) კვლევად.

**ძიებითი კვლევა** - კვლევის ერთ-ერთი სახეა, რომლის ძირითად ამოცანას მკვლევარის წინაშე არსებული პრობლემის გაგებადობის უზრუნველყოფა

წარმოადგენს. მისი ძირითადი ამოცანაა დეტალურად შეისწავლოს პრობლემა ან სიტუაცია, რომელსაც მკვლევარი შეეხო.

ძიებითი კვლევა გამოიყენება მაშინ, როდესაც მკვლევარი არასაკმარისად არის გარკვეული არსებულ სიტუაციაში და არ შეუძლია გადადგას ნაბიჯები პრობლემის გადასაწყვეტად. ძიებითი კვლევა ძალზედ მოქნილი და მრავალმხრივია. მისი ჩატარებისას არ გამოიყენება ფორმალიზებული მეთოდები და პროცედურები. ამგვარი კვლევის ჩატარებისას იშვიათად გამოიყენება სტრუქტურირებული ანკეტები და დიდი შერჩევები. მათი ამოცანა დასმულ პრობლემასთან დაკავშირებული ახალი იდეების და მოსაზრებების გაანალიზება. ახალი იდეების განხილვა გრძელდება მანამ, სანამ ამოწურული არ იქნება ყველა იდეა ან არ იქნება მოძიებული ახალი მიმართულება. სწორედ ამ მიზეზის გამო მკვლევარის შემოქმედებითობა ძიებით კვლევაში მთავარ როლს თამაშობს. თუმცა, მკვლევარის უნარები კარგი ძიებითი კვლევის ჩატარების ერთადერთი ფაქტორი არაა. ძიებითი კვლევა შესაძლოა მნიშვნელოვან დასკვნებამდე გავიდეს შემდეგ მეთოდთა გამოყენებისას:

- ექსპერტთა გამოკითხვა
- საპილოტე კვლევა
- მეორადი ინფორმაციის (secondary data) ანალიზი
- თვისებრივი კვლევა (qualitative research)

**დასკვნითი კვლევა** - კვლევის სახეა, რომელიც აუცილებელ დახმარებას უწევს მკვლევარს მოცემულ სიტუაციაში ქმედების განსაზღვრის, შეფასების და საუკეთესო ვარიანტის დადგენისათვის.

დასკვნითი კვლევა, ძიებით კვლევასთან შედარებით, როგორც წესი, უფრო ფორმალიზებული და სტრუქტურირებულია. იგი გამოიყენება დიდი, რეპრეზენტატიული შერჩევებისათვის და მონაცემთა რაოდენობრივ ანალიზს ექვემდებარება.

დასკვნითი კვლევა თავის მხრივ ორი სახის კვლევად იყოფა: დესკრიპტიული კვლევა (descriptive research) და მიზეზ-შედეგობრივი კვლევა (causal research).

**დესკრიპტიული კვლევა** – დასკვნითი კვლევის ტიპია, რომლის ძირითადი მიზანი საკვლევი ობიექტის მახასიათებლების და ფუნქციების დადგენას წარმოადგენს.

**მიზეზ-შედეგობრივი კვლევა** – დასკვნითი კვლევის ტიპია, რომლის ძირითადი მიზანი მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაა.

ამგვარ დახასიათებაზე დაყრდნობით, შესაძლოა შემდეგი დასკვნის გამოტანა: ძიებითი კვლევის შედეგები უნდა განიხილებოდეს, როგორც შემდგომი კვლევის საწყისი შედეგები. როგორც წესი ამგვარი შედეგები წინ უხრიებს შემდგომ ძიებით ან დასკვნით კვლევებს.

ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მკვლევარისათვის კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად, შესაძლოა მოპოვებულ იქნას თვისებრივი მეთოდებით (Qualitative methods ან Qualitative research) ან რაოდენობრივი (Quantitative methods ან Quantitative research).

**თვისებრივი კვლევა** (Qualitative research) – არასტრუქტურირებული ძიებითი კვლევის მეთოდი, რომელიც ემყარება მცირე შერჩევებს და განკუთვნილია პრობლემის ირგვლივ სიტუაციის უკეთ გარკვევისათვის.

**რაოდენობრივი კვლევა** (Quantitative research) – კვლევის მეთოდი, რომელიც განკუთვნილია ინფორმაციის შესაგროვებლად და მის რაოდენობრივ ფორმაში წარმოსადგენად. რაოდენობრივი ფორმა, სტატისტიკური ანალიზის პროცედურების გათვალისწინებით დგება [19,38,42].

თეორიული და ემპირიული, ძიებითი და დასკვნითი კვლევის ჩატარებისას გამოყენებადი თვისებრივი ან რაოდენობრივი მეთოდების მკაცრი გამიჯვნა, როგორც წესი არ არსებობს. განსხვავებულ ავტორებს განსხვავებული შეხედულება აქვთ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ჩატარების ძირითადი ხაზი უცვლელი რჩება. ამ კლასიფიკაციის ფორმულირება ჩვენი კვლევის მიმართულებას სცილდება და ამჯერად აზრის გამოთქმისაგან თავს შევიკავებთ.

თუ დავრჩებით პედაგოგიური კვლევის კლასიკურ ჩარჩოებში, ჩვენს მიერთეულ-ში ჩატარებული კვლევა შემდეგი სახით შეიძლება აღვწეროთ:

წინა პარაგრაფში დასახული მიზნიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე ჩატარებული იქნა ძიებითი (თვისებრივი) კვლევა, რომელიც ჩვენ შემთხვევაში

თავის მხრივ დაგეგმილი ემპირიული კვლევის (დასკვნითი კვლევა, რაოდენობრივი კვლევა) აუცილებელი წინაპირობაა. კვლევა ჩატარდა შემდეგი თანმიმდევრობით:

- I. ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის გაცნობის და სხვა ქვეყნების მსგავსი კვლევების ანალიზის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზა. წარმოვადგინეთ პროფესიონალის ე.წ. თეორიული მოდელი. პედაგოგის პროფესიული მახასიათებლები შემდეგი სამი ძირითადი ასპექტით მოვიაზრეთ:
  - საგნის ცოდნა (მეცნიერული ცოდნა)
  - მეთოდური მომზადება
  - პიროვნული თვისებები
- II. ჩაგატარეთ უნივერსიტეტის თითქმის ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა გამოკითხვა. შერჩევაში მონაწილეობდნენ თსუ-ის არაპირველკურსელი სტუდენტები, დამატებითი მახასიათებლები (მაგ. აკადემიური მოსწრება) შერჩევაზე გავლენას არ ახდენდა. შერჩევა განაწილებული იყო თითქმის თანაბრად ჰუმანიტარულ და არაჰუმანიტარულ სპეციალობათა სტუდენტებს შორის. სტუდენტებს მივმართეთ კითხვით: „როგორი უნდა იყოს უმაღლესი სკოლის მასწავლებელი?“, შედეგად მივიღეთ სტუდენტების დაკვეთა მასწავლებლებისადმი, ანუ პედაგოგის პროფესიული მახასიათებლები სტუდენტის თვალით. გამოკითხვა ტარდებოდა ჯგუფებში და ინდივიდუალურად, თითოეული აზრი (სულ 350) დაფიქსირებულ იქნა წერილობით ანონიმურობის დაცვით. მოპოვებული მასალა გადავამუშავეთ, გავითვალისწინეთ ყველაზე ხშირად (გამოკითხულთა 80%) გამეორებული აზრი. აღსანიშნავია, რომ დაფიქსირებულ აზრთაგან, არც ერთი არ სცილდებოდა ჩვენს მიერ დასახელებულ 3 ძირითად მიმართულებას. ჩვენს მიერ მოაზრებული მოდელი შევაჯერეთ სტუდენტურ დაკვეთებთან. ამრიგად, თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგად შევქმენით უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიონალის ჩვენებული ხედვა.

III. კვლევის შედეგად შექმნილ უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიულ მახასიათებლებსა და ასევე სტუდენტის თვალით დანახულ დღეს არსებული უარყოფით მახასიათებლებზე დაყრდნობით შეგქმნით სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარი.

კითხვების შედგენისას ვხელმძღვანელობდით რალფ პორტსის მანქამის გამოკითხვათა, მეთოდებისა და ანალიზის ცენტრის კითხვათა ფორმულირების მითითებებით:

### **კითხვების (დებულებების) ფორმულირების „ათი მცნება“**

1. გამოიყენეთ მარტივი, ერთმნიშვნელოვანი ცნებები, რომლებსაც ყველა გამოკითხული ერთნაირად გაიგებს;
2. მოერიდეთ გრძელ და კომპლექსურ კითხვებს;
3. მოერიდეთ პიპოთეტურ კითხვებს;
4. მოერიდეთ ორმაგ სტიმულებსა და უარყოფას;
5. მოერიდეთ სუბსტურ კითხვებს და სტიმულირებისათვის გარკვეული მახასიათებლების მიწერას;
6. მოერიდეთ კითხვებს, რომლებიც ისეთ ინფორმაციას შეიცავენ, რომელსაც ბევრი გამოკითხული სავარაუდოდ არ ფლობს;
7. გამოიყენეთ ერთმნიშვნელოვანი დროითი კონტექსტის კითხვები;
8. გამოიყენეთ პასუხის გარიანტები, რომლებიც ამომწურავია და ერთმანეთს არ გადაფარავს;
9. დაამოწმეთ, რომ კითხვების კონტექსტი გავლენას არ ახდენს (თუნდაც არაკონტროლირებად) მის პასუხზე;
10. განსაზღვრეთ გაურკვეველი ცნებები;

ამრიგად, სტუდენტთა თვალით დანახული და თეორიულ მოდელთან შეჯერებული უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები ასე გამოიყერება:

1. ლექტორი ღრმად ფლობს საგანს;
2. ლექტორი პასუხობს სტუდენტის მიერ დასმულ არასაპროგრამო კითხვებს მეცნიერებასთან მიმართებაში;

3. ლექტორი მასალას გადმოსცემს სტუდენტისათვის გასაგებად;
4. ლექტორი ლექციას კითხულობს საინტერესოდ;
5. ლექტორი ითვალისწინებს სტუდენტის აზრს (წინადადებებს, შენიშვნებს);
6. ლექტორს აქვს მეტყველების მაღალი კულტურა;
7. ლექტორი ლექციაზე ქმნის დადებით ატმოსფეროს;
8. ლექტორი შეფასებას (გამოცდა, კოლოკვიუმი, ჩათვლა) აწარმოებს ობიექტურად;
9. ლექტორი შეფასებას აწარმოებს მხოლოდ იმ საპროგრამო მასალით, რომელიც წინასწარ იქნა მითითებული სტუდენტებისათვის;
10. ლექტორი კომუნიკაბელურია;
11. ლექტორი კეთილგანწყობილია სტუდენტების მიმართ;
12. ლექტორი მეგობრულია სტუდენტების მიმართ;
13. ლექტორს აქვს ზოგადი განათლება;
14. ლექტორს აქვს იუმორის გრძნობა;
15. ლექტორი თავის მიმართ განაწყობს სტუდენტებს პირადი ჰიგიენის კულტურით;

სტუდენტის თვალით დანახული მასწავლებლის უარყოფითი მახასიათებლები შემდეგი კითხვების სახით იქნა ფორმულირებული:

1. ლექტორი სხვადასხვა დისციპლინას კითხულობს ერთი და იგივე თემატიკით;
2. ლექტორი აგვიანებს ლექციაზე;
3. ლექციაზე სტუდენტის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმისას, იგრძნობა აგრესია ლექტორის მხრიდან;
4. ლექტორი შეფასებას აწარმოებს სხვა საგნებში შეფასების მიხედვით;
5. ლექტორი ისმენს სტუდენტის მცდარ პასუხს და სუბიექტურობის გამო არ ასწორებს მას;
6. ლექტორი შეფასების პროცესში (სტუდენტის ჩაჭრის მიზნით) მიმართავს არასაპროგრამო კითხვებს;
7. ლექტორი ავალდებულებს სტუდენტს შეიძინოს მისი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო;

8. ლექტორი ლექციას ატარებს მოვალეობის მოხდის მიზნით;
9. ლექტორი უხეშია სტუდენტების მიმართ;
10. ლექტორს პირადი არასასიამოვნო განწყობა გადააქვს აუდიტორიაზე;

სანამ კითხვარის შედგენის პროცედურას დეტალურად განვიხილავთ, უპრიანი იქნებოდა აგველნიშნა, რომ ეს ეტაპი ფაქტიურად ემპირიული კვლევის ჩატარებისათვის საჭირო მთავარი ნაწილი ე.წ. „მუშა ინსტრუმენტია“. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები შერჩევის არასაკმარისად დიდი რაოდენობის გამო ტენდენციის რეპრეზენტატულობით (მთელს შერჩევით ერთობლიობაზე განზოგადების) არ ხასიათდება, თუმცა თავად კითხვარის შედგენის მეთოდიკა მისი ვარგისიანობის პრეტენზიის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს.

როგორც უპვე ითქვა, კითხვების ფორმულირებისას სპეციალური წესით ვსარგებლობდით. განსაკუთრებული ყურადღება კითხვათა განლაგების თანმიმდევრობასაც მიექცა. უნდა აღვნიშნოთ, რომ კითხვებზე პასუხების, ანუ შეკალის შერჩევისას, არჩევანთა მრავალფეროვნებაში დაბალანსირებულ, ლეიკერსის ლუწი რაოდენობის სკალაზე შევჩერდით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი კითხვარი რესპონდენტთა დიდ რაოდენობაზე (კომბინირებული შერჩევა) ჩატარდება, სკალაზე მეხუთე - ნეიტრალური პუნქტის დამატების საკითხი კვლავ განხილვის საგნად იქცევა. მანამადე კი საჭიროდ ჩავთვალეთ „გვეიძულებინა“ რესპონდენტი დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი, ანუ პასუხი „არ ვიცი“ ან „მიჰირს პასუხის გაცემა“ არ მიიღებოდა. ამრიგად კითხვებმა, შესაბამისი ფორმულირების მიცემის შემდეგ, შემდეგი კითხვარის სახე მიიღო:

**კითხვარი სასწავლო დისციპლინის სწავლების შესახებ**  
 გთხოვთ, გულდასმით შეავსოთ კითხვარი. თქვენი თანადგომა დიდად  
 წაადგება სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფასა და თავად  
 კონკრეტული პედაგოგის მომავალ საქმიანობას.

### **ვაკულტეტი**

**პურსი** \_\_\_\_\_

**სტუდენტის აკადემიური მოსწრება** \_\_\_\_\_

**დისციპლინა** \_\_\_\_\_

**პედაგოგი** \_\_\_\_\_

**გთხოვთ გადახაზოთ თქვენთვის მისაღები გრაფა**

<b>კითხვარი კონფიდენციალურია</b>			
<b>არ ვეთანხმები</b>	<b>ნაკლებად ვეთანხმები</b>	<b>ვეთანხმები</b>	<b>სრულად ვეთანხმები</b>
1. ლექტორი ღრმად ფლობს საგანს			
2. ლექტორი ითვალისწინებს მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს			
3. ლექტორს აქვს მეცნიერული კვლევის უნარი			
4. ლექტორი პასუხობს სტუდენტის მიერ დასმულ არასაპროგრამო კითხებს მეცნიერებასთან მიმართებაში			
5. ლექტორი მეცნიერების თეორიას აკავშირებს პრაქტიკულ საქმიანობასთან			
6. ლექტორის მიერ კურსის დასაწყისში ნათლად არის განსაზღვრული დისციპლინის სწავლების მიზანი			
7. ლექტორის მიერ ნათლად არის განმარტებული სწავლების ორგანიზაციული მომენტები (ლექციის, პრაქტიკულის და სემინარის რაოდენობა, შეფასების სისტემა, ლიტერატურაზე მუშაობის ფორმები, მოთხოვნები სტუდენტისადმი)			
8. ლექტორის მიერ წარმოდგენილია საპროგრამო თემათა კალენდარული განაწილება შესაბამისი ლიტერატურის ნუსხით			
9. ლექტორი მასალას გადმოსცემს სტუდენტისათვის გასაგებად			
10. ლექტორი ლექციაზე ეფექტურად იყენებს თვალსაჩინოებას (დაფა, სლაიდები, კომპიუტერი, ვიდეო-მასალა, რუკა და ა.შ.)			

არ კოთანხმები	ნაკლებად კოთანხმები	კოთანხმები	სრულიად კოთანხმები
11. ლექტორი მასალის ახსნას იწყებს წინა მასალის მოკლე მიმოხილვით			
12. ლექტორი ლექციას ატარებს სხვადასხვა მეთოდით (დიალოგი, ზეპირი გადმოცემა, ჯგუფური მეცადინეობა – სიტუაციის მიხედვით)			
13. ლექტორი ლექციას კითხულობს საინტერესოდ			
14. ლექტორი ითვალისწინებს სტუდენტის აზრს (წინადადებებს, შენიშვნებს)			
15. ლექტორი მასალას დაგმოსცემს სისტემურად (აწარმოებს მასალის განზოგადებას)			
16. ლექტორს აქვს მეტყველების მაღალი კულტურა			
17. ლექტორს გააჩნია პედაგოგიური ტაქტი			
18. ლექტორი ლექციაზე ქმნის დადგებით ატმოსფეროს			
19. ლექტორი სხვადასხვა დისციპლინას კითხულობს ერთი და იგივე თემატიკით			
20. ლექტორი უყალიბებს სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს (წიგნზე მუშაობა, მასალის მოძიება, კვლევა)			
21. ლექტორი ახალისებს სტუდენტის მუშაობას (დაიტერესებულია სტუდენტის წარმატებით)			
22. ლექტორი აგვიანებს ლექციაზე			
23. ლექციაზე, სტუდენტის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმისას იგრძნობა აგრესია ლექტორის მხრიდან			
24. ლექტორი შეფასებას (გამოცდა, კოლოკვიუმი, ჩათვლა) აწარმოებს ობიექტურად			
25. ლექტორი შეფასებას აწარმოებს მხოლოდ იმ საპროგრამო მასალით რომელიც წინასწარ იქნა მითითებული სტუდენტისათვის			
26. ლექტორი შეფასებისას ითვალისწინებს შემოქმედებით აზროვნებას			
27. ლექტორი შეფასებას აწარმოებს სხვა საგნებში შეფასების მიხედვით			

არ კვთანებები	ნაკლებად გვთანხმები	კვთანები	სრულიად კვთანებები
28. ლექტორი ისმენს სტუდენტის მცდარ პასუხეს და სუბიექტურობის გამო არ ასწორებს მას			
29. ლექტორი შეფასების პროცესში (სტუდენტის ჩაჭრის მიზნით) მიმართავს არასაპროგრამო კითხვას			
30. ლექტორი ავალდებულებს სტუდენტს შეიძინოს მისი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო			
31. ლექტორი პატივს სცემს სტუდენტის პიროვნებას			
32. ლექტორი კომუნიკაბელურია			
33. ლექტორი კეთილგანწყობილია სტუდენტების მიმართ			
34. ლექტორი კრიტიკულ სიტუაციაში სტუდენტის გვერდით დგას			
35. ლექტორი მეგობრულია სტუდენტების მიმართ			
36. ლექტორს აქვს ზოგადი განათლება			
37. ლექტორს აქვს იუმორის გრძნობა			
38. ლექტორი თავის მიმართ განაწყობს სტუდენტებს პირადი ჰიგიენის კულტურით			
39. ლექტორი ლექციას ატარებს მოვალეობის მოხდის მიზნით			
40. ლექტორი უხეშია სტუდენტების მიმართ			
41. ლექტორს პირადი არასასიამოვნო განწყობა გადააქვს აუდიტორიაზე			
42. ლექტორი ფლობს აუდიტორიას (ახერხებს ყველა სტუდენტის ჩართვას მეცადინეობაში)			
43. ლექტორს აქვს „მომთხოვნელობა შეხამებული ადსაზრდელის პიროვნების პატივისცემასთან“ (ა.პ.მაკარენკო)			

დამატებითი მოსაზრებანი სასწავლო დისციპლინის სწავლებასთან დაკავშირებით

1. რა არის განსაკუთრებით კარგი კითხვარში? \_\_\_\_\_

2. რა უნდა შეიცვალოს კითხვარში? \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

3. თქვენი განსხვავებული მოსაზრება დისციპლინის სწავლებასთან  
დაკავშირებით \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

## მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის

IV. მიღებული კითხვარი შევაჯერეთ კოლეგებთან, ადმინისტრაციასთან და ფსიქოლოგიის სპეციალისტებთან. შენიშვნები მივიღეთ სტუდენტებისგან. არა ერთი კონსულტაციისა და ცვლილების შემდეგ კითხვარმა აპრობაციის ჩატარებისათვის მისაღები სახე მიიღო:

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კითხვარი სასწავლო დისციპლინის სწავლების შესახებ**

(სტუდენტის თვალით)

გთხოვთ გულდასმით გაეცნოთ კითხვარს. ყოველი კითხვის შემდეგ თქვენთვის მისაღები პასუხის გარიანტონით დასვით აღნიშვნა „**X**“.

თქვენი ანონიმურობა დაცული იქნება.  
**კურსი**

**ფაკულტეტი** \_\_\_\_\_

**უმაღლესი სკოლის მასწავლებელი** \_\_\_\_\_

(სახელი გვარი)

**საგანი** \_\_\_\_\_

**სტუდენტის აკადემიური შეფასება საგანში** \_\_\_\_\_

სრულდიად არ	კეთილდღეში	გეორგიები	გეორგიები	სრულდიად
დასაწყისში	გამოსახულები	გეორგიები	გეორგიები	გეორგიები

**უმაღლესი სკოლის მასწავლებელი**

1. კურსის დასაწყისში ნათლად განსაზღვრავს დისციპლინის სწავლების მიზანს - - - - - **0 0 0 0**

2. კურსის დასაწყისში ნათლად განმარტავს სწავლების ორგანიზაციულ მომენტებს (ლექციის, პრაქტიკულის და სემინარის რაოდენობა, შეფასების სისტემა, ლიტერატურაზე მუშაობის ფორმები, მოთხოვნები სტუდენტისადმი) - - - - - **0 0 0 0**

3. კურსის დასაწყისში წარმოადგენს საპროგრამო თემათა კალენდარულ განაწილებას შესაბამისი ლიტერატურის ნუსხით - - - - - **0 0 0 0**

4. ღრმად ფლობს საგანს - - - - - **0 0 0 0**

5. ითვალისწინებს მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს - - - - - **0 0 0 0**

6. პასუხობს სტუდენტის მიერ დასმულ არასაპროგრამო კითხვებს მოცემული დისციპლინიდან - - - - - **0 0 0 0**

7. თეორიულ ცოდნას აკავშირებს პრაქტიკულ საქმიანობასთან - - - - - **0 0 0 0**

8. მასალას გადმოსცემს სტუდენტისათვის გასაგებად - - - - - **0 0 0 0**

9. ლექციაზე ეფექტურად იყენებს თვალსაჩინოებას (დაფა, სლაიდები, კომპიუტერი, ვიდეო-მასალა, რუკა და ა.შ.) - - - - - **0 0 0 0**

	სრულიად არ გეთანხმები	ნაკლებად გეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
10. მასალის ახსნას იწყებს წინა მასალის მოკლე მიმოხილვით	0	0	0	0
11. ლექციას ატარებს სხვადასხვა მეთოდით (დიალოგი, დისკუსია, ზეპირი გადმოცემა, ჯგუფური მეცადინეობა – სიტუაციის მიხედვით)	0	0	0	0
12. ითვალისწინებს სტუდენტის აზრს (წინადადებებს, შენიშვნებს)	0	0	0	0
13. მასალას გადმოსცემს სისტემურად (აწარმოებს მასალის განზოგადებას)	0	0	0	0
14. მეტყველებს გამართულად	0	0	0	0
15. ლექციაზე ქმნის დადებით ემოციურ ატმოსფეროს	0	0	0	0
16. ხასიათდება პედაგოგიური ტაქტით	0	0	0	0
17. უყალიბებს სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს (წიგნზე მუშაობა, მასალის მოძიება, კვლევა)	0	0	0	0
18. ახალისებს სტუდენტის აქტიურობას ლექციაზე	0	0	0	0
19. ახალისებს სტუდენტის დამოუკიდებელ არასალექციო მუშაობას	0	0	0	0
20. ცდილობს ყველა სტუდენტის ჩართვას მეცადინეობის პროცესში	0	0	0	0
21. ლექციაზე აგვიანებს	0	0	0	0
22. აგრესიულია სტუდენტის მიერ ლექციაზე საკუთარი აზრის გამოთქმის მიმართ	0	0	0	0
23. შეფასებას (გამოცდა, ჩათვლა, კოლოკვიუმი) აწარმოებს ობიექტურად	0	0	0	0
24. შეფასებას აწარმოებს მხოლოდ იმ საპროგრამო მასალით, რომელიც წინასწარ იქნა მითითებული სტუდენტისათვის	0	0	0	0
25. შეფასებისას ითვალისწინებს შემოქმედებით აზროვნებას	0	0	0	0

	სრულიად არ შეფასებული გეთაცნამები	სრულიად გავთაცნამები	სრულიად გავთაცნამები	სრულიად გავთაცნამები
26. შეფასებას აწარმოებს სხვა საგნებში მიღებული შეფასებების მიხედვით	0	0	0	0
27. სუბიექტურობის გამო, რეაგირების გარეშე ტოვებს გამოცდაზე სტუდენტის მცდარ პასუხს	0	0	0	0
28. შეფასების პროცესში, სტუდენტის ჩაჭრის მიზნით, მიმართავს არასაპროგრამო კითხვებს	0	0	0	0
29. გამოცდაზე ერთ სტუდენტს აფასებს რამდენიმე საათის განმავლობაში	0	0	0	0
30. ემუქრება სტუდენტებს მომავალი შეფასებით (გამოცდა, ჩათვლა, კოლოკვიუმი)	0	0	0	0
31. ავალდებულებს სტუდენტს შეიძინოს მისი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო	0	0	0	0
32. სტუდენტისაგან მოითხოვს მასალის მომზადებას მხოლოდ მისი ავტორიბით გამოცემული სახელმძღვანელოდან	0	0	0	0
33. პატივს სცემს სტუდენტის პიროვნებას	0	0	0	0
34. კომუნიკაბელურია	0	0	0	0
35. კეთილგანწყობილია სტუდენტების მიმართ	0	0	0	0
36. საკუთარ ცუდ განწყობას თავს ახვევს აუდიტორიას	0	0	0	0
37. მეგობრულია სტუდენტების მიმართ	0	0	0	0
38. გამოირჩევა კარგი ზოგადი განათლებით	0	0	0	0
39. სასიათდება კარგი იუმორის გრძნობით	0	0	0	0
40. ყურადღებას აქცევს საკუთარ გარეგნობას	0	0	0	0
41. ლექციას ატარებს მოვალეობის მოხდის მიზნით	0	0	0	0

	სრულიად არ გეთანხმები ნაკლებად გეთანხმები ვეთანხმები სრულიად ვეთანხმები	0	0	0	0	0
42. უხეშია სტუდენტების მიმართ						
43. კრიტიკულ სიტუაციაში სტუდენტის გეერდით დგას						

**სხვა მოსაზრებები სასწავლო დისციპლინის სწავლებასთან დაკავშირებით**

- | ქალიან | ცუდი | ცული | დამატებული | გარები | ქალიან | გარები |
|--------|------|------|------------|--------|--------|--------|
| 0      | 0    | 0    | 0          | 0      | 0      | 0      |
1. მთლიანობაში ოოგორ აფასებთ მასწავლებელს - - 0 0 0 0 0 0
2. საგნის შინაარსის გათვალისწინებით, რამდენად დირებული იყო ამ საგნის სწავლება თქვენთვის \_\_\_\_\_
3. თქვენი განსხვავებული მოსაზრება დისციპლინის სწავლებასთან დაკავშირებით  
\_\_\_\_\_
4. რა დრო მოამდომეთ საგანში საპროგრამო მასალის ათვისებას (იგულისხმება არასააუდიტორიო – დამოუკიდებლად მუშაობის დრო) \_\_\_\_\_
5. რა უნდა შეიცვალოს კითხვარში? \_\_\_\_\_

**მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის**

V. ჩავატარეთ კითხვარის აპრობაცია 200 სტუდენტზე. ამ ეტაპზე კითხვარის აპრობაციის მიზანი მასში არსებული შესაძლო ხარვეზების გამოვლენა იყო, თუმცა მიღებული მასალა საკმაოდ ტევადი და ინფორმაციული აღმოჩნდა. აპრობაციაში მონაწილეობა მიიღო თსუ 11 მიმართულების (გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, მექანიკა

მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ეკონომიკის, ისტორიის, ფიქტოლოგიის, ფილოსოფიის, ურნალისტიკის, იურიდიული, საერთაშორისო სამართლის) არაპირველკურსელმა სტუდენტმა. (თითოეული მიმართულებიდან 15-20 სტუდენტი).

აპრობაციამ გვიჩვენა, რომ ერთმნიშვნელოვნად, ყველასათვის გაუგებარი იყო პუნქტი: **თქვენი განსხვავებული მოსაზრება დისციპლინის სწავლებასთან დაკავშირებით,** როგორც ჩანს მისი ფორმულირება სხვანაირად იქნება საჭირო.


ასევე გამოკითხულთა დიდი პროცენტი ძალზე ზოგად პასუხს იძლეოდა შემდეგ კითხვაზე: **რა დრო მოანდომეთ საგანში საპროგრამო მასალის ათვისებას (იგულისხმება არასააუდიტორიო – დამოუკიდებლად მუშაობის დრო)?**, მისი სავარაუდო პასუხი შემდგომში შესაძლოა წინასწარ, განსაზღვრულად (1 კვირა, 30 სთ და ა.შ) იქნას მითითებული. შევეცდებით კვლევა ვაწარმოოთ ბოლონიის პროცესის დოკუმენტებში მოწოდებული დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროზე აპელირებით.

რადგან ტარდებოდა დია ექსპერიმენტი და ამავე დროს კითხვარი შედგა სტუდენტთა დაკვეთით, აპრობაციამ თავად კითხვარში შესწორება არ შეიტანა.


კითხვის ფორმულირების შეცვლის ერთ-ერთ მთავარ პირობას, სავარაუდო პასუხების რაოდენობის განაწილება შეადგენს. კითხვა უნდა შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი სავარაუდო პასუხის საერთო რაოდენობა 80% აღემატება, ან თუკი 10%-ზე მეტი პასუხაუცემელი პუნქტია. გამოთვლების ჩატარების შედეგად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ არც ერთმა კითხვამ კრიტიკულ საზღვარს არ მიაღწია.

გთავაზობთ აპრობაციის შედეგებს თითოეულ კითხვაზე გაცემული პასუხების მიხედვით.


1. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი კურსის დასაწყისში ნათლად განსაზღვრავს დისციპლინის სწავლების მიზანს




2. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი კურსის დასაწყისში ნათლად განმარტავს სწავლების ორგანიზაციულ მომენტებს (ლექციის, პრაქტიკულის და სემინარის რაოდენობა, შეფასების სისტემა, ლიტერატურაზე მუშაობის ფორმები, მოთხოვნები სტუდენტისადმი)




3. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი კურსის დასაწყისში წარმოადგენს საპროგრამო თემათა კალენდარულ განაწილებას შესაბამისი ლიტერატურის ნუსხით




4. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ღრმად ფლობს საგანს




5. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ითვალისწინებს მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს




6. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი პასუხობს სტუდენტის მიერ დასმულ არასაპროგრამო კითხვებს მოცემული დისციპლინიდან




**7. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი თეორიულ ცოდნას  
აკავშირებს პრაქტიკულ საქმიანობასთან**




**8. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი მასალას  
გადმოსცემის სტუდენტისათვის გასაგებად**




**9. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ლექციაზე ეფექტურად იყენებს  
თვალსაჩინოებას (დაფა, სლაიდები, კომპიუტერი, ვიდეო-მასალა,**




10. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი მასალის ახსნას იწყებს წინა მასალის მოკლე მიმოხილვით




11. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ლექციას ატარებს სხვადასხვა მეთოდით (დიალოგი, დისკუსია, ზეპირი გადმოცემა, ჯგუფური მეცადინეობა – სიტუაციის მიხედვით)




12. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ითვალისწინებს სტუდენტის აზრს (წინადადებებს, შენიშვნებს)




13. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი მასალას გადმოსცემს სისტემურად (აწარმოებს მასალის განზოგადებას)




14. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი მეტყველებს გამართულად




15. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ლექციაზე ქმნის დადებით ემოციურ ატმოსფეროს




16. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ხასიათდება პედაგოგიური ტაქტით




17. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი უყალიბებს სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს (წიგნზე მუშაობა, მასალის მოძიება, კვლევა)




18. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ახალისებს სტუდენტის  
აქტიურობას ლექციაზე




19. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ახალისებს სტუდენტის  
დამოუკიდებელ არასალექციო მუშაობას




20. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ცდილობს ყველა  
სტუდენტის ჩართვას მეცადინეობის პროცესში




21. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ლექციაზე აგვიანებს




22. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი აგრესიულია სტუდენტის  
მიერ ლექციაზე საკუთარი აზრის გამოთქმის მიმართ




23. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი შეფასებას (გამოცდა,  
ჩათვლა, კოლოკვიუმი) აწარმოებს ობიექტურად




24. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი შეფასებას აწარმოებს  
მხოლოდ იმ საპროგრამო მასალით, რომელიც წინასწარ იქნა  
მითითებული სტუდენტისათვის




25. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი შეფასებისას  
ითვალისწინებს შემოქმედებით აზროვნებას




26. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი შეფასებას აწარმოებს  
სხვა საგნებში მიღებული შეფასებების მიხედვით




27. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი სუბიექტურობის გამო,  
რეაგირების გარეშე ტოვებს გამოცდაზე სტუდენტის მცდარ




28. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი შეფასების პროცესში, სტუდენტის ჩაჭრის მიზნით, მიმართავს არასაპროგრამო კითხვებს




29. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი გამოცდაზე ერთ სტუდენტს აფასებს რამდენიმე საათის განმავლობაში




30. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ემუქრება სტუდენტებს მომავალი შეფასებით (გამოცდა, ჩათვლა, კოლოკვიუმი)




32. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი სტუდენტისაგან  
მოითხოვს მასალის მომზადებას მხოლოდ მისი ავტორიბით  
გამოცემული სახელმძღვანელოდან




31. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ავალდებულებს სტუდენტს  
შეიძინოს მისი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო




33. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი პატივს სცემს  
სტუდენტის პიროვნებას




34. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი კომუნიკატორია




35. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი გეთილგანწყობილია  
სტუდენტების მიმართ




36. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი საკუთარ ცუდ  
განწყობას თავს ახვევს აუდიტორიას




37. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი მეგობრულია  
სტუდენტების მიმართ




38. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი გამოირჩევა კარგი ზოგადი განათლებით




39. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი უურადღებას აქცევს  
საკუთარ გარეგნობას




40. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი ხასიათდება კარგი იუმორის გრძნობით




41. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი დექციას ატარებს  
მოვალეობის მოხდის მიზნით




42. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი უხეშია სტუდენტების  
მიმართ



43. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი კრიტიკულ სიტუაციაში  
სტუდენტის გვერდით დგას



მთლიანობაში როგორ აფასებთ პედაგოგებს?



VI. თითოეულ კითხვას პირობითად მივანიჭეთ გარკვეულ ქულათა რაოდენობა, შეკითხვები ასევე პირობითად დავყავით ბლოკებად. პრიორიტეტების მკაცრად დასახელებისგან თავი შევიკავეთ, რადგან ეს ცალკე კვლევის საგანია, თუმცა შემოგთავაზებთ ჩვენებულ ხედვას, რომელიც ცხადია, შესაძლოა ხარვეზებს შეიცავდეს.

პირობითად გამოვყავით სამი ჯგუფი:

**პირველ ჯგუფის კითხვები:**

**უმაღლესი სკოლის მასწავლებელი**

1. კურსის დასაწყისში ნათლად განსაზღვრავს დისციპლინის სწავლების მიზანს
2. კურსის დასაწყისში ნათლად განმარტავს სწავლების ორგანიზაციულ მომენტებს (ლექციის, პრაქტიკულის და სემინარის რაოდენობა, შეფასების სისტემა, ლიტერატურაზე მუშაობის ფორმები, მოთხოვნები სტუდენტისადმი)
3. კურსის დასაწყისში წარმოადგენს საპროგრამო თემათა კალენდარულ განაწილებას შესაბამისი ლიტერატურის ნუსხით
4. ღრმად ფლობს საგანს
7. თეორიულ ცოდნას აკავშირებს პრაქტიკულ საქმიანობასთან
8. მასალას გადმოსცემს სტუდენტისათვის გასაგებად
9. ლექციაზე ეფექტურად იყენებს თვალსაჩინოებას (დაფა, სლაიდები, კომპიუტერი, ვიდეო-მასალა, რუკა და ა.შ.)
10. მასალის ახსნას იწყებს წინა მასალის მოკლე მიმოხილვით
11. ლექციას ატარებს სხვადასხვა მეთოდით (დიალოგი, დისკუსია, ზეპირი გადმოცემა, ჯგუფური მეცადინეობა – სიტუაციის მიხედვით)
13. მასალას გადმოსცემს სისტემურად (აწარმოებს მასალის განზოგადებას)
17. უყალიბებს სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს (წიგნზე მუშაობა, მასალის მოძიება, კვლევა)
18. ახალისებს სტუდენტის აქტიურობას ლექციაზე
23. შეფასებას (გამოცდა, ჩათვლა, კოლოკვიუმი) აწარმოებს ობიექტურად
33. პატივს სცემს სტუდენტის პიროვნებას

## **მეორე ჯგუფის კითხვები:**

### **უმაღლესი სკოლის მასწავლებელი**

5. ითვალისწინებს მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს
6. პასუხობს სტუდენტის მიერ დასმულ არასაპროგრამო კითხვებს მოცემული დისციპლინიდან
12. ითვალისწინებს სტუდენტის აზრს (წინადადებებს, შენიშვნებს)
14. მეტყველებს გამართულად
15. ლექციაზე ქმნის დადებით ემოციურ ატმოსფეროს
16. ხასიათდება პედაგოგიური ტაქტით
19. ახალისებს სტუდენტის დამოუკიდებელ არასალექციო მუშაობას
20. ცდილობს ყველა სტუდენტის ჩართვას მეცადინეობის პროცესში
24. შეფასებას აწარმოებს მხოლოდ იმ საპროგრამო მასალით, რომელიც წინასწარ იქნა მითითებული სტუდენტისათვის
25. შეფასებისას ითვალისწინებს შემოქმედებით აზროვნებას
34. კომუნიკაბელურია
35. კეთილგანწყობილია სტუდენტების მიმართ
37. მეგობრულია სტუდენტების მიმართ
38. გამოირჩევა კარგი ზოგადი განათლებით
39. ხასიათდება კარგი იუმორის გრძნობით
40. კურადღებას აქცევს საბუთარ გარეგნობას
41. ლექციას ატარებს მოვალეობის მოხდის მიზნით
43. კრიტიკულ სიტუაციაში სტუდენტის გვერდით დგას

## **მესამე ჯგუფის კითხვები:**

### **უმაღლესი სკოლის მასწავლებელი**

21. ლექციაზე აგვიანებს
22. აგრესიულია სტუდენტის მიერ ლექციაზე საკუთარი აზრის გამოთქმის მიმართ
26. შეფასებას აწარმოებს სხვა საგნებში მიღებული შეფასებების მიხედვით

27. სუბიექტურობის გამო, რეაგირების გარეშე ტოვებს გამოცდაზე სტუდენტის მცდარ პასუხებს
28. შეფასების პროცესში, სტუდენტის ჩაჭრის მიზნით, მიმართავს არასაპროგრამო კითხვებს
29. გამოცდაზე ერთ სტუდენტს აფასებს რამდენიმე საათის განმავლობაში
30. ემუქრება სტუდენტებს მომავალი შეფასებით (გამოცდა, ჩათვლა, კოლოკვიუმი)
31. ავალდებულებს სტუდენტს შეიძინოს მისი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო
32. სტუდენტისაგან მოითხოვს მასალის მომზადებას მხოლოდ მისი ავტორიბით გამოცემული სახელმძღვანელოდან
36. საკუთარ ცუდ განწყობას თავს ახვევს აუდიტორიას
42. უხეშია სტუდენტების მიმართ

თითოეულ ჯგუფს მივაკუთვნეთ ქულათა მნიშვნელობები შეკალის  
დანაყოფების მიხედვით:

	არ არ მომზადება	არ მომზადება	მომზადება	მომზადება
პირველი ჯგუფი	0	3	6	9
მეორე ჯგუფი	0	2	5	8
მესამე ჯგუფი	0	1	4	7

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვების შედგენისას სპეციალური წესებით გხელმძღვანელობდით, ამის გამო ქულათა დათვლისას ზოგიერთი კითხვის პასუხთან ქულები სიმეტრიულად იქნა გადანაცვლებული (გავაკეთეთ ინვერსია). ანუ ქულათა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით კითხვებზე N21, 22, 23, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 36, 41, 42 შემდეგნაირად გადანაწილდა

	შესაბამისად და მინიმალური	შედეგად საბოლოოდ	მივიღეთ,	რომ მაქსიმალური
	შედეგი	შედეგი	შედეგი	შედეგი
პირველი ჯგუფი	9	6	3	0
მეორე ჯგუფი	8	5	2	0
მესამე ჯგუფი	7	4	1	0

შესაბამისად, გამოვიანგარიშეთ ქულათა თეორიული მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობა. დათვლის შედეგად საბოლოოდ მივიღეთ, რომ თეორიულად, მასწავლებელმა შეიძლება მინიმალური **0**, ხოლო მაქსიმალური **347** ქულა მოაგროვოს; აუცილებელია აღინიშნოს, რომ რეალურად მაქსიმალური ქულა შესაძლოა მიღწეული ვერ იქნას. ამის მრავალი ფაქტორი არსებობს: კითხვარის მკაცრი მოთხოვნები, გამოკითხულ პირთა არასაკმარისი რაოდენობა კონკრეტული მასწავლებლის მიმართ და სხვა. ვფიქრობთ, მომავალში შესაძლოა საკმარისად მივიჩნიოთ 2 სხვადასხვა ჯგუფის, დაახლოებით 30 სტუდენტის ერთიდაიგივე პიროვნებაზე შევსებული კითხვარი.

VII. დაგითვალეთ, შეიძლება თუ არა რეალურად მიღწეულ იქნას კითხვარის თეორიულ ქულათა მაქსიმუმი. ვინაიდან ჩვენ ფაკულტეტების მიხედვით წინასწარ არ მიგვითოთებია ის სასურველი შესაფასებელი მასწავლებელი, (ეს კითხვარის მუშაობის მომდევნო ეტაპია), კითხვარის ბოლოს მოცემული კითხვა „**მთლიანობაში როგორ აფასებთ მასწავლებელს?**“, შევადარეთ ერთი და იგივე პიროვნებაზე შევსებული კითხვარებით მოგროვილ ქულათა რაოდენობას. დათვლისათვის საკმარის რაოდენობად დაახლოებით 10 კითხვარი მივიჩნიეთ. ასეთი სულ 3 მასწავლებელი (ისტორიის, გამოყენებითი მათემატიკის და ფსიქოლოგიის მიმართულებიდან) აღმოჩნდა. ყველაზე ხშირად (24 კითხვარი) გამეორებადმა „**ძალიან კარგი**“ მახასიათებლისაკენ გადახრილმა მასწავლებელმა (24-დან 17 კითხვარის შეფასება იყო „**ძალიან კარგი**“)

266 ქულა მოაგროვა. 11 კითხვარი ახასიათებდა მასწავლებელს შეფასებით „ძალიან კარგი“ (4 კითხვარი) და „კარგი“ (4 კითხვარი, 3 კითხვარში აღნიშნული კითხვა მონიშნული არ იყო). ამ მასწავლებელმა 235 ქულა მოაგროვა, ხოლო შემდეგმა მასწავლებელმა ასევე 9 კითხვარში შეფასებით „ძალიან კარგი“ (5 კითხვარი) და „კარგი“ (4 კითხვარი) 240 ქულა მოაგროვა. რადგან პრაქტიკული შედეგი შორს არ იდგა თეორიული 347 ქულისაგან, ჩავთვალეთ, რომ კითხვარს ძალიან მკაცრი მოთხოვნები არ გააჩნია.

VIII. მიღებული შედეგების მიხედვით, პირობითად გამოვყავით სამი კატეგორია: დაბალი, საშუალო და მაღალი დონის მასწავლებელი. პირობითად დაბალი დონის მასწავლებლად შეიძლება ჩაითვალოს მასწავლებელი, რომელმაც, მოაგროვა ქულათა რაოდენობა [0-115] საზღვრიდან, საშუალო დონის მასწავლებლად მასწავლებელი, რომელმაც მოაგროვა ქულათა რაოდენობა [116-231] საზღვრიდან, მაღალი დონის მასწავლებლად მასწავლებელი, რომლმაც მოაგროვა ქულათა რაოდენობა [232-347] საზღვრიდან.

კვლევის ეს ეტაპი არ ითვალისწინებდა კითხვარის ცალკეულ დებულებათა სტატისტიკური მაჩვენებლების დადგენასა და კითხვარის ფაქტორულ ანალიზს. ყოველივე ეს, გამოწვეული იყო ჩვენს მიერ ჩატარებული ძირითადად თვისებრივი კვლევის ტიპის გამო. როგორც ცნობილია აღნიშნული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია არ მუშავდება სტატისტიკურად და მისი ძირითადი მიზანი ჰიპოთეზის დაზუსტებასა და მიმართულების გამოკვეთას ემსახურება. შემდგომ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის პირველი ეტაპი კითხვარის ვარგისიანობის დასადგენად, რესპონდენტთა მცირე (კითხვარის აპრობაციისათვის საკმარის) რაოდენობაზე იქნა ჩატარებული. აღნიშნულ მიზეზთა გამო ცალკეული სტატისტიკური მაჩვენებლების მოყვანა ამ თვალსაზრისით ღირებულად არ მიგვაჩნია.

აღწერილი კვლევის პროცესისა და საკვლევი ინსტრუმენტის – კითხვარის (შინაარსი და სკალა) ვალიდობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ შინაარსობრივი ვალიდობა, რომელიც შემოწმების ერთ-ერთი სახეა, შესრულებულია. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ სასწავლო პროცესში

ჩართული მხარეების წარმომადგენელი-ექსპერტები, მათი მითითებები და გათვალისწინებული რჩევები ვალიდობის აუცილებელი პირობაა. კითხვარში გამოყენებული სკალის სტანდარტულობიდან გამომდინარე მისი ვალიდობის პირობაც შესრულებულია. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ კითხვარი ვალიდურია.

კითხვარის სანდოობა თავისი შინაარსით გულისხმობს იმ ხარისხს, რომლითაც კითხვარი ყოველი გამოყენებისას მსგავს შედეგებს იძლევა. აღნიშნული ხარისხის დადგენა, როგორც წესი, მეორადი კვლევის ჩატარებისას, გარკვეული დროითი პერიოდის გავლის შემდეგად შესაძლებელი. სანდოობის შემოწმება კვლევის შემდგომ ეტაპზე, უკვე ვალიდური კითხვარით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისას მოხდება.

ამრიგად, ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად მივიღეთ სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების ქართული კითხვარი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის დაკვეთებს მასწავლებლისადმი. ამასთან, კვლევის შედეგად დადგენილია ის საერთო უარყოფითი მახასიათებლები, რომელებიც დღევანდელი უმაღლესი სკოლის მასწავლებელს გააჩნია. მივიღეთ პირობითად „დაბალი“, „საშუალო“ და „მაღალი“ დონის მასწავლებლის შეფასებისათვის ქულათა რაოდენობა, ანუ შევქმენით სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების „ინსტრუმენტი“.

სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარის შედგენის მეთოდიკა და თავად კითხვარი, საერთაშორისო დონეზე აპრობაციის მიზნით, გადამოწმებული იქნა კრისტიან-ალბრეხტის კილის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტში (კილი, გერმანია). კერძოდ, პედაგოგიკის ინსტიტუტში ჩავატარეთ 2007-2008 წლის ზამთრის სემესტრში მიმდინარე სემინარების წამყვანი მასწავლებლების შეფასება.

კვლევის ფარგლებში კითხვარის შედგენის პროცესი შემდეგი ეტაპებით განხორციელდა:

- I. ნაციონალური თავისებუბერებების გათვალისწინების მიზნით, დაგამუშავეთ გერმანიის უნივერსიტეტების სასწავლო პროცესის და სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების დებულებები. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ჩრდილოეთ გერმანიის უნივერსიტეტების გაერთიანების (VNU - Verbund Norddeutscher Universitäten) და კრიქსიან ალბრეხტის კილის უნიერსიტეტის (CAU – Christian Albrecht Universität zu Kiel) სასწავლო პროცესის დებულებებზე. მოპოვებული მასალა თეორიულად შევადარეთ ჩვენ მიერ საქართველოში შექმნილ სტანდარტს.
- II. კვლევის ჩასატარებლად, ფოკუს ჯგუფად შევარჩიეთ პედაგოგიკის ინსტიტუტში 2007-2008 წლის ზამთრის სემესტრში, პედაგოგიკის მიმართულებით მიმდინარე სემინარებზე მონაწილე სტუდენტები (411 სტუდენტი). შერჩევისას დამატებით მახასიათებლებს, როგორიცაა აკადემიურ მოსწრება, სასწავლო სემესტრი, ფაკულტეტი და სხვ. ყურადღება არ ექცევდა.
- III. პირველ ეტაპზე გამოვკითხეთ 61 სტუდენტი. დასმულ კითხვაზე: „**თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს უმაღლესი სკოლის მასწავლებელი?**“ ანონიმურად, წერილობით სტუდენტთა მიერ დაფიქსირებული იქნა ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც გერმანელ სტუდენტებს გააჩნდათ პედაგოგების მიმართ. მოპოვებული მასალის დამუშავებისას, ჩვენს მიერ გათვალისწინებულ იქნა ყველაზე ხშირად (გამოკითხულთა 80%) გამეორებული აზრი.
- IV. საქართველოში ჩატარაბული კვლევის მსგავსად, მოპოვებული მოთხოვნები მასწავლებლისადმი შეჯერებულ იქნა ზემოთ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლებთან. აღსანიშნავი და ხაზგასასმელია, რომ გერმანელი სტუდენტების მიერ დაფიქსირებული სურვილები არ გასცილებია ჩვენს მიერ შედგენილი პედაგოგის პროფესიული მახასიათებლების ჩამონათვალს. უმნიშვნელო გადახრა, პედაგოგისადმი პიროვნულ მოთხოვნებში ფიქსირდებოდა, რაც კულტურული სხვაობიდან გამომდინარე, უდავოდ ბუნებრივი მოვლენაა.

- V. მოპოვებული მასალა შეგაჯერეთ გერმანიაში არსებულ სტანდარტებზან, კილის უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარებთან, ჩვენს მიერ საქართველოში შედგენილ პროფესიულ მახასიათებლებთან და შეგადგინეთ სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარი. კითხვარი უკვე თავისი შინაარსით ითვალისწინებდა როგორც ქართველი, ისე გერმანელი სტუდენტების მოთხოვნებს. ცხადია, კითხვების შედგენისას ვხელმძღვანელობდით რალფ პორტსის მანკაიმის გამოკითხვათა, მეთოდებისა და ანალიზის ცენტრის კითხვათა ფორმულირების მითითებებით. განსაკუთრებული ყურადღება მიგაქციეთ კითხვათა განლაგების თანმიმდევრობას. კითხვებზე პასუხების, ანუ სკალის შერჩევისას, ამჯერადაც არ გაგვითვალისწინებია ნეიტრალური პუნქტის არსებობა, თუმცა განაწილების უფრო დეტალურად აღსაქმელად, კენტი (5) რაოდენობის „შეესაბამება - არ შეესაბამება [trifft zu – trifft nicht zu]“ სკალა შევარჩიეთ.
- VI. შემუშავებული კითხვარი, CAU-ის პედაგოგიკის ინსტიტუტის პროფესორებთან შევათანხმეთ, რის შემდეგაც კითხვარმა არა ერთი ცვლილება განიცადა.
- VII. ჩავატარეთ კითხვარის აპრობაცია პედაგოგიკის ინსტიტუტის ერთ-ერთ სემინარზე, 28 კაციან ჯგუფში.
- VIII. აპრობაციამ გვიჩვენა, რომ ერთმნიშვნელოვნად, ყველასათვის გაუგებარი იყო ანკეტური დიდ კითხვა - საგანი (Fachdisziplin), მან შემდგომში სხვა ფორმულირება მიიღო, კერძოდ სემინარის დასახელება (Titel des Seminars). რადგან კითხვარი ნაციონალური თავისებურებების და სტუდენტთა დაპვეთის გათვალისწინებით შედგა, აპრობაციამ თავად კითხვარში შესწორება არ შეიტანა. მონაცემთა დამუშავებისას დაკრწმუნდით, რომ არც ერთმა კითხვამ, კითხვის შეცვლისათვის აუცილებელ კრიტიკულ ზღვარს (10%-ზე მეტი პასუხებაუცემელი პუნქტი, ერთი და იგივე კითხვაზე პასუხის საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტი) არ მიაღწია.
- მასწავლებელთა ევალვაცია, კილის უნივერსიტეტში რამდენიმე წლიან პრაქტიკას ითვლის. ყოველ სემესტრული შეფასების შედეგები ინსტიტუტებში,

ამ ეტაპისათვის მხოლოდ რეკომენდაციების ხასიათს ატარებს. ფაქულტეტებისა თუ ინსტიტუტების მიხედვით, უნივერსიტეტის მასშტაბით არ დგება რაიმე სახის რეიტინგული სია. ყოველ სემესტრული შეფასების მოთხოვნიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მასშტაბით დანერგილია ევალვაციის ე.წ. პროგრამული უზრუნველყოფა - EvaSys. პროგრამის მოთხოვნის ფარგლებში თითოეული კითხვარი, რომელიც ევალვაციისას გამოიყენება, ვიზუალურად გარკვეულ სტანდარტებს უნდა აქმაყოფილებდეს. EvaSys-ი სხვადასხვა ტიპის კითხვების და სკალების შერჩევის საშუალებას იძლევა. ქაღალდური ან/და ელექტრონული მატარებლიდან შეყვანილ ინფორმაციას სისტემა თავად ამუშავებს სტატისტიკურად და აგენტირებს შედეგებს. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული პროფესორს, საკუთარი შეფასების შედეგების გაცნობისას, უფლება აქვს არ გამოაქვეყნოს ისინი.

IX. ჩვენს მიერ შემუშავებულმა კითხვარმაც, EvaSys ფარგლებში გარკვეული ვიზუალური ცვლილებები განიცადა. წარმოგიდგენთ, აპრობირებული გერმანული კითხვარის ორიგინალურ სახეს და მის ქართულ თარგმანს:



Markieren Sie so:  Bitte verwenden Sie einen Kugelschreiber oder nicht zu starken Filzstift. Dieser Fragebogen wird maschinell erfasst.  
 Korrektur:  Bitte beachten Sie im Interesse einer optimalen Datenerfassung die links gegebenen Hinweise beim Ausfüllen.

1.

**(Für Studenten)**

**Bitte machen Sie sich mit dem Fragebogen aufmerksam bekannt. Am Ende jeder Frage stellen Sie ein Zeichen „X“ wenn das für Sie annehmbar ist.**

**1.1 Titel des Seminars**

**1.2 Seminarleiter(In) [Titel, Name, Vorname]**

**1.3 Ihr Fachsemester**


2.

2.1 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gibt zu Beginn des Semesters einen Überblick über den Inhalt und den Ablauf des Seminars (Arbeitsmethoden, Fachliteratur, Anforderungen an die Studenten, Studiennachweise usw.).

trifft zu     trifft nicht zu

2.2 Die Lehrveranstaltung hat eine angemessene Gruppengröße.

trifft zu     trifft nicht zu

2.3 Der Lehrstoff wird verständlich für Studenten dargeboten.

trifft zu     trifft nicht zu

2.4 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin berücksichtigt die modernen wissenschaftlichen Forschungsergebnisse.

trifft zu     trifft nicht zu

2.5 Dem Seminarleiter / Der Seminarleiter scheint der Lernerfolg der Studierenden gleichgültig zu sein.

trifft zu     trifft nicht zu

2.6 Der Seminarleiter/ Die Seminarleiterin ist außerhalb der Lehrveranstaltungen für Fragen der Studierenden ansprechbar.

trifft zu     trifft nicht zu

2.7 In dem Seminar werden nicht nur theoretische Kenntnisse vermittelt, sondern auch ihre praktische Bedeutung.

trifft zu     trifft nicht zu

2.8 Man merkt dem Seminarleitern/der Seminarleiterin an, dass das Seminar für ihn/ sie nur eine lästige Pflicht darstellt.

trifft zu     trifft nicht zu

2.9 In dem Seminar werden Medien (Folie, Video, PC, Beamer usw.) in sinnvoller Weise eingesetzt.

trifft zu     trifft nicht zu

## 2. [Fortsetzung]

- |   |                                    |                            |                            |                            |                            |                 |
|---|------------------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|-----------------|
| 2.10 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin verhält sich den Studierenden gegenüber respektvoll. Die Studierenden fühlen sich ernst genommen.                          | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.11 Das Seminar ist eine gute Mischung aus Wissensvermittlung und Diskussion.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.12 Der Seminarleiter/ Die Seminarleiterin ist humorvoll.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.13 Es werden aktivierende (kommunikative) Lernformen eingesetzt (z.B. Gruppenarbeit, Rollenspiel).  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.14 Die Studentenmeinungen (Vorschläge, Anmerkungen) werden berücksichtigt.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.15 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin spricht deutlich.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.16 Zum Beginn einer Seminarstunde wird das schon behandelte Material besprochen.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.17 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin sorgt für eine anregende Lernatmosphäre im Seminar.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.18 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin befähigt die Studenten zu selbständiger Arbeit (Umgang mit Lehrbüchern, Materialien und Literatur, Studien und Forschung). | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.19 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gibt schon zum Kursbeginn die Gliederung des Lehrstoffs mit der empfohlenen Literatur bekannt.                             | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.20 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gibt auf Beiträge der Teilnehmer hilfreiches Feedback.   | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.21 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin wirkt gut vorbereitet.   | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.22 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gestaltet das Seminar methodisch abwechslungsreich.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.23 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin zeigt sich fachlich kompetent.   | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.24 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin bietet regelmäßig Sprechstunden an.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.25 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin ist studentenfreundlich (freundlich zu Studenten, aufgeschlossen für Studenten).   | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.26 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin lässt im Seminar seine schlechte Laune aus.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.27 Inhalte des Seminars können für die spätere Berufspraxis nützlich sein.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.28 Der Seminarleiter / Die Seminarleiterin hat gute Allgemeinbildung.   | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.29 Diskussionen in dem Seminar werden gut geleitet.   | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.30 Die Studierenden fühlen sich ermutigt, sich aktiv am Seminar zu beteiligen.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |
| 2.31 Das Seminar war für mich persönlich sehr wichtig.  | trifft zu <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | □ <input type="checkbox"/> | trifft nicht zu |

3.

- 3.1 Welche Schulnote wollen Sie der Lehrveranstaltung insgesamt geben? (Schulnoten 1=sehr gut, 2=gut, 3=befriedigend, 4=ausreichend, 5=mangelhaft, 6=ungenügend )
- 3.2 Welche Schulnote wollen Sie dem Seminarleiter für dieses Seminar geben?
- 3.3 Welche Schulnote wollen Sie sich selber für Ihre Mitarbeit in diesem Seminar geben?

4.

- 4.1 Ihr abschließender Kommentar zu dieser Lehrveranstaltung

- 4.2 Ihr abschließender Kommentar zu dieser Seminarauswertung

- 4.3 Was sollte an diesem Fragebogen geändert werden?

Vielen Dank für Ihre Mitarbeit.

## კითხვარი

### სემინარის შესამოწმებლად

გთხოვთ გულდასმით გაეცნოთ კითხვარს. ყოველი კითხვის შემდეგ ოქვენთვის მისაღები პასუხის ვარიანტთან დასვით აღნიშვნა „x“.

**1.1. სემინარი დასახელება**

**12. სემინარის ხელმძღვანელი**

(სახელი გვარი)

**13. სასწავლო სემესტრი**

ასებული  
გენერატორი

ას შესაბამისი

- 2.1. მასწავლებელი სემესტრის დასაწყისში განმარტავს სემინარის მიმდინარეობის ორგანიზაციულ საკითხებს (სწავლების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა, მოთხოვნები სტუდენტებისადმი, შეფასების პრიტერიუმები) - - - - -
- 2.2. სასემინარო ჯგუფის მოცულობა მისაღები ოდენობისაა - - - - -
- 2.3. სასწავლო მასალა სტუდენტისათვის გასაგებადაა მიწოდებული - -
- 2.4. მასწავლებელი ითვალისწინებს მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს - - - - -
- 2.5. მასწავლებელი დაინტრესებულია სტუდენტების წარმატებით - -
- 2.6. მასწავლებელი მეცნიერების შემდეგაც მზადაა უპასუხოს სტუდენტის მიერ დასმულ შეკითხვებს - - - - -
- 2.7. სემინარზე განიხილება არა მხოლოდ თეორიული მასალა, არამედ მასალის პრაქტიკული მნიშვნელობაც - - - - -
- 2.8. იგრძნობა, რომ უმაღლესი სკოლის მასწავლებელი სემინარს მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებს - - - - -
- 2.9. სემინარზე რაციონალურად გამოიყენება სწავლების ტექნიკური საშუალებები (სლაიდები, ვიდეო მასალა, კომპიუტერი, პროექტორი)

- 2.10. მასწავლებელი პატივისცემით ეკიდება სტუდენტებს. (სტუდენტები  
მასწავლებლის ყურადღებას გრძნობენ) - - - - -
- 2.11. სემინარი ცოდნის გადაცემისა და დიგუსის კარგი კომბინაციაა -
- 2.12. მასწავლებელს აქვს კარგი იუმორის გრძნობა - - - - -
- 2.13. სემინარზე გამოიყენება სწავლების აქტივიზაციის ხერხები (მაგ.  
ჟუფური მუშაობა, როლური თამაშები) - - - - -
- 2.14. მასწავლებელი ითვალისწინებს სტუდენტების აზრს (წინადადებებს,  
შენიშვნებს) - - - - -
- 2.15. მასწავლებელი მეტყველებს გარკვევით - - - - -
- 2.16. სემინარის დასაწყისში ხდება გავლილი მასალის მიმოხილვა - -
- 2.17. მასწავლებელი ცდილობს შექმნას სემინარზე სწავლისათვის  
მისაღები ატმოსფერო - - - - -
- 2.18. მასწავლებელი ხელს უწყობს სტუდენტების დამოუკიდებელ  
მუშაობას (სასწავლო წიგნების, დამატებით მასალების და  
ლიტერატურის გამოყენება, სწავლება და კვლევა) - - - - -
- 2.19. სემინარის დასაწყისში მასწავლებელი აცნობს მონაწილეებს  
რეკომენდირებული ლიტერატურის ჩამონათვალს - - - - -
- 2.20. მასწავლებელი სტუდენტების შეკითხვებზე ახსნა-განმარტებებს  
იძლევა - - - - -
- 2.21. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი სემინარისათვის მომზადებული  
ჩანს - - - - -
- 2.22. მასწავლებელს სემინარი სხვადასხვა მეთოდებით მიჰყავს - - -
- 2.23. მასწავლებელი კომპეტენტურია დარგში - - - - -

- 2.24. მასწავლებელი სისტემატიურად სთავაზობს სტუდენტებს კონსულტაციის საათებს - - - - -
- 2.25. მასწავლებელი მეგობრულია სტუდენტების მიმართ - - - - -
- 2.26. მასწავლებელს გადააქვს აუდიტორიაზე საკუთარი ცუდი განწყობა - - - - -
- 2.27. სემინარის შინაარსი, გამოსადეგია შემდგომი პროფესიული საქმიანობისათვის - - - - -
- 2.28. უმაღლესი სკოლის მასწავლებელს კარგი ზოგადი განათლება აქვს - - - - -
- 2.29. სემინარებზე დისკუსიები ორგანიზებულად მიმდინარეობს - -
- 2.30. მონაწილეები კომფორტულად გრძნობენ თავს იმისათვის, რომ სემინარზე იაქტიურონ - - - - -
- 2.31. პირადად ჩემთვის სემინარი ძალიან მნიშვნელოვანი იყო - - -

3.1. რა ნიშანს დაუწერდით სემინარს მთლიანობაში? (1-ძალიან კარგი, 6-არასაკმარისი)

3.2. რა ნიშანს დაუწერდით მთლიანობაში სემინარის ხელმძღვანელს? (1-ძალიან კარგი, 6-არასაკმარისი)

3.3. რა ნიშანს დაუწერდით თქვენ თავს როგორც მონაწილეს? (1-ძალიან კარგი, 6-არასაკმარისი)

4.1. თქვენი საბოლოო კომენტარი სემინარის შესახებ

---



---



---

## **4.2. საბოლოო კომენტარი სემინარის შეფასებასთან დაკავშირებით**

---

### **4.3. რა უნდა შეიცვალოს კითხვარში?**

---

---

#### **მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის**

- X. აპრობირებული კითხვარით, 2007-2008 ზამთრის სემსეტრის დასასრულს, გამოკითხვა ჩატარდა პედაგოგიკის ინსტიტუტის 7 პედაგოგის 11 სემინარზე. აპრობირებული კითხვარით, სულ გამოკითხულ იქნა 322 სტუდენტი. ნაბეჭდი სახით შევსებული კითხვარების მონაცემები დამუშავებულ იქნა ელექტრონულად EvaSys საშუალებით.
- XI. ვინაიდან ჩვენი კვლევის მზიანი, კითხვარის შედეგების მეთოდიკის ვარგისიანობის დადგენა იყო, ამ ეტაპისათვის არ გავამახვილებთ ყურადღებას სტატისტიკური მონაცემების შედეგების განხილვაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონაცემთა დამუშავება გერმანული პროგრამის ფარგლებში ხდებოდა. მონაცემები თითოეული პროფესორისათვის ცალკალკ მუშავდებოდა. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ-ერთი სემინარის პროფესორის შეფასების, კითხვარის სტატისტიკური დამუშავების შედეგებს, რომელსაც დაინტერესებული მკითხველი შეიძლება გერმანულ ენაზე გაეცნოს. შეფასების ერთიან შედეგების ქართულ ვარიანტს ვერ გთავაზობთ, ვინაიდან პასუხები დაგენერირებულია პროგრამის მიერ ავტომატურად და ერთობლივი მონაცემები, ისევე როგორც თითოეული პროფესორისათვის შედეგების მათემატიკურ ნაწილზე წვდომის საშუალება არ გვქონდა.

Sehr geehrter Herr  
Prof. Dr. Wilhelm Brinkmann (PERSÖNLICH)

## Auswertungsbericht Lehrveranstaltungsevaluation an die Lehrenden

Sehr geehrte/r Frau/Herr Prof. Dr. Brinkmann,

Sie erhalten hier die Ergebnisse der automatisierten Auswertung der Lehrveranstaltungsevaluation zur Veranstaltung Pädagogische Hermeneutik

Fragebogen Typ EV.PÄD.K:

Der zuerst angegebene Globalindikator setzt sich aus folgenden Skalen des Fragebogens zusammen:

Als nächstes werden die einzelnen Mittelwerte der oben genannten Skalen aufgeführt.

Im zweiten Teil des Auswertungsberichts werden die Mittelwerte aller einzelnen Fragen aufgelistet.

Der Wert 1 kennzeichnet aus Sicht der Studierenden eine maximale Veranstaltungsgüte, der Wert 5 eine minimale Veranstaltungsgüte.


**Prof. Dr. Wilhelm Brinkmann**  
Pädagogische Hermeneutik ()  
Erfasste Fragebögen = 44



**Auswertungsteil der geschlossenen Fragen**

Legende


Frage text




<fontname=Arial italicangle=-12 underline=false fontsize=10 encoding=unicode fixedleading=true charref=true embedding=true><fontname=Arial-Bold italicangle=-12 underline=false fontsize=10 encoding=unicode fixedleading=true charref=true embedding=true>(Für Studenten)<fontname=Arial italicangle=0 underline=false fontsize=10 encoding=unicode fixedleading=true charref=true embedding=true><fontname=Arial italicangle=0 underline=false fontsize=10 encoding=unicode fixedleading=true charref=true embedding=true>

Bitte machen Sie sich mit dem Fragebogen aufmerksam bekannt. Am Ende jeder Frage stellen Sie ein Zeichen „X“ wenn das für Sie annehmbar ist.<fontname=Arial italicangle=0 underline=false fontsize=10 encoding=unicode fixedleading=true charref=true embedding=true>


- 2.1) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gibt zu Beginn des Semesters einen Überblick über den Inhalt und den Ablauf des Seminars (Arbeitsmethoden, Fachliteratur, Anforderungen an die Studenten, Studiennachweise usw.).




- 2.2) Die Lehrveranstaltung hat eine angemessene Gruppengröße.




- 2.3) Der Lehrstoff wird verständlich für Studenten dargeboten..




- 2.4) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin berücksichtigt die modernen wissenschaftlichen Forschungsergebnisse.




- 2.5) Dem Seminarleiter / Der Seminarleiter scheint der Lernerfolg der Studierenden gleichgültig zu sein.




- 2.6) Der Seminarleiter/ Die Seminarleiterin ist außerhalb der Lehrveranstaltungen für Fragen der Studierenden ansprechbar.




- 2.7) In dem Seminar werden nicht nur theoretische Kenntnisse vermittelt, sondern auch ihre praktische Bedeutung.




2.8) Man merkt dem Seminarleiter/der Seminarleiterin an, dass das Seminar für ihn/sie nur eine lästige Pflicht darstellt.




2.9) In dem Seminar werden Medien (Folie, Video, PC, Beamer usw.) in sinnvoller Weise eingesetzt.




2.10) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin verhält sich den Studierenden gegenüber respektvoll. Die Studierenden fühlen sich ernst genommen.




2.11) Das Seminar ist eine gute Mischung aus Wissensvermittlung und Diskussion.




2.12) Der Seminarleiter/ Die Seminarleiterin ist humorvoll.




2.13) Es werden aktivierende (kommunikative) Lernformen eingesetzt (z.B. Gruppenarbeit, Rollenspiel).




2.14) Die Studentenmeinungen (Vorschläge, Anmerkungen) werden berücksichtigt.




2.15) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin spricht deutlich.




2.16) Zum Beginn einer Seminarstunde wird das schon behandelte Material besprochen.




2.17) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin sorgt für eine anregende Lernatmosphäre im Seminar.




2.18) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin befähigt die Studenten zu selbständiger Arbeit (Umgang mit Lehrbüchern, Materialen und Literatur, Studien und Forschung).




2.19) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gibt schon zum Kursbeginn die Gliederung des Lehrstoffs mit der empfohlenen Literatur bekannt.



2.20) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gibt auf Beiträge der Teilnehmer hilfreiches Feedback.




2.21) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin wirkt gut vorbereitet.




2.22) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gestaltet das Seminar methodisch abwechslungsreich.




2.23) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin zeigt sich fachlich kompetent.




2.24) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin bietet regelmäßig Sprechstunden an.



2.25) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin ist studentenfreundlich (freundlich zu Studenten, aufgeschlossen für Studenten).




2.26) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin lässt im Seminar seine schlechte Laune aus.



2.27) Inhalte des Seminars können für die spätere Berufspraxis nützlich sein.




2.28) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin hat gute Allgemeinbildung.




2.29) Diskussionen in dem Seminar werden gut geleitet.



2.30) Die Studierenden fühlen sich ermutigt, sich aktiv am Seminar zu beteiligen.



2.31) Das Seminar war für mich persönlich sehr wichtig.



3.1) Welche Schulnote wollen Sie der Lehrveranstaltung insgesamt geben? (Schulnoten 1=sehr gut, 2=gut, 3=befriedigend, 4=ausreichend, 5=mangelhaft, 6=ungenügend)



n=43  
mw=2.1  
s=0

3.2) Welche Schulnote wollen Sie dem Seminarleiter für dieses Seminar geben?


n=43  
mw=1  
s=0


100%


3.3) Welche Schulnote wollen Sie sich selber für Ihre Mitarbeit in diesem Seminar geben?

n=43  
mw=1  
s=0

100%

**Histogramme zu den Skalafragen**







## Profillinie

Teilbereich: Pädagogik  
 Name der/des Lehrenden: Prof. Dr. Wilhelm Brinkmann  
 Titel der Lehrveranstaltung: Pädagogische Hermeneutik  
 (Name der Umfrage)

- 2.1) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gibt zu Beginn des Semesters einen Überblick über den Inhalt und den Ablauf des Seminars (Arbeitsmethoden, Fachliteratur, Anforderungen an die Studierenden).
- 2.2) Die Lehrveranstaltung hat eine angemessene Gruppengröße.
- 2.3) Der Lehrstoff wird verständlich für Studenten dargeboten.
- 2.4) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin berücksichtigt die modernen wissenschaftlichen Forschungsergebnisse.
- 2.5) Dem Seminarleiter / Der Seminarleiter scheint der Lernerfolg der Studierenden gleichgültig zu sein.
- 2.6) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin ist außerhalb der Lehrveranstaltungen für Fragen der Studierenden ansprechbar.
- 2.7) In dem Seminar werden nicht nur theoretische Kenntnisse vermittelt, sondern auch ihre praktische Bedeutung.
- 2.8) Man merkt dem Seminarleitern/der Seminarleiterin an, dass das Seminar für ihn/sie nur eine lastige Pflicht darstellt.
- 2.9) In dem Seminar werden Medien (Folie, Video, PC, Beamer usw.) in sinnvoller Weise eingesetzt.
- 2.10) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin verhält sich den Studierenden gegenüber respektvoll. Die Studierenden fühlen sich ernst genommen.
- 2.11) Das Seminar ist eine gute Mischung aus Wissensvermittlung und Diskussion.
- 2.12) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin ist humorvoll.
- 2.13) Es werden aktivierende (kommunikative) Lernformen eingesetzt (z. B. Gruppenarbeit, Rollenspiel).
- 2.14) Die Studentenmeinungen (Vorschläge, Anmerkungen) werden berücksichtigt.
- 2.15) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin spricht deutlich.
- 2.16) Zum Beginn einer Seminarstunde wird das schon behandelte Material besprochen.
- 2.17) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin sorgt für eine anregende Lernatmosphäre im Seminar.
- 2.18) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin befähigt die Studenten zu selbständiger Arbeit (Umgang mit Lehrbüchern, Materialien und Literatur, Studien und Forschung).
- 2.19) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gibt schon zum Kursbeginn die Gliederung des Lehrstoffs mit der empfohlenen Literatur bekannt.
- 2.20) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gibt auf Beiträge der Teilnehmer hilfreiches Feedback.
- 2.21) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin wirkt gut vorbereitet.
- 2.22) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin gestaltet das Seminar methodisch abwechslungsreich.
- 2.23) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin zeigt sich fachlich kompetent.
- 2.24) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin bietet regelmäßige Sprechstunden an.



- 2.25) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin ist studentenfreundlich (freundlich zu Studenten, aufgeschlossen für Studenten).
- 2.26) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin lässt im Seminar seine schlechte Laune aus.
- 2.27) Inhalte des Seminars können für die spätere Berufspraxis nützlich sein.
- 2.28) Der Seminarleiter / Die Seminarleiterin hat gute Allgemeinbildung.
- 2.29) Diskussionen in dem Seminar werden gut geleitet.
- 2.30) Die Studierenden fühlen sich ermutigt, sich aktiv am Seminar zu beteiligen.
- 2.31) Das Seminar war für mich persönlich sehr wichtig.



წარმოდგენილი კვლევის პროცესისა და თავად კითხვარის (შინაარსი და სკალა) ვალიდობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ შინაარსობრივი ვალიდობა, რომელიც შემოწმების ერთ-ერთი სახეა, შესრულებულია. საქვლევი ინსტრუმენტის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების წარმომადგენლები, მათი მითითებები და გათვალისწინებული რჩევები კი ვალიდობის აუცილებელი პირობაა. კითხვარში გამოყენებული სკალის სტანდარტულობიდან გამომდინარე, მისი ვალიდობის პირობაც შესრულებულია. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ გერმანულ გარემოში შექმნილი კითხვარი ვალიდურია.

მორიგ ჯერზე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კითხვარი, ერთი და იგივე პროფესიული მახასიათებლების ბაზაზე დაყრდნობით იქნა შედგენილი. ძირითადი მოთხოვნები მასწავლებლის მიმართ როგორც ქართველ ისე გერმანელ სტუდენტებს მსგავსი აქვთ, თუმცა უმნიშვნელო განსხვავება მოთხოვნებში დაფიქსირთა მასწავლებლის პიროვნული თვისებების კუთხით, რაც კულტურულ სხვაობას შეიძლება მივაწეროთ.

ამრიგად, ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად მივიღეთ სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარები, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის დაკვეთებს მასწავლებლისადმი. ქართული და გერმანული კითხვარების გამოყენების ასპექტები უნივერსიტეტების ადმინისტრაციებმა უნდა განსაზღვრონ საჭიროების მიხედვით.

## დ ა ს პ ნ ა

1. უმაღლესი სკოლის საქმიანობის აღიარების მთავარ ბერკეტად მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე მოიაზრებს ხარისხის კონტროლს, ანუ აკრედიტაციას. აკრედიტაცია გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა რგოლის საქმიანობის ხარისხის შეფასებას. ამგვარი შეფასების, ანუ დაწესებულების საქმიანობის აღიარების გარეშე, უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულს ვერ გაეხსნება გზა ამა თუ იმ ქვეყნის სამომხმარებლო სფეროებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმები სწორედ ამ პროცესებისკენაა მიმართული.
2. უმაღლესი სასწავლებლის უძირითადეს რგოლს მისი პროფესორ-მასწავლებლები და მათი საქმიანობა წარმოადგენს. ყველასათვის ნათელია, რომ მასწავლებელია ყოველგვარი წესდებისა თუ გარდაქმნის აღმსრულებელი, მასწავლებელია ის მთავარი ძალა, რომელიც წარმართავს სწავლა-აღზრდის ურთულეს საქმეს. ჩვენი ნაშრომი, სწორედ მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის თანამედროვე ხედვის შემუშავებასა და მისი შეფასების სისტემის შექმნას ეძღვნება. ვფიქრობთ, ეს საქმე უპირველესი ნაბიჯია აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში.
3. იმისათვის რომ შეგვეჭნა პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემა, აუცილებელი იყო განგვესაზღვრა უმაღლესი სკოლის მიზანი ზოგადად და ამ მიზნიდან გამომდინარე მასწავლებლის პროფესიული ფუნქციები. ისტორიული თვალთხედვით და თანამედროვე ლიტერატურის ანალიზით დაგადგინეთ, რომ უმაღლესი სკოლა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა და მაშასადამე, უმაღლესი სკოლის მასწავლებელს პროფესიულად ევალება პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობა.
4. არსებული ლიტერატურისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, შეგვეადეთ მოგვეაზრებინა უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემა. ჩვენთვის ამ სისტემაში ყველაზე მეტად მნიშვნელოვან რგოლს სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასება წარმოადგენს. ამდენად კვლევა ამ მიმართულებით გავაგრძელეთ.

5. შესაბამისი ლიტერატურის თეორიული ანალიზისა და ჩვენი მოსაზრების გათვალისწინებით შევქმენით უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, მოვიაზრეთ რა ისინი სამი ასპექტის ერთიანობით – მეცნიერული ცოდნა, მეთოდური მომზადება და პიროვნული მახასიათებლები.
6. ჩავატარეთ პროფესიული მახასიათებლების კვლევა. ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობით მოვიპოვეთ სტუდენტთა აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს უმაღლესი სკოლის თანამედროვე მასწავლებელი. ამავე დროს მოვიპოვეთ სტუდენტებისაგან ის უარყოფითი მახასიათებლები, რომლებიც სამწუხაროდ თსუ-ის უნივერსიტეტის თანამედროვე კადრს გააჩნია.
7. შევაჯერეთ სტუდენტთა აზრი ჩვენ მიერ შექმნილ თეორიულ მოდელთან და შევადგინეთ უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები (პროფესიოგრამა), რომლებიც თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგად იქნა მოპოვებული.
8. დავამუშავეთ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და თსუ-ში სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების არსებული კითხვარები. ქართულ რეალობასთან ადაპტაციის მიზნით ისინი შევაჯერეთ ჩვენ მიერ მოპოვებულ პროფესიოგრამასა და მასწავლებლის უარყოფით მახასიათებლებთან. შედეგად მივიღეთ სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარი, რომელიც შესაბამისობაშია მასწავლებლის მიმართ პროფესიულ მოთხოვნებსა და სტუდენტურ დაკვეთებთან.
9. ჩავატარეთ კითხვარის აპრობაცია ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაპირველკურსელ 200 სტუდენტზე. დავითვალეთ თითოეულ კითხვაზე პასუხების პროცენტული შედეგები. ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდიკის სანდოობიდან გამომდინარე, კითხვარმა უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა.
10. კითხვარის შედეგების მეთოდიკა გადავამოწმეთ გერმანიის ქალაქ ზარბუგანის, ზარლანდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულებაზე.

11. სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარის შედგენის მეთოდიკისა და თავად კითხვარის საერთაშორისო დონეზე აპრობაციის მიზნით, ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის მექანიზმი გადამოწმებული იქნა გერმანიის, კრისტიან-ალბრეხტის კილის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტში. კერძოდ, ჩატარებულ იქნა 2007-2008 წლის ზამთრის სემესტრის პედაგოგიკის ინსტიტუტში მიმღინარე სემინარების (11 საგნის სემინარი, 7 პედაგოგი) ევალვაცია. საერთო ჯამში გამოკითხულ იქნა 411 სტუდენტი.
12. ნაციონალური თავისებურების გასათვალისწინებლად, მოძიებულ იქნა გერმანელი სტუდენტების მოსაზრებები და მოთხოვნები უმაღლესი სკოლის მასწავლებლისადმი. ჩამოყალიბებული მოთხოვნები შევაჯერეთ ჩვენს პროფესიულ მახასიათებლებთან.
13. შევადგინეთ გერმანული რეალობის ამსახველი კითხვარი, ჩავატარეთ მისი აპრობაცია. აპრობაციის შედეგების მიხედვით შევიტანეთ შესწორებები კითხვარში.
14. მიღებული კითხვარით სემესტრის ბოლოს გამოვკითხეთ სემინარებში მონაწილე ყველა სტუდენტი. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ჩვენ მიერ მიღებული კითხვარის ყველა კითხვა მუშაობს, ანუ კითხვარი ვალიდურია.
15. ამრიგად, შეგქმენით სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარი, ე.წ. „ინსტრუმენტი“, რომელიც აპრობირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის, კრისტიან ალბრეხტის კილის უნივერსიტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტში. აღნიშნული კითხვარების გამოყენება შესაძლებელია საკუთრივ უნივერსიტეტებისა და აკრედიტაციის სამსახურების მიერ.

## უმაღლესი განათლება დიდი ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში

### უმაღლესი განათლების დაწესებულებების ისტორია

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში<sup>12</sup> სულ 90 უნივერსიტეტია (73 ინგლისში, 13 შოტლანდიაში, ორ-ორი უელსში და ჩრდილოეთ ირლანდიაში). ქრონოლოგიურად უნივერსიტეტები გაერთიანებულ სამეფოში ოთხ ნაკადად დაარსდა. **პირველი ნაკადი** - ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტები იყო, მათ XI-XII საუკუნეების მიჯნაზე ჩაეყარათ საფუძველი. XIX საუკუნეში საწარმოო ბაზრის მოთხოვნილებების ზრდამ გამოიწვია **მეორე ნაკადის**, ე.წ. „წითელაგურიანი უნივერსიტეტების“ წარმოქმნა, რომლებიც ინდუსტრიული ბაზრის დარგობრივი სპეციალისტებით მომარაგებას უზრუნველყოფდა. **მესამე ნაკადის** უნივერსიტეტები 1960 წელს დაარსდა. ასეთი უნივერსიტეტების რაოდენობრივი მატება გამოწვეული იყო არა მხოლოდ ბაზარზე სპეციალისტების საჭიროებით, არამედ საზოგადოების მზარდი მოთხოვნებით უმაღლესი განათლების მიმართ. უკანასკნელი, **მეორე ნაკადის** უნივერსიტეტები პოლიტექნიკურ სასწავლებლებს წარმოადგენდნენ, რომლებმაც 1992 წელს უნივერსიტეტის სტატუსი მოიპოვეს. პირველი ორი ნაკადის უნივერსიტეტებს სამეფო განკარგულების (Royal Charter) ძალით ჩაეყარათ საფუძველი, ხოლო შემდგომი ორი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონმდებლობაზე (Parliamentary Statute) დაყრდნობით განვითარდა. დაარსების საფუძვლის მიუხედავად, საუნივერსიტეტო დებულებაში და კანონში ნებისმიერი შესწორება ან დამატება, თავად უნივერსიტეტების წარდგენის შემდეგ, სამეფო ხელისუფლების განკარგულებით, უნივერსიტეტის პირადი საბჭოს მიერ ხორციელდება. ყოველი უნივერსიტეტი თავად განსაზღვრავს, რომელი ხარისი თუ კვალიფიკაცია იქნება შეთავაზებული საზოგადოებისათვის.

<sup>12</sup> UK – United Kingdom of Great Britain and Northern Ireland – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ტექსტში მოხსენიებულია როგორც გაერთიანებული სამეფო (United Kingdom).

როგორც ცნობილია, გაერთიანებულ სამეფოში უმაღლესი განათლების მიღება უნივერსიტეტის გარდა სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაშიც იყო შესაძლებელი, ანუ არსებობდა უმაღლესი განათლების ე.წ. **ბინარულ სისტემა** (Binary system). პოლიტექნიკური სასწავლებლების უნივერსიტეტებად გადაკეთებამ, გამოიწვია ბინარული სისტემის მოსპობა და უმაღლესი განათლების სფეროში, მხოლოდ უნივერსიტეტებისგან შემდგარი უნიფიცირებული სისტემის (Unified system) დაფუძნება ე.ი. 1992 წლის ცვლილებებმა, უმაღლესი განათლების ავტონომიური სისტემა ჩამოაყალიბა. შეიქმნა უნიფიცირებული სტრუქტურა ცალკეული დამფინანსებელი საბჭოებით ინგლისის, შოტლანდიისა და უელსისათვის. ამასთან შეელა უნივერსიტეტი, გარდა ბუკინჰემის უნივერსიტეტისა, სახელმწიფო დაფინანსებაზე გადავიდა. 1992 წლის დადგენილება - „შემდგომი და უმაღლესი განათლების დაწესებულებების შესახებ“ (The Further and Higher Education Act 1992), ინგლისისა და უელსში უმაღლესი განათლების კველა დაწესებულებას აძლევს უფლებას თავის დასახელებაში შეიტანოს სიტყვა „უნივერსიტეტი“. ეს უფლება შეელა პოლიტექნიკურმა სასწავლებელმა გამოიყენა. მხოლოდ ერთმა – Anglia Polytechnic University გადაწყვიტა თავის დასახელებაში შეენარჩუნებინა სიტყვა „პოლიტექნიკუმი“. მომავალში, უმაღლესი განათლების ახალ დაწესებულებებს დასახელების შერჩევისას სიტყვა „პოლიტექნიკუმი“ არ მიენიჭებათ. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებულ სამეფოში უნიფიცირებული სტრუქტურაა, საუნივერსიტეტო სექტორი (ლიტერატურული წყაროებიც), ტრადიციულ უნივერსიტეტებსა და ყოფილ პოლიტექნიკურ სასწავლებლებთან მიმართებაში, პვლავ იუნიტებს სიტყვებს „ძველი“ და „ახალი უნივერსიტეტი“.

**„ძველი უნივერსიტეტები“** უნივერსიტეტებად 1992 წლამდე დაარსდნენ. საზოგადოდ, „ძველი უნივერსიტეტები“ არ აწარმოებენ პროფესიულ ტრეინინგებს (Professional training), არ უშვებენ მოკლევადიანი კურსებით პროფესიულ კადრებს. თუმცა, შემოთავაზებულია პროფესიულად აკრედიტებული ხარისხების კურსთა ფართო არჩევანი, რომლებიც მოიცავენ საინჟინრო, საბუპლატრო, მასწავლებელთა ტრეინინგებს, სამედიცინო, ბიბლიოთეკარის და ინფორმაციულ მეცნიერებათა სწავლებებს. პროფესიული საქმიანობის პრაქტიკაში გამოყენების შეზღუდვები, როგორც წესი, გამოცდების ჩაბარების ან პროფესიულ ორგანიზაციათა (ისეთები

როგორიცაა საზოგადოებრივი ფინანსების და ბუჰლალტერიის ინსტიტუტი და ლეგალური განათლების საბჭო) აკრედიტირების შედეგად ხდება ცნობილი.

**„ახალი უნივერსიტეტების“ უმეტესობა ძველი პოლიტექნიკური სასწავლებლებია. ეს სასწავლებლები თავდაპირველად მუშათა კლასის ზოგადი ცოდნის, ინდუსტრიული უნარების განვითარებისათვის დაარსდა. სწავლება დროის სრული (Full-time) ან ნაწილობრივი (Part-time) დატვირთვით მიმდინარეობდა. მათი როლი ბრიტანეთის და კანადის პარლამენტის ქვედა პალატის (Parliament house of commons) მიერ 1966 წელს მიღებული ე.წ. თეთრი ქადაღდის - „პოლიტექნიკურებისა და სხვა კოლეჯთა გეგმა“ (White Paper, “A Plan for the Polytechnics and Other Colleges”) საფუძველზე შეიცვალა. ამ დოკუმენტში პოლიტექნიკური სასწავლებლები, ინდუსტრიის ბიზნესთან დამაკავშირებელ, უმაღლესი განათლების რეგიონალურ ცენტრებადაა მოხსენიებული. 1988 წლის განათლების რეფორმის აქტმა ინგლისში პოლიტექნიკური სასწავლებლები, კოლეჯები და უმაღლესი განათლების დაწესებულებები, რომლებიც აგრეთვე ავტონომიურები იყვნენ, ადგილობრივი განათლების კონტროლს ჩამოაცილა. 1992 წლის კანონის ძალით, დასახელებაში სიტყვა „უნივერსიტეტის“ გამოყენების უფლება, ასევე სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულებებმაც მიიღეს (მაგ. ტექნოლოგიურმა ინსტიტუტებმა).**

1969 წელს, თითქმის ტრადიციული უმაღლესი განათლების მსგავსი ე.წ. დია უნივერსიტეტები (Open University) დაარსდა. ამჟამად ისინი გაერთიანებულ სამეცნიერო დროის ნაწილობრივი დატვირთვის ხარისხების (Part-time degrees) მთავარი უზრუნველყოფი დაწესებულებებია. ეს ავტონომიური დაწესებულებები, ხარისხებს უნივერსიტეტების მსგავსად ანიჭებენ. თუმცა, სხვა უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, მათი დაფინანსება განათლებისა და მეცნიერებათა დეპარტამენტიდან (DES) უფრო დიდია, ვიდრე უმაღლესი განათლების დამფინანსებელი საბჭოდან (HEFC). დია უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამის ტიპებია: ხარისხამდელი (Undergraduate), ხარისხისშემდგომი (Postgraduate), უწყვეტი განათლებისა და „გამოცდილების შემდგომი“ კურსები (Continuing education and „Post experience“ courses). მესამე ტიპის კურსები განკუთვნილია იმ სტუდენტთათვის, რომელთაც არ სურთ ხარისხამდელებად (Undergraduate) დარეგისტრირება.

აღნიშნული კურსები შეიძლება შეიცავდნენ მოდულებს, როგორც ხარისხამდელი პროგრამებიდან, ასევე სპეციალური განვითარების მოკლევადიან ტრეინინგებს. ამ სამი ძირითადი ტიპის განათლებასთან ერთად, დია უნივერსიტეტის მიერ ზოგიერთი სადიპლომო პროგრამაცაა (Diploma courses) შემოთავაზებული.

დია უნივერსიტეტებში, სწავლება უმეტესად დისტანციურად მიმდინარეობს. გამოიყენება სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობა, აუდიო ჩანაწერები და ა.შ. ბევრი კურსის გასავლელად, სტუდენტები ვალდებული არიან ჩაეწერონ საზაფხულო სკოლაში. მეცადინეობები არჩეული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ზაფხულის არდადებების განმავლობაში ტარდება. რეგულარული კონსულტაციები კი, ადგილობრივ სასწავლო ცენტრებში მიმდინარეობს.

## საუნივერსიტეტო განათლების სტრუქტურა

ყველა დაწესებულება ვალდებულია კურსთა ფართო არჩევანი წარმოადგინოს. უნივერსიტეტებმა, განურჩევლად თავდაპირველი სტატუსისა, უმაღლესი განათლების დამფინანსებელი საბჭოების (HEFC) მიერ წარმოდგენილ და ჩრდილოეთ ირლანდიის განათლების დეპარამენტთან (DENI) შეთანხმებულ 11 კურიკულუმიდან, 5-ში უნდა გადაანაწილონ სტუდენტები. კურსთა მრავალფეროვანი ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ყოველწლიურ ცნობარებში (უნივერსიტეტებისა და კოლეჯებში ჩარიცხვის სერვისი UCAS; გაერთიანებულ სამეფოთა უნივერსიტეტები; ბრიტანეთის საელჩო).

ყველა დაწესებულება, თითოეული საგნის სწავლებისათვის საჭირო საათების რაოდენობას განსაზღვრავს. სტუდენტები ზოგიერთი საგნის შესწავლისათვის განვითვნილი დროის ძირითად ნაწილს აუდიტორიაში ატარებენ, ზოგიერთი დისციპლინა კი პირიქით, დამოუკიდებელ მუშაობაზე ითხოვს დიდი დროის ხარჯვას.

აკადემიური წელი ტრადიციულად სამ პერიოდადაა დაყოფილი, თუმცა, წელიწადში 2 სემესტრიანი სწავლების მოდულარული სისტემა უფრო საზოგადო ხდება. ბევრ დაწესებულებაში ფუნქციონირებს კრედიტების დაგროვების და გადატანის სქემა (CAT), რომლის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს შექმნას

სწავლების პირადი პროგრამა ხარისხის მოპოვებისათვის. CAT-ის ფარგლებში სტუდენტებს კრედიტები უკვე მიღებული განათლების ან სამუშაო გამოცდილების გამო შეიძლება მიენიჭოთ. CAT-ის ხარისხის მოპოვების საშუალებას იმ სტუდენტებსაც აძლევს, რომელთაც სწავლების გრძელვადიანი პერიოდის არჩევა არ შეუძლიათ. დაწესებულებებს ასევე შეუძლიათ CAT-ის თავსებადი ადგილობრივი სქემის ფორმირება, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს აირჩიოს დაწესებულების მიერ შეთავაზებულ კურსთაგან განსხვავებული კურსები, მაგრამ ისე, რომ კრედიტები ჩაეთვლებათ ხარისხისათვის მოსაპოველებლ კრედიტთა რაოდენობაში.

დაწესებულებებს ასევე შეუძლიათ შესთავაზონ და აარჩევინონ ისეთი კურსები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი საზოგადოებისათვის. შეუძლიათ შესთავაზონ დროის ნაწილობრივი დატვირთვის კურსები (part-time courses), რომლებიც სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ან საღამოს საათებში პროფესიულ წინსვლას უზრუნველყოფს ან დამოკიდებულია პირად ინტერესზე მაგალითად გეოგრაფიის, ისტორიის, ენების ან ლიტერატურის კლასები.

## დიპლომების და ხარისხების მინიჭება

უნივერსიტეტებში შემდეგი ხარისხების მოპოვებაა შესაძლებელი:

დონე 1: უმაღლესი განათლების სერთიფიკატი

დონე 2: საბაზისო ხარისხი, ჩვეულებრივი ბაკალავრის ხარისხი, უმაღლესი ნაციონალური დიპლომი, უმაღლესი განათლების დიპლომი.

დონე 3: ბაკალავრის საპატიო ხარისხები, დამამთავრებელი სერთიფიკატები და დიპლომები

დონე 4: მაგისტრის ხარისხები, ხარისხის შემდგომი სერტიფიკატები და დიპლომები.

დონე 5: დოქტორის ხარისხი

## **ხარისხების პროგრამები უმაღლესი განათლების სერტიფიკატები**

უმაღლესი განათლების სერტიფიკატები (Certificates of Higher Education) გამიზნულია იმათვეის, ვისაც სურვილი აქვთ ისწავლონ დროის ნაწილობრივი დატვირთვით უმაღლესი განათლების დონეზე და არ ექნებათ გრძელვადიანი ვალდებულებები დროის ნაწილობრივი დატვირთვის ხარისხის (part-time degree) მოსაპოვებლად. დონე 1-ზე (ხარისხები (undergraduate) სწავლის პირველი წლის ექვივალენტი) ჩარიცხვა მისაღები მოთხოვნებების გარეშე ხდება. სერტიფიკატის მოსაპოვებლად სტუდენტებმა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საგნებში 120 კრედიტი უნდა მოაგროვონ.

### **უმაღლესი ნაციონალური დიპლომი**

უმაღლესი ნაციონალური დიპლომი (HND) სტუდენტებს უმაღლესი განათლების მიღების ალტერნატიულ გზას სთავაზობს. ამ ტიპის სწავლება, როგორც წესი არ ანიჭებს ბაკალავრის ხარისხს. სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია და ვიწრო პროფესიულ სპეციალიზაციაზე ფოკუსირდება. NHD-ს წარმატებით დასრულება, მომიჯნავე ხარისხის (related degree) მეორე კურსზე გადასვლის საფუძველია. ზოგიერთ საგანში შესაძლებელია ერთ წელიწადში ჩვეულებრივი ხარისხის (Ordinary degree) მოპოვება და შემდგომში, დროის ნაწილობრივი დატვირთვით სწავლით (Part-time study) მისი კონვერტირება საპატიო ხარისხზე (Honor degree).

### **უმაღლესი განათლების დიპლომი**

უმაღლესი განათლების დიპლომი (DipHe) იგივეა რაც HND, მაგრამ აკრედიტირებულ პროფესიულ კვალიფიკაციას წარმოადგენს. იგი უზრუნველყოფს ისეთ პროფესიებზე მიღებას როგორიცაა ექთანი და სოციალური მუშაკი (HERO 2003){54}. უმაღლესი განათლების დიპლომი შეიქმნა 1972 წელს როგორც ორწლიანი კურსი უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ სასწავლებლებსა და კოლეჯებში. DipHe დიპლომი „ინტელექტუალურად არა ნაკლებ აღიარებული“ იყო ვიდრე ხარისხის მიმნიჭებელი კურსის პირველი ორი წლის სწავლება. 1972 წლის დოკუმენტის ეწ. „თეორი ქაღალდი, განათლება“ (White paper, Education) საფუძველზე, სკოლების და კოლეჯების დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მხოლოდ მუშაობისა და დროის

ნაწილობრივი დატვირთვით სწავლის, ან არანაკლებ სამ წლიან კურსზე დასწრების არჩევანის საშუალება ჰქონდათ. ყველა სპეციფიკურ პროფესიულ სფეროში მხოლოდ შეზღუდული დიაპაზონის, ორწლიანი კურსები იყო დაშვებული. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. 1972 წლის თეთრმა ქაღალდმა, უმაღლეს განათლებაში საკმარისი მოქნილობის მისაღწევად, ახალი კურსები, „კრიტიკული ელემენტის“ სახით წარმოადგინა. მიუხედავად ამისა DipHE დიდი პოპულარობით სტუდენტებშიც არ სარგებლობდა. უნივერსიტეტებში სპეციალობები ზერელედ აისახა, პოლიტექნიკურ სასწავლებლებში და კოლეჯებში კი DipHE თავისუფლად მდგომ (“free-standing”) კურსებს არასოდეს გადაუჭარბებია 4000-ოვის (შედარებისათვის 1990 წელს პირველი ხარისხის 250000-ზე მეტი კურსი იყო).

## საბაზისო ხარისხები

2000 წლის თებერვალში შტატის საბჭომ, განკარგულების სახით ქმნიანას ე.წ. საბაზისო ხარისხები (Foundation degrees) შესთავაზა. აღნიშნული ხარისხი მაღალი 2001 წლის სექტემბერში შევიდა. საბაზისო ხარისხი უმაღლესი განათლების დიპლომის მსგავსია. ამ კურსების მიზანი, 1972 წლის დარად, რესურსებში სავარაუდო ჩავარდნების ამოვსება, ტექნიკური დონის კვალიფიკაციის მქონე ადამიანების ნაკლებობის აღმოფხვრა და დამქირავებლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების მქონე კადრით უზრუნველყოფა იყო. აღსანიშნავია რომ, თეორ ქაღალდში ე.წ. „იაფ ჩანაცვლებად“ მოხსენიებული სახელწოდებისგან განსხვავებით, საბაზისო ხარისხების კურსებმა თავად დაიმკვიდრეს საკუთარი პოზიციები და სახელი. თუმცა შეთავაზებულ კურსებს შორის არსებობს განსხვავებები. საბაზისო ხარისხები მხოლოდ პროფესიული მიზნებისათვისაა განსაზღვრული. სამინისტრო, ხარისხებში იმ ძირითადი უნარების და ცოდნის აუცილებლობით ჩართვას მოითხოვს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულებს შეიტანონ „სრული პოტენციალი შრომითი ბაზრის ყველა სექტორში“, ისე, რომ დააკმაყოფილონ დამქირავებლის მოთხოვნები. (Pratt THES 2000). ამგვარად, ეს ხარისხები, დამქირავებლების უშუალო დაკვეთის შედეგადაა წარმოქმნილი. რაც შეეხება ამ ხარისხების ინსტიტუციურ უზრუნველყოფას იგი განვითარდა ხარისხის მიმნიჭებული უმაღლესი განათლების დაწესებულებების,

შემდგომი განათლების კოლეჯების პარტნიორობით და ინგლისის უმაღლესი განათლების დამფინანსებელი საბჭოს, უელსის ნაციონალური ანსამბლების და ჩრდილოეთ ირლანდიის განათლებისა და სწავლების დეპარტამენტების მხარდაჭერით. ხარისხები საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახმარებლად შეიქმნა, რათა გააღრმავონ ურთიერთობა უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან და დაგეგმონ სწავლება ცხოვრების მანზილზე (LLL-Lifelong learning). მათ ფარგლებში ხელმისაწვდომია გამოყენებად საგანთა სფერო, ისეთი როგორიცაა ინტერნეტ გათვლები, სწავლების მხადაჭერა, სტუმართმოყვარეობა, თავისუფალი დრო და ტურიზმი. საბაზისო ხარისხების მოპოვება შესაძლებელია ორწლიან დროის სრული დარვირთვით სწავლის ან დროის ნაწილობრივი დატვირთვით მისი ექვივალენტის გავლის შემდეგ. საბაზისო ხარისხები პირველი ხარისხის შესაძლო ალტერნატივად განიხილება.

### პირველი ხარისხები

პირველი ხარისხები (First degrees) მოიცავს ტრადიციულ პირველ ხარისხებს, პგალიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის პირველი ხარისხს, რომელიც რეგისტრირებულია შოტლანდიის მთავარ სასწავლო საბჭოში, საპატიო პირველ ხარისხებს და დიპლომთან კონკურენტუნარიან პირველ ხარისხებს. ტრადიციულ პირველ ხარისხთაგან ყველაზე გავრცელებულია ხელოვნების ბაკალავრისა (Bachelor of Art) და მეცნიერების ბაკალავრის (Bachelor of Science) ხარისხები.

პირველი ხარისხები ძირითადად სამწლიანი პროგრამებია. გამონაკლისს წარმოადგენს: ენის კურსები (საზღვარგარეთ ერთწლიანი ხანგრძლივობით), გაძლიერებული ინჟინერიის, მედიცინის, არქიტექტურის, დამწყებ მასწავლებლელთა დახელოვნების საპატიო (Honours B.Ed), და სამრეწველო ტრეინინგებით შედგენილი (ე.წ. “sandwich courses”) კურსები. ამავე დროს კიიღის და შოტლანდიის უნივერსიტეტების პირველი ხარისხის პროგრამები უმთავრესად ოთხწლიანია. ხარისხამდელი პროგრამები შეიძლება სხვადასხვა დონეზე დასრულდეს. უმდაბლესი დონე - ბაკალავრი „ჩაეთვალა“ (Bachelor pass degree) და უმაღლესი ბაკალავრის პირველი კლასის საპატიო ხარისხია (Bachelor first-class honours degree). საპატიო ბაკალავრის ხარისხი შესაძლებელია სამ კატეგორიად დაიყოს: საპატიო

პირველი, მეორე და მესამე კლასის ხარისხები, თითოეულში გამოყოფილია i და ii დონეები. განსხვავება საპატიო ხარისხებსა და ჩვეულებრივ ხარისხებს შორის დამოკიდებულია სწავლების დატვირთვაზე: ჩვეულებრივი ხარისხის (Ordinary degree) მოსაპოვებლად ყველაზე ნაკლები რაოდენობის კრედიტ ქულაა სავალდებულო.

ზოგიერთ დაწესებულებაში გაძლიერებული ორწლიანი ხარისხები არსებობს, სადაც სწავლება არდადეგების პერიოდშიც მიმდინარეობს. ამჟამად თითქმის არ არსებობს კურსი, რომლის გავლის შემდეგ, ხარისხი მხოლოდ საბოლოო გამოცდების შედეგებით მიენიჭება.

პირველი ხარისხი მეცნიერების (B.Sc) ან ხელოვნების ბაკალავრია (BA). ხანდახან ხდება სპეციალური კვალიფიკაციების მინიჭება ბაკალავრის ხარისხზე ინჟინერიაში (B.Eng) და განათლებაში B.Ed. ხარისხამდელი პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლა შესაძლებელია გაგრძელდეს სამი განსხვავებული კვალიფიკაციის პროგრამით: ხარისხის შემდგომი დიპლომები და სერტიფიკატები, მაგისტრის ხარისხები და დოქტორის ხარისხები.

## **ხარისხის შემდგომი პროგრამები**

ხარისხის შემდგომი (Post graduate) კვალიფიკაციის მოპოვება შესაძლებელა სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების, ინდივიდუალური კვლევის ან მათი კომბინაციის შედეგად. მისი მინიჭება მაგისტრის და დოქტორის ხარისხის დონეებზე ხდება. უნივერსიტეტებმა შესაძლოა საპატიო უმაღლესი ხარისხი (ხშირად დოქტორის ხარისხი) აკადემიურ ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარჩინებულ პირებს ან იმ ადამიანებს მიანიჭონ, ვისაც ღირშესანიშნავი შეწირულობა გაუკეთებია უნივერსიტეტისა ან ადგილობრივი საზოგადოებისათვის.

## **მაგისტრის ხარისხები**

ხარისხის შემდგომი კვალიფიკაციები მოიცავს დოქტორის, მაგისტრის, უმაღლესი ბაკალავრის საპატიო ხარისხებს (Higher Bachelor degrees with honours) და ხარისხის შემდგომ სერტიფიკატებს განათლებაში (PGCE). ხარისხის შემდგომი სერტიფიკატებსა ან ხარისხის შემდგომ დიპლომის პროგრამებზე, ცოდნის

გაფართოების მიზნით, ძირითადად, ერთ დისციპლინაში ხარისხის მფლობელი სტუდენტები დაიშვებიან. სწავლების ხანგრძლივობა ჩვეულებრივ ერთი წელია.

მაგისტრის ხარისხის მინიჭება, ბაკალავრის ხარისხის მომდევნო ერთი ან ორი წლის სწავლების შემდეგ ხდება. მაგისტრის ხარისხი, როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში დროის სრული დატვირთვით (full-time) სწავლას, ან უფრო ხშირად 2 წლის დროის ნაწილობრივი დატვირთვის (part-time) ექვივალენტს მოითხოვს. გამონაკლისებია კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტები, სადაც ხელოვნების მაგისტრის ხარისხი **სიმწიფის** და არა დამატებითი აკადემიური მიღწევის ინდიკატორია. ამ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს (სპეციალობის მიუხედავად BA-ს მფლობელები) გამოცდების გარეშე, თანხის გადახდის შემდეგ MA-ზე შესვლის უფლება აქვთ.

ძირითადი ხარისხები მაგისტრატურაში, რომლებიც მიღწეულია სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების, ინდივიდუალური კვლევის ან მათი კომბინაციის შედეგად, არის ხელოვნების მაგისტრი MA, მეცნიერების მაგისტრი MSc, ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი MBA, განათლების მაგისტრი MEd, სოციალური მუშაკის მაგისტრი MSW, მუსიკალურ ხელოვნებათა მაგისტრი AMusM, სამედიცინო მეცნიერებათა მაგისტრი MMedSci და ფილოსოფიის მაგისტრი MPhil.

## დოქტორის ხარისხი

დოქტორის ხარისხი არის ხარისხის შემდგომი წოდება, რომელიც მიენიჭება თეზისებისა ან ესსებისათვის. დოქტორის თეზისი დაახლოებით 60000-80000 სიტყვისაგან შემდგარი ნაშრომია, რომელშიც დიდი მნიშვნელობა წარმოდგენილ ინფორმაციას ენიჭება. ბევრი სტუდენტი ამ ხარისხისთვის დროის ნაწილობრივი დატვირთვით სწავლობს. მინიჭებადი ხარისხი, როგორც წესი არის PhD, ზოგიერთ უნივერსიტეტში „Phil“ კვლევის ან სწავლების სფეროს მიუხედავად ენიჭებათ. გამონაკლისი ზოგიერთი სპეციალიზირებული, მაგალითად მუსიკალური ხელოვნების დოქტორის AMusD ხარისხია. სტუდენტებს, დოქტორის წოდების მოპოვებისათვის, 3 წლის განმავლობაში დროის სრული დატვირთვით პვლევის წარმოებისათვის საჭირო პონორარის მოთხოვნის უფლება აქვთ.

„სენიორ დოქტორებს“ ასევე შეიძლება მიენიჭოთ სტიპენდია გამოქვეყნებული ნაშრომის აღიარების შემდეგ. სენიორ დოქტორის წოდება ჩვეულებრივ, PhD წოდებაზე მეტად გამოხატავს მფლობელის ინტერესის სფეროს. მაგალითად, ლიტერატურის DLitt და მეცნიერების დოქტორის DSc წოდებები.

### განათლების ალტერნატიული ტიპები

გაერთიანებულ სამეცნიერო საუნივერსიტეტო სექტორის გარდა, არსებობს სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში თავად გადადიან უმაღლესი განათლების სექტორში და სტუდენტებს უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას აძლევენ.

#### შემდგომი განათლება

საშუალო განათლების შემდეგ უმაღლეს განათლებამდე მისასვლელი რამოდენიმე ალტერნატიული გზა არსებობს. აღნიშნული რგოლი, როგორც წესი შემდგომ განათლებად (Further Education) მოიხსენიება. ინგლისა და უელსში შემდგომი განათლების დაწესებულებებს მიეკუთვნება შემდგომი განათლების კოლეჯები, ზრდასრულთა განათლების ცენტრები, მეექვსე-კლასის კოლეჯები და დია კოლეჯები და ზრდასრულთა განათლება (Open college and adult education).

#### შემდგომი განათლების კოლეჯები

დაწესებულებათა ტიპი, რომელიც აწარმოებს შემდგომ განათლებას ინგლისა და უელსში მოიცავს ე.წ „შემდგომი განათლების“ კოლეჯებს (Further education Colleges), მეექვსე-კლასის კოლეჯებს (Six-form Colleges)<sup>13</sup> და ზრდასრულთა განათლების ცენტრებს (Adult education Centres). ჩრდილოეთ ირლანდიაში კი, მხოლოდ „შემდგომი განათლების“ კოლეჯებია. შემდგომ განათლებაში არ არსებობს რაიმე დადგენილი სწავლების წესი. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ

<sup>13</sup> sixth-form college – მოსამზადებელი კოლეჯი - საშუალო განათლების, კერძო ან სახელმწიფო დაწესებულება 16 წელს მიღწეული ახალგაზრდებისათვის, რომელიც მოსწავლეებს მეექვსე კლასის გაფართოებული პროგრამით ამზადებს.

sixth form - მეექვსე კლასი- ბოლო ორი ან სამი დამათავრებელი კლასი, საშუალო (public school) ან კლასიკურ(გრამატიკულ) სკოლაში (grammar school).

ზოგადი და დარგობრივი კურსები (vocational courses) ან მათი კომბინაცია. თუმცა, ტრადიციულად, შემდგომი განათლების კურსები დარგობრივ განათლების ტრეინინგებს ატარებენ, რადგან მექანიკურის კოლეჯები, როგორც წესი, მხოლოდ ზოგადი განათლების საგნებს სთავაზობენ სტუდენტებს.

უმაღლესი განათლების კოლეჯები და დაწესებულებები, ადრეული მასწავლებელთა მომზადების კოლეჯების (Teacher-training colleges) და სხვა უწყებათა შერწყმის თითქმის სრულყოფილი შედეგია. ამ დაწესებულებების ტენდენცია დარგობრივი მიმართულების პროგრამების შექმნაა. მრავალი მათგანის ძირითადი საქმიანობა მასწავლებელთა მომზადებაა, თუმცა ამის მიუხედავად, სფეროთა ფართო არჩევანს სთავაზობენ სტუდენტებს, მათ შორის ხელოვნებას, დრამას და ტექნოლოგიას. კოლეჯებს შეუძლიათ შესთავაზონ კურსები, რომელთა საშუალებითაც სტუდენტები მოიპოვებენ ხარისხებს, ხარისხის შემდგომ (postgraduate) კვალიფიკაციებს, პროფესიულ და დარგობრივ კვალიფიკაციებს, უმაღლეს განათლების დიპლომებს. მინიჭებადი ხარისხები თავის მხრივ შეთანხმებული უნდა იყოს უნივერსიტეტებთან ან განათლების მმართველ ორგანოებთან.

შემდგომი განათლების კოლეჯი უზრუნველყოფს დროის სრული (full-time) ან ნაწილობრივი (part-time) დატვირთვით სწავლებას სტუდენტებისათვის, რომელთა ასაკი აუცილებლად აღემატება სკოლის დამთავრების ასაკს (16 წელი). შემდგომი განათლების კოლეჯები ტრადიციულად დარგობრივი ტიპის კურსებს აწარმოებენ, მაგრამ ამჟამად მათი უმეტესობა აკადემიურ კურსებსაც სთავაზობს სტუდენტებს. შემდგომი განათლების კოლეჯთა უმეტესობა სპეციალიზირებულია ინჟინერიაში, სოფლის მეურნეობაში, სახვით ხელოვნებასა ან მასწავლებელთა მომზადებაში. ასევე არსებობს ზოგიერთი კოლეჯი, რომელიც ბიზნესის, არქიტექტურასა და სხვა სფეროების სწავლებაზე არიან ფოკუსირებული. ჩრდილოეთ ირლანდიაში არსებობს ნაწილობრივი დროით დატვირთვის კურსები ზრდასრულთაოვის. ყველა კურსში, ნაციონალური გამოცდებისა და მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განსაზღვრულია ე.წ. ნაციონალური შეთანხმებით. სწავლების მიმართულება და დატვირთვის დრო თავად კურსის ტიპება დამოკიდებული.

შემდგომი განათლების კოლეჯებს საკუთარი ხარისხის მინიჭების უფლების მოსაპოვებლად შეუძლიათ მმართველ დაწესებულებებს ან პირებს მიმართონ.

ამასთან აუცილებლობით უნდა წარმოადგინონ უნივერსიტეტის მიერ დამოწმებული, მიმდინარე კურსების კომპეტენტური ანგარიში. კოლეჯებს ასევე შეუძლიათ უნივერსიტეტის სტატუსი მოითხოვონ. სტატუსის მოსაპოვებლად ისინი გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აქმაყოფილებდნენ, მათ შორის, შეთავაზებული პირველი და უმაღლესი ხარისხების შესაბამის სტატუსს დასაქმების ბაზარზე. შემდგომი და უმაღლესი განათლების 1992 წლის აქტი (The Further and Higher Education Act 1992) შემდგომი განათლების დაწესებულებებს უფლებას აძლევს გადავიდეს უმაღლესი განათლების სექტორში, თუკი სტუდენტთა მიერ არჩეულ კურსთა საერთო რაოდენობის 55%-ზე მეტი უმაღლესი განათლების კურსებია.

### **მეექსე-კლასის კოლეჯები**

მეექსე-კლასის კოლეჯები (Sixth-form colleges), მხოლოდ ინგლისისა და უელსისში უქვემდებარება სკოლის წესებს. სრული დროით დატვირთვის აკადემიურ კურსებს კოლეჯები იმ სტუდენტებს სთავაზობენ, რომლებმაც გადააჭარბეს სკოლის დამთავრების ასაკს. მას შემდეგ, რაც შემდგომი და უმაღლესი განათლების 1992 წლის აქტმა მეექსე-კლასის კოლეჯებიც მიაკუთვნა შემდგომი განათლების სექტორს, მათ შემდგომი განათლების კურსების შეთავაზების უფლებაც აქვთ, დროის როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი დატვირთვით. შემდგომი და ზრდასრულთა განათლების დაწესებულებებში, ოფიციალურად არ არსებობს მისაღები წესები, თუმცა ზოგიერთ კურსზე მოსახვედრად სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაა საჭირო. ბევრმა კოლეჯმა შემოიღო სპეციალური მისაღები კურსები იმ ადამიანებისათვის, ვისაც არ გააჩნია აკადემიური კვალიფიკაცია.

### **ღია კოლეჯები და ზრდასრულთა განათლება**

ღია კოლეჯები (Open Colleges), რომლებმაც კურსების შეთავაზება 1987 წლიდან დაიწყებს, დამოუკიდებელი დაწესებულებებია და თავდაპირველად სახელმწიფოს მიერ ფინანსდებოდნენ. მათი მიზანი დარგობრივ საგნებში, განსხვავებულ დონეზე ღია სწავლების კურსების წარმოებაა. კურსის მიზანი აუცილებლობით არ გულისხმობს ნაციონალური კვალიფიკაციის აღიარებას, მისი

ძირითადი მიზანი ადამიანების ცოდნის და უნარების განახლება-გადრმავებაა. დია ტექნიკური პროგრამები იგეგმება კადრების სერვისის კომისიის (MSC) მიერ. მათი მიზანი, ადვილად აღქმადი მეთოდების საშუალებით, უშუალოდ ფირმის შიგნით ან ფირმათა, კოლეჯთა და სხვა სააგენტოთა ურთიერთანამშრომლობის გზით, ტრეინინგების სრულყოფა-განვითარებაა. 1987 წელს დაარსებული ხელოვნების კოლეჯი, ადამიანებს სახლიდან გაუსვლელად, ხელოვნების შესწავლის საშუალებას აძლევს. ის თითქმის ისევე ფუნქციონირებს როგორც დია უნივერსიტეტი, მაგრამ სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება (შეწირულობებსა და დონორ ორგანიზაციებზეა დამოკიდებული).

ზრდასრულთა განათლება (Adult Education) ხშირად განსაზღვრულია როგორც განათლება, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტების და კოლეჯების ზრდასრულ სტუდენტთა უმაღლეს განათლებას. ამ გაგებით, დია უნივერსიტეტების (Open University) მუშაობა აღირიცხება როგორც ზრდასრულთა განათლება, ისევე როგორც უნივერსიტეტების და კოლეჯების ნაწილობრივი დროის დატვირთვის კურსების უმეტესობა. ასევე არსებობს განათლება, რომელიც უშუალოდ ზრდასრულებზე ფოკუსირდება.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები ადგილობრივი განათლების მმართველობას (LEA) ექვემდებარება. 1988 წლის განათლების რეფორმის აქტმა ადგილობრივი მმართველობის ცენტრებს მიანიჭა უფლება თავად შეედგინათ ამ დაწესებულებათა ადგილობრივი მენეჯმენტის სქემები, რომელთა შედეგები, თავის მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურის მენეჯმენტის მიმართულებებს დაუქმდებარება. ზრდასრულთა განათლების ცენტრებში, LEA-ას ყოველდღიურ მენეჯმენტი უფროსებსა ან დირექტორებს ევალებათ. LEA-ა უშედგენდ ცდილობს ზრდასრულთა განათლების ცენტრებში, ბიუჯეტის და კადრების მართვის საკითხებში სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვას. ზრდასრულთა განათლების ცენტრები, ისევე როგორც შემდგომი განათლების დაწესებულებების სექტორი (FEFC), შეიძლება ორგანიზებული იყოს სახელმწიფოებრივი ხაზით. ცენტრები, როგორც წესი ერთი ადმინისტრაციული ორგანოსაგან და ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილზე განლაგებული სასწავლო ობიექტისაგან შედგება. ზოგიერთი ცენტრი სკოლის ტერიტორიაზე, საღამოს საათებში ფუნქციონირებს. ამგვარ

ცენტრული პერსონალის მცირე რაოდენობა დროის სრული დატვირთვით მუშაობს და დროის ნაწილობრივი დატვირთვით მომუშავე მრავალრიცხოვან თანამშრომელთა საქმიანობას უწევს კოორდინირებას. მიუხედავად ყოველივე ამისა, ზრდასრულთა განათლების ორგანიზება დიდადაა დამოკიდებული LEA-ზე.

### **უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხვის პირობები**

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების სისტემა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე არჩევადია. შედარებისათვის 2000 წელს, კანდიდატთა დაახლოებით 25%-ს უარი ეთქვათ მიღებაზე. არსებობს ცენტრალური სააგენტო, რომელიც კოორდინირებს თითქმის ყველა, დროის სრული დატვირთვის (full-time) საუნივერსიტეტო პროგრამებზე მიღების პროცედურებს (უნივერსიტეტთა და კოლეჯთა მიღების სერვისი, UCAS). UCAS არსებობის მიუხედავად, უნივერსიტეტები თავად არჩევენ სტუდენტებს. უნივერსიტეტები არ არიან ვალდებული ახსნან მიღების ან უარის თქმის მიზეზები.

### **ჩარიცხვისათვის საჭირო კვალიფიკაციები**

ხარისხის მოსაპოვებელ პურსზე ჩასარიცხად საჭირო ტრადიციული კვალიფიკაციებია: ორი ან სამი მაღალი დონის ზოგადი განათლების სერტიფიკატი (General Certificate of Education Advanced level GCE A-Level), ან საშუალო განათლების სერტიფიკატის (GCSE) მინიმალური რაოდენობა არანაკლებ C შეფასებით. ამგვარი მოთხოვნები, მიღების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა, განსაკუთრებით დროის სრული დატვირთვის ხარისხამდელ სტუდენტთა შერჩევისას. სტუდენტებს განსხვავებულ კვალიფიკაციათა მიმნიჭებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც იღებენ. მათ მიერ შეთავაზებილია ისეთი კვალიფიკაციები, როგორიცაა მაღალი დონის საგანმანათლებლო დარგობრივი სერტიფიკატი (VCE A-level), BTRC ნაციონალურ სერტიფიკატი, ინტერნაციონალურ ბაკალავრიატი და სხვა. რეალურად, ვინაიდან მიღებაზე დიდი კონკურსია, დაწესებულებათა

უმეტესობას შეთავაზებული ხარისხების დონეები მინიმუმამდე დაყავთ. მისაღები მოთხოვნები გამოიხატება საგნებში ჩათვლათა რაოდენობის ან ნიშანთა საშუალებითაც. მაგალითისათვის უნივერსიტეტის სამედიცინო დეპარტამენტი, როგორც წესი, სპეციალურ საგანებში სამ A დონის A ჩათვლას (A level passes A grade) ან ორ A დონის A და ერთ B დონეზე ჩაბარებულ ჩათვლას ითხოვს.

უმაღლესი განათლების დონეზე გამსვლელ ქულათა რაოდენობის აღსარიცხად „UCAS ახალმა ტარიფმა“ (UCAS Tariff) შეიმუშავა ქულათა სისტემა, რომელიც 2002 წლიდან გამოიყენება. იგი მორგებულია კვალიფიკაციათა დიდ რაოდენობაზე და შეესაბამება შოტლანდიის კვალიფიკაციებსაც.

ბევრი დაწესებულება განაცხადებს იმ ზრდასრული კანდიდატებისაგანაც იღებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება, მაგრამ ფორმალური კვალიფიკაცია არ გააჩნიათ. სულ უფრო მეტი უნივერსიტეტი ატარებს კურსებს მოდულარული ან დროის ნაწილობრივი დატვირთვით, ანიჭებს კრედიტებს უკვე მიღებული განათლების, სამუშაო გამოცდილების ან სხვა გამოცდილების გათვალისწინებით (Accreditation of Prior Learning APL ან Accreditation of Prior Experiential Learning APEL).

უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ჩარიცხვა მისაღები კურსების (Access courses) საშუალებითაცაა შესაძლებელი. ამგვარი კურსები ფართოდ გამოიყენება შემდგომი განათლების დაწესებულებებში. ისინი სტუდენტებს აკადემიური კვალიფიკაციის გარეშე, უმაღლესი განათლების დონეზე მოხვედრის საშუალებას აძლევენ. კურსები ძირითადად ზრდასრული სტუდენტებისათვისაა განკუთვნილი. ამგვარ კურსებს, გარკვეულ შემთხვევებში, გარანტირებულად შეუძლიათ უზრუნველყონ სპეციალურ ხარისხამდელ კურსზე მოხვედრა. სპეციალური მოთხოვნებია დაწესებული დამწყებ მასწავლებელთა ტრეინინგებზე მისაღებადაც.

სტუდენტები უმაღლესი განათლების კურსებზე ლექციებს ინგლისურად ისმენენ, შესრულებულ შრომებსა და გამოცდებს გამართულ ინგლისურ ენაზე აბარებენ. უელსის უნივერსიტეტები და რამდენიმე სხვა დაწესებულება, ზოგიერთ კურსს საშუალო სირთულის უელსის ენაზე ატარებენ. სტუდენტებიც დაგალებებსა და გამოცდებს შესაბამისად, იმავე ენაზე აბარებენ.

თუკი მისაღებ კანდიდატთა რიცხვი, აჭარბებს შესავსებ ადგილთა რაოდენობას, რაც ხშირად ხდება მრავალ დისციპლინაში, დაწესებულებებს დამატებითი მისაღები კრიტერიუმების შემოტანა შეუძლიათ:

- მინიმალური სტანდარტების გარდა გამოცდაზე დამატებითი შედეგები;
- მასწავლებელთა რეკომენდაციები;
- პირადი არგუმენტები და მოტივაცია;
- ინტერვიუ (მხოლოდ კემბრიჯის უნივერსიტეტში).

უცხოელი სტუდენტებისათვის სიტუაცია სხვაგვარია, ძალიან ხშირად უცხოური სკოლის დამამთავრებელი სერთიფიკატი არ შეესაბამება ბრიტანულ დაწესებულებათა მისაღებ მოთხოვნებს. ნაციონალური აკადემიური აღიარების საინფორმაციო ცენტრი (NARIC) ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება უცხოელი სტუდენტის კვალიფიკაცია ბრიტანეთის მისაღებ მოთხოვნებს. დამატებით, სტუდენტებს ურჩევენ მოისმიონ ინგლისური ენის ლექციები და წარმოადგინონ შრომა, ჩააბარონ გამოცდები ინგლისურ ენაზე. უელსის უნივერსიტეტები და ზოგიერთი სხვა დაწესებულება უელსში სტუდენტებს საშუალო სირთულის უელსური ენის კურსებს სთავაზობენ, რომლის გავლის შემდეგაც სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ შესრულებული შრომა და ჩააბარონ გამოცდა.

### **ჩარიცხვის პროცედურები და მოთხოვნები**

მათ ვისაც უმაღლესი განათლების მიღების სურვილი აქვთ, ერთი წლით ადრე (ოქტომბერში) უნდა შეავსონ ე.წ. „მისაღები ფორმა“. მსურველებს ყოველგვარი პრიორიტეტის გარეშე, შეუძლიათ მიუთითონ მაქსიმუმ რვა პოზიცია (დაწესებულებათა და პროგრამათა ჩამონათვალი). UCAS შეგროვებულ ფორმებს შესაბამის სასწავლო დაწესებულებებს უგზავნის. დაწესებულება განაცხადებს, საკუთარი მოსაზრებით აძლევს შეფასებას. აპრილში, UCAS-ი აბიტურიენტ-სტუდენტებს დაწესებულებების გადაწყვეტილებას ატყობინებს. ამ დროისათვის სტუდენტებს ჯერ საბოლოო გამოცდები ჩაბარებული არა აქვთ. აქედან გამომდინარე დაწესებულების მიერ სტუდენტის მიღება პირობითია, რაც ნიშნავს, რომ წინადაღება ძალაში შევა, თუ კანდიდატი გამოცდებზე მოპოვებული შედეგებით დააკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს. მას შემდეგ რაც

სტუდენტები დაწესებულების მისაღებ პირობებს გაეცნობიან, მოქმედებენ ოფიციალურად და შეთავაზებულ ადგილთაგან მაქსიმუმ ორი პროგრამას ირჩევენ. როგორც წესი, პირველი პროგრამის შერჩევა გემოვნების მიხედვით ხდება. მეორე პროგრამის შერჩევას, პირველთან შედარებით დაბალი კონკურსი განაპირობებს. აღნიშნული პროცედურის გამო, UCAS-ს საშუალებით სტუდენტი სიაში სხვა დაწესებულებას ვერ შეიტანს. UCAS დაწესებულებებს სტუდენტების არჩევანსა და გამოცდების შედეგებს ატყობინებს. თუკი აბიტურიენტი დააკმაყოფილებს წაყენებულ მისაღებ მოთხოვნებს, უნივერსიტეტი ვალდებულია დაამოწმოს სასწავლო ადგილი დაკავება. თუკი კანდიდატი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მას ჩარიცხვის შანსი, თავისუფალი ადგილის დარჩენის შემთხვევაში აქვს. მათ ვინც ვერ დააკმაყოფილეს მითითებულ ორ პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები, მაგრამ დააკმაყოფილეს უმაღლესი განათლების მისაღები კრიტერიუმების მინიმუმი, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თავისუფალ დარჩენილ ადგილთა გადანაწილების პროცედურაში ე.წ. გარკვევის სქემა (Clearing Scheme), რომელიც სექტემბერში ტარდება. გარკვევის პროცედურაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ კანდიდატებსაც, რომლებმაც თავიანთი ფორმები მიღების ბოლო ეტაპზე გადააგზავნეს. ვაკანტური ადგილები UCAS-ს მიერ ქვეყნდება და ამის შემდეგ სტუდენტები და დაწესებულებები პირდაპირ შეიძლება დაუკავშირდნენ ერთმანეთს. სასწავლო ადგილის მოსაპოვებლად, თითქმის ყველა კანდიდატმა UCAS-ს პროცედურაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ვინაიდან დაწესებულებები არ არიან ვალდებული განმარტონ უარის თქმის მიზეზი ან მიღების პირობები ზოგიერთი სტუდენტისათვის, პრაქტიკულად უშედეგოა ჩარიცხვის შედეგის გაპროტესტება.

რაც შეეხბა ხარისხის შემდგომ (Postgraduate) სწავლებაზე ჩარიცხვის პროცედურებს, აქ მკაცრად განსაზღვრული წესი ან მოთხოვნები არ არსებობს. თითოეულ უნივერსიტეტს ამასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გააჩნია. აღნიშნული სწავლების კურსის გავლისათვის უპრიანია თავად სასწავლო დაწესებულებასთან კონტაქტის დამყარება.

## **Շոტլանդիուս, Շելքսուս და ჩრდილოეთ ირლანდიուս շմაღლეսი განათლების დაწესებულებებში ჩასარცხვის პირობები**

ჩრდილოეთ ირლანდიაში, Շელքერის Շნივერსიტეტის „մაგი“ კოლეჯში (ახლანდელი ულსტერის Շնივერსიტეტი) მისაღები პირობები პირველად 1973 წელს, ზრდასრულ სტუდენტთა საბაზისო სწავლების სერტიფიკატის (Certificate in Foundation Studies for Mature Students) სახით შემოიღეს. დედოფლის Շնივერსიტეტმა ბესფასტში, მისაღები მოთხოვნები, შემდგომი განათლების კოლეჯში, 1989 წელს შემოიღო. 1992 წლის ახალმა წესებმა, კურსის ახალი მოთხოვნები და საბაზისო სწავლების სერტიფიკატის მინიჭების პირობები დაადგინა.

1989 წელს Շელքսის շმაღლესი განათლების დაწესებულებებმა, Շელքის საქმეთა სამინისტროსთან (Welsh Office) ერთად Շელքის მისაღები განყოფილება (WAU) შექმნეს. მისაღებ პროგრამათა ხარისხის საკონტროლებლად შეიქმნა უფლებამოსილი სააგენტოები (AVA). განსხვავებული ტიპის ბევრმა სასწავლო დაწესებულებაში (როგორიცაა შემდგმი განათლების კოლეჯები, LEA, საქველმოქმედო დაწესებულებები, ზოგიერთი პროფესიული გაერთიანება, მეწარმეები და ა.შ.) ერთობლივად, როგორც მიღების და კრედიტების კონსორციუმის შემადგენელმა ნაწილმა იმუშავა. შედეგად, 1996-97 წლებში ყველა მისაღები პროგრამა მოდულარულ და საკრედიტო სისტემაზე გადავიდა.

Շოტლანდიის მისაღები პროგრამები გაერთიანებილი სამეფოს წესებისგან დამოუკიდებლად განვითარდა. არსებობს მიღების ორი ძირითადი ტიპი:

1. პროგრამები, რომლებსაც სთავაზობენ უმაღლესი განათლების დაწესებულებები და
2. პროგრამები, რომლებიც მიმდინარეობენ საგანმანათლებლო მმართველი ორგანოების ხელშეწყობით.

პირველი ტიპის პროგრამები, UAICE-ს ხარისხის მართვის მიმართულების გათვალისწინებით, შიდა ხარისხის შეფასებას ექვემდებარება. მისაღები კურსების ნაწილი „სპეციალური მისაღები საზაფხულო სკოლების“ სახითაა წარმოდგენილი. სკოლები სოციალურად დაბალ ფენასთან ურთიერთობენ. მეორე ტიპის პროგრამები 1988 წელს, Շოტლანდიის გაფართოებული მიღების პროგრამის (SWAP) სახელწოდებით, Շოტლანდიის განათლების ოფისის და ინდუსტრიული

დეპარტამენტის ხელშეწყობით დაარსდა. ეს პროგრამები დამყარებულია SCOTVRC ნაციონალური სერტიფიკატის მოდულზე და SCOTVEC ხარისხის უზრუნველმყოფ გამოცდებს ექვემდებარება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გაერთიანებული სამეცნი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები სასწავლო პროგრამათა და ხარისხთა ფართო სპეციალისტთა სასიათდებიან. განათლების მიღების საშუალება, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოულ სტუდენტებსაც ეძლევათ, თუმცა სწავლება ფასიანია და საკმარისად დიდი თანხების გადახდასთანაა დაკავშირებული.

## დანართი N2

### **უმაღლესი განათლება ამერიკის შეერთებული შტატებში**

**საგანმანათლებლო დაწესებულებები და განათლების დამადასტურებელი  
დოკუმენტები**

#### **უმაღლესი განათლების დაწესებულებების ტიპები**

- კვლევითი უნივერსიტეტები
- უნივერსიტეტები, რომლებიც ამზადებენ დოქტორანტებს
- (ყოველმხრივი) უნივერსიტეტები და კოლეჯები, რომლებიც ამზადებენ მაგისტრებს
- პუმანიტარულ მეცნიერებათა კოლეჯები, რომლებიც ამზადებენ ბაკალავრებს
- ხელოვნების კოლეჯების ასოციაცია
- პროფესიული სკოლები და სხვა სპეციალიზირებული დაწესებულებები
- საშუალოსშემდგომი დარგობრივი და ტექნიკური სკოლები

## **სკოლის დასრულების და უმაღლესი განათლების დამადასტურებელი ხარისხი**

- საშუალო სკოლის დიპლომი
- ასოცირებული (associate) ხარისხი
- ბაკალავრის ხარისხი
- დიპლომი
- სერტიფიკატი
- პირველი პროფესიული ხარისხი
- ბაკალავრიატის შემდგომი დიპლომი (Post-Bachelor's Diploma)
- მაგისტრის ხარისხი
- მაღალ დონეზე სწავლის სერტიფიკატი (Certificate of advanced Study)
- განათლების სპეციალისტი
- დოქტორის ხარისხი

### **უმაღლესი განათლება**

უმაღლესი განათლება აშშ-ში ასევე საშუალოსშემდგომად იწოდება. იგი სხვა ნაციონალური სისტემების მსგავსად არ არის დაყოფილი განსხვავებულ სექტორებად (საუნივერსიტეტო, არასაუნივერსიტეტო და ა.შ.). უმაღლესი განათლების სექტორი - ავტონომიური, კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებისგან შედგება. დღეისათვის 2819 დაწესებულება სტუდენტებს ბაკალავრისა და უფრო მაღალი დონის ხარისხებს სთავაზობს; დაწესებულებები შემდეგ კატეგორიებად არიან კლასიფიცირებულნი:

1. **კვლევითი უნივერსიტეტები (I და II)<sup>14</sup> (Research universities):** ამ კატეგორიის დაწესებულებებში მოქმედებს დისციპლინათა დიდი რაოდენობის დოქტორანტურის პროგრამები, სდაც ხორციელდება ყოველმხრივი თეორიული და გამოყენებითი კვლევები.

<sup>14</sup> დაწესებულებათა კლასიფიკაცია I და II მიმართულებად - კვლევითი უნივერსიტეტებისათვის დამოკიდებულია კვლევის მოცულობის დაფინანსებაზე, ფედერალური მმართველობის დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე. დანარჩენი დაწესებულებებისათვის, დამოკიდებულია დაწესებულებების ზომაზე და შეთავაზებული პროგრამების ტიპსა და რაოდენობაზე. არცერთი ამგვარი კლასიფიკაცია არ გამოიყენება როგორც ხარისხის ან სტატუსის შეფასების ინდიკატორი.

2. დოქტორანტურის უზრუნველმყოფი დაწესებულებები (I და II) (Doctorate-granting universities): დაწესებულებები, რომლებსაც დისციპლინათა ფართო არჩევანის ფარგლებში ყველა სფეროს სწავლება შეუძლიათ, თუმცა კვლევით უნივერსიტეტებთან შედარებით დოქტორანტურის შეზღუდული რაოდენობის პროგრამები აქვთ.
3. მაგისტრატურის (ყველა სფეროს მომცველი) უნივერსიტეტები და კოლეჯები (I და II) (Master's (Comprehensive) universities and colleges): დაწესებულებები, რომლებიც სთავაზობენ აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის დონეზე, პირველ პროფესიულ ხარისხების (first-professional degrees) დონეზე, მაგრამ სტუდენტებს არ სთავაზობენ კვლევით დოქტორანტურას.
4. ბაკალავრიატის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) კოლეჯები (I და II) (Baccalaureate (Liberal Art) colleges): დაწესებულებები, რომელთაც აქვთ აკადემიური და პროფესიული პროგრამები არა უმეტეს ბაკალავრის ხარისხის დონეზე.
5. ხელოვნების კოლეჯთა ასოციაცია (associate of arts colleges): დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ აკადემიურ და პროფესიულ ან დარგობრივ (პროფესიასთან დაკავშირებულ) სწავლებას ასოცირებული ხარისხის დონეზე, მათ შორის არიან საზოგადოებრივი სახელმწიფო კოლეჯები და კერძო კოლეჯები.
6. პროფესიული სკოლები და სხვა სპეციალიზირებული დაწესებულებები (professional schools and other specialized institutions): დაწებულებები, რომლებიც სთავაზობენ კურსებს მხოლოდ ერთ ან რამოდენიმე მომიჯნავე საგანში პროფესიული ან აკადემიური მიმართულებით. ისინი იმდენად არამომცველნი არიან, რომ სხვა კლასიფიკაციაში არ თავსდებიან. ხარისხები საფეხურებრივად რანჟირდება ასოცირებული ხარისხიდან კვლევით დოქტორის ხარისხამდე (მაგ. მედიცინის დამოუკიდებელი სკოლები, ინჯინერია, სტომატოლოგია, იურისპრუდენცია, ვიზუალური და შემოქმედებითი ხელოვნების სკოლები, თეოლოგიური სემინარიები და ა.შ.)

7. საშუალოსშემდგომი დარგობრივი და ტექნიკური სკოლები (Postsecondary vocational and technical schools): დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ მოკლევადიან, არა უმეტეს 2 წლიან, ხარისხის—გარეშე (non-degree) ტრეინინგის პროგრამებს, რომლებიც პროფესიული სპეციალობის სერტიფიკატის ან დიპლომის მოპოვებით სრულდება.

უმაღლესი განათლების სისტემა ხასიათდება ხელმისაწვდომობით, მრავალფეროვნებით, ავტონომიურობით და ცნობილია თავისი მოცულობითა და ხარისხით. ფედერალულ მმართველობას არ გააჩნია სასწავლო დაწესებულებათა აკადემიური პროფესიების წევრობის, პროგრამების ან კურიკულუმების, ხარისხების ან სხვა კვალიფიკაციების აღიარების იურისდიქცია ან ძალაუფლება. U.S.-ის თითქმის ყველა საშუალოსშემდგომი დაწესებულება ლიცენზირებული ან პრივილეგირებულია შტატის ან მუნიციპალური მმართველობის მიერ. რელიგიური დაწესებულებები დაარსებულია დამოუკიდებელი ან კერძო სახით. ხარისხის გარანტია მიიღწევა შტატის მოთხოვნების, ნებაყოფლობითი აკრედიტაციის, დაწესებულების რეკუტაციის, აკადემიური პერსონალის და კურსდამთავრებულთა დასაქმების საფუძველზე. აკრედიტაცია თვითრეგულირებადი ხარისხის კონტროლის პროცესია, რომელიც U.S. საშუალოსშემდგომი განათლების საზოგადოების მიერ ტარდება. აკრედიტირებისას ხდება აკადემიური პოტენციალის, ადმინისტრაციული კომპეტენციის მინიმალური სტანდარტების და სისტემის შიგნით კვალიფიკაციების აღიარება. საკუთარი შტატის იურისდიქციის ფარგლებში, ექვსი რეგიონალური აკრედიტაციის ასოციაცია აღგენს ლიცენზირებული დაწესებულებებისათვის მინიმალურ სტანდარტებს. დამატებით, აღიარებული აკრედიტაციის ასოციაციები, განსაკუთრებით პროფესიულ სფეროებში და სპეციალიზირებული დაწესებულებებისათვის, ინდივიდუალური ან მომიჯნავე საგნებისათვის აწესებენ და არეგულირებენ მინიმალურ სტანდარტებს.

*სემესტრი სექტემბრიდან ივნისამდე, ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს.*

## **სასწავლო ეტაპები:**

**არასაუნივერსიტეტო დონე საშუალოსშემდგომი სწავლება (ტექნიკური/დარგობრივი ტიპი):**

### **არასაუნივერსიტეტო დონე:**

უმაღლესი განათლების სექტორში არ არსებობს მკვეთრი განსხვავება საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო დონეებს შორის. სწავლების დონე პროგრამების შესაბამისი ხარისხებით უფრო გამოიხატება, ვიდრე დაწესებულებათა ტიპით, რომლებშიც ეს პროგრამები ხორციელდება. საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შეესაბამება „არასაუნივერსიტეტო“ დონის ტექნიკურ/დარგობრივ საშუალოსშემდგომ სწავლებებს“ მოიცავს ყველა ტექნიკურ და დარგობრივ პროგრამას, რომელიც ბაკალავრიატის დონეზე ნაკლები ხარისხის დიპლომების ან სერტიფიკატების მოპოვებით სრულდება. განათლება ამ საფეხურზე მოიცავს:

1. ყველა იმ დაწესებულებებს, რომელიც ბაკალავრიატის დონეზე დაბალ ხარისხებს სთავაზობს სტუდენტებს;
2. იმ დაწესებულებებს, სადაც ტარდება ბაკალავრის დონეზე დაბალი ხარისხის მოსაპოვებელი პროგრამები.

პირველი კატეგორიის დაწესებულებები შეიძლება კლასიფიცირებულნი იქნან კარნეგის კლასიფიკაციის მიხედვით და მოიხსენიებიან, როგორც „ორწლიანი გაერთიანებები, მცირე (Junior) და ტექნიკური კოლეჯები“ და „პროფესიული სკოლები და სხვა სპეციალიზირებული დაწესებულებები“. პირველი კატეგორიის დაწესებულებების ასევე მიეკუთვნებიან NCES კლასიფიკაციას „დაწესებულებები, რომლებიც სთავაზობენ სერტიფიკატებს ან დიპლომებს არა ნაკლებ ორ და არა უმეტეს 4 წლიან შუალედში“, „ასოცირებული ხარისხების დაწესებულებები“, „დაწესებულებები, რომლებიც სთავაზობენ სერტიფიკატებს და დიპლომებს არა ნაკლებ ერთ წლიან და არა უმეტეს 2 წლიან შუალედში“ და „დაწესებულებები, რომლებიც სთავაზობენ სერტიფიკატებს ან დიპლომებს ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში“.

მეორე კატეგორიის უნივერსიტეტები მოიცავენ უნივერსიტეტებს და სხვა დაწესებულებებს, რომლებიც სთავაზობენ მოკლევადიან კურსებს და

ასოცირებული ხარისხის კვალიფიკაციებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის პარალელურად.

### სწავლება უნივერსიტეტის დონეზე:

საუნივერსიტეტო დონის პირველი საფეხური: **ასოცირებული ხარისხი (associate degree), ბაკალავრის ხარისხი, მაღალი დონის (advanced) სერტიფიკატი, პირველი პროფესიული ხარისხი:**

**ასოცირებული ხარისხი** (associate degree) პირველი აკადემიური ან პროფესიული ხარისხია, რომელიც შეიძლება მინიჭებულ იქნას U.S. საშუალოსშემდგომი (postsecondary) განათლების მიღებისას. ამ ხარისხის მფლობელებს შეუძლიათ გააგრძელონ სწავლება პირველი ხარისხის სხვა პროგრამებზე (ბაკალავრის ხარისხისკენ მიმავალი პროგრამები), თუმცა არ არიან სათანადოდ კვალიფიკირებულნი, რომ პირდაპირ მაღალ დონეზე (ხარისხის მიმნიჭებული დამამთავრებელი პროგრამა Graduate) გააგრძელონ სწავლა. ამგვარი სასწავლო პროგრამები, როგორც წესი 2 წლიანი დატვირთვის სრულ დროზეა (Full-Time) გათვლილი. პირვენება, რომელიც ირჩევს დატვირთვის არასრულ დროით (part-time) რეჟიმს, დასასრულებლად ასევე 2 წელზე მეტი პერიოდი სჭირდება. ასოცირებული ხარისხები შეიძლება მინიჭებულ იქნას ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ზოგადი კურსის გავლისას, როგორც აკადემიური კვალიფიკაცია ან შეიძლება მინიჭებულ იქნას პროფესიულ დარგობრივ სფეროში. ასოცირებული ხარისხის პროგრამები როგორც წესი სრულად ასახავენ ბაკალავრიატის მოთხოვნების 2 წლიან პერიოდს. ასოცირებული ხარისხის კრედიტები ჩვეულებრივ ტრანსფერდება ბაკალავრის ხარისხის პროგრამებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტრანსფერის შეთანხმებები დადგენილია დაწესებულებებს შორის.

**ბაკალავრის ხარისხი** (Bachelors degree) მეორე ხარისხია, რომელიც მოიპოვება U.S. საშუალოსშემდგომ დონეზე. ასევე არის ერთ-ერთი ხარისხამდელი (undergraduate) (პირველი) ხარისხი, რომელიც სტუდენტებს მაღალი დონის (advanced) (ხარისხი - დამამთავრებელ graduate) პროგრამაზე ჩარიცხვის საშუალებას აძლევს. ბაკალავრის ხარისხის მფლობელ სტუდენტებს შეუძლიათ პირველ-პროფესიულ ხარისხის (first-professional degree) მოსაპოვებელ პროგრამებზეც ისწავლონ. ამ

ხარისხის მოსაპოვებელი სასწავლო პროგრამები ძირითადად დაგეგმილია 4-5 წლიანი სასწავლო პერიოდისათვის, თუმცა დამოკიდებულია სფეროსა და სასწავლო დროის დატვირთვაზე.

საპატიო (Honours) პროგრამები შემოთავაზებულია მრავალი, ბაკალავრის ხარისხის მიმნიჭებელი დაწესებულების მიერ. **საპატიო ხარისხის** მოსაპოვებლად საჭიროა დამატებითი მოთხოვნების შესრულება, როგორიცაა მაგალითად ხარისხამდელი (undergraduate) თეზისები, სტიპენდიები ან პროექტები, მაღალი დონის საკურსო ნაშრომი, ან სპეციალური გამოცდები.

**მაღალი დონის სერტიფიკატების** (advanced certificates) მოსაპოვებლად დამატებით მოითხოვება ბაკალავრიარის შემდეგ არა უმეტეს ერთ წლიანი მიმდევრობითი სწავლება (ზოგჯერ პარალელურიც). ბაკალავრიატის დასრულება ზოგჯერ გულისხმობს ქვესპეციალიზაციაზე კონცენტრაციას ან მომიჯნავე მიმართულებების კომპუტერული განვითარების მოპოვებას.

**სტუდენტები პირველ პროფესიულ ხარისხის** (first professional degree) პროგრამებზე სხვა სფეროში ბაკალავრის ხარისხის ყველა ან თითქმის ყველა პროგრამის გავლის შემდეგ დაიშვებიან. სწავლის შინაარსით პირველი პროფესიული ხარისხები ხარისხამდელია (undergraduate) და ხარისხი განსაზღვრულ რეგულირებად პროფესიების მისაღებ დონეზე მოხვედრის წინაპირობაა. რადგან ზოგიერთი პირველი პროფესიული ხარისხი გამოიყენებს ტერმინს „დოქტორი“, მიუხედავად იმისა რომ არ წარმოადგენენ მაღალი დონის კვლევით ხარისხს, ხშირად წარმოიქმნება გაუგებრობები. პირველი პროფესიული ხარისხები მიენიჭებათ მედიცინაში (MD), სტომატოლოგიაში (DDS/DMD), ვეტერინარიაში (DVM), ოსტეოარტიურ მედიცინაში (DO), ოპტომეტრიაში (OD), პოდიატრიაში (Podiatry-DPM), ჰიროპრაქტიკაში (DC), ფარმაციაში (D.Pharm), თეოლოგიაში (M.Div), რავინობაში (MHL/Rav) და იურისპრუდენციაში (JD).

**საუნივერსიტეტო დონის მეორე საფეხური:** მაგისტრის ხარისხი, მაგისტრის შემდგომი (Post-master) ხარისხი, დიპლომი ან სერტიფიკატი

სამაგისტრო ხარისხები წარმოადგენენ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს და ანიჭებენ პირველ მაღალი დონის advanced (დამამთავრებელ-graduate)

ხარისხს. U.S. მაგისტრის ხარისხი შეიძლება მოპოვებულ იქნას სწავლებით (თეზისების გარეშე) და კვლევის (თეზისებით) საფუძველზე აკადემიურ ან პროფესიულ სფეროებში. უმეტესობა სამაგისტრო პროგრამებისა დაგეგმილია სრული დროით დატვირთვის (Full-time) 2 წლიან სწავლებაზე, ასევე დრო დამოკიდებულია უშუალოდ საგანზე, ხარისხსამდელი დონიდან სტუდენტების მიღწევებზე, პროგრამის სტრუქტურასა და სრული ან ნაწილობრივი დროით დატვირთვაზე. მაგისტრატურის ძირითადი მოთხოვნები სავალდებულო კურსების დასრულებაა. დამატებით შესაძლოა დამოკიდებული იყოს მაგისტრატურის პროგრამის ტიპზე, მოითხოვდეს კვლევის თეზისების, სპეციალური პროექტის, გამოცდების ჩაბარებას ერთ ან რამდენიმე ქვესფეროში, სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას (როგორიცაა ლინგვისტიკური ან რაოდენობრივი უნარები), ან მათ ჯომბინაციას.

U.S. არ ეწინააღმდეგება იმას, რომ მაგისტრატურასა და კვლევით დოქტორანტურას შორის შეიძლება არსებობდეს გარკვეული ხარისხის ტიპები, თუმცა მიუთითებს, რომ ყველა უნდა თავსდებოდეს U.S. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დონეები რომლებიც მოიცავს განათლების სპეციალისტს (E.Sp ან Ed.S) და მაღალი დონის სწავლის სერტიფიკატებს და დიპლომებს (C.A.E., D.A.E. Certificates and Diplomas of Advanced Study).

### **საუნივერსიტეტო დონის მესამე საფეხური: კვლევითი დოქტორანტურა**

კვლევითი დოქტორანტურა წარმოადგენს შეერთებული შტატების უმაღლესი განათლების მესამე და უმაღლეს საფეხურს. იგი შეიძლება მიენიჭოს აკადემიურ დისციპლინებში და ზოგიერთ პროფესიულ სფეროში. ხარისხი არ მიენიჭება მხოლოდ გამოცდების ან საკურსო ნაშრომების შესრულებისათვის, მოითხოვება კვლევითი მიმართულების განსაზღვრა და ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად წარმოება. დოქტორანტურის პროგრამები მოითხოვს ინტენსიურ სწავლასა და კვლევას სულ მცირე ერთ ქვესფეროში და პროფესიული დონის ჯომპეტენციებს ზოგიერთ სხვა სფეროში. გარდა კვლევითი სემინარების სერიებისა და ყველანაირი გამოცდისა, სტუდენტი ვალდებულია დაამტკიცოს საკუთარი

ნიჭიერება ორიგინალურ კვლევის ან დამოუკიდებელი პრაქტიკის სახით. კვლევა უნდა დასრულდეს დისერტაციის საჯარო დაცვამდე, თეზისების პროექტის, ზეპირი და წერილობითი გამოცდების ჩაბარებამდე მანამ კომიტეტი ან ფაკულტეტი, საგამოცდო კომიტეტის წევრებსა და სტუმრებს მოიწვევს. დოქტორის სარისხის უმეტესობა ბაკალავრის სარისხის მოპოვების შემდეგ, საშუალოდ 4-5 წელ სრული დროით დატვირთვით კვლევას და სწავლას მოითხოვს, მაგისტრის სარისხის შემდეგ კი 2-3 წლიან პერიოდს. სარისხის მოპოვებისათვის საჭირო ზუსტი დრო დამოკიდებულია საგანზე და პროგრამის სტრუქტურაზე. ზოგიერთ პროფესიულ სფეროში კვლევითი დოქტორის სარისხი მიენიჭებათ აკადემიურ დისციპლინებსა და თეორიულ კვლევებში. ამგვარი, ყველაზე გავრცელებული სარისხი ფილოსოფიის დოქტორია (Doctor of Philosophy PhD). არსებობს ექვივალენტური სარისხის დასახელებების მრავალფეროვანი ჩამონათვალი დაწესებულებებისა და დისციპლინების მიხედვით. პროფესიულ დოქტორანტურაში სწავლება უმეტესწილად გამოყენებითი სასიათისაა და უპირატესობით სარგებლობს თეორიულ კვლევებთან შედარებით. გამოიყენება სარისხთა დასახელებების ფართო არჩევანი.

### **მასწავლებელთა განათლება:**

**სკოლამდებლი და დაწყებითი/საბაზო სკოლის მასწავლებელთა ტრეინინგი**  
ადრეული ბაგშვილის სკოლის (საბაგშვო ბაღი) და ელემენტარული  
(დაწყებითი) სკოლის მასწავლებლობისათვის საჭირო განათლება და  
სერტიფიცირება (ნებართვის გაცემა) დამოკიდებულია შტატის მმართველობაზე,  
რომელიც ითხოვს მრავალრიცხოვან გამოცდების (საგნობრივი ცოდნა, და ა.შ.)  
ჩაბარებას. ოთხი შტატი (ალასკა, აიდაჰო, ვერმონტი და ვაიომინგი) არ ითხოვს  
გამოცდების ჩაბარებას. 38 შტატი ითხოვს წინასწარ ადწერილ პროგრამათა  
დასრულებას, სარისხისამდელ დონეზე სერტიფიცირებას, სწავლების დასრულების  
და კონტროლირებადი პრაქტიკულ საქმიანობის გათვალისწინებას. სარისხისამდელი  
სწავლება უნდა მიმდინარეობდეს 47 შტატის აკრედიტებულ დაწესებულებებში  
და დანარჩენ სამ შტატში, შტატის მიერ აღიარებულ დაწესებულებებში.  
მასწავლებლის საწყისი კვალიფიკაცია ბაკალავრის სარისხი და სერტიფიცირების

პროცედურაა. შტატების უმეტესობა სტუდენტებს სთავაზობს მაღალი დონის სერტიფიცირებას, რომელიც ემყარება გამოცდილებასა და დამატებით განათლებას, ამ დონეზე ბევრი მასწავლებელი მაგისტრის ხარისხს მოიპოვებს. სერტიფიცირების გათვალისწინებით, უწყვეტი პროფესიული განათლება აუცილებელია 42 შტატში.

### **საშუალო სკოლის მასწავლებლების ტრეინინგი**

საშუალო სკოლის მასწავლებლისადმი წაყენებული სერტიფიკატიამდელი მოთხოვნები, ძირითადად დაწყებითი სკოლის მასწავლებლისადმი წაყენებულ მთხოვნებს ემთხვევა. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საშუალო სკოლის მასწავლებლები სერტიფიცირებული არიან ერთ ან რამდენიმე აკადემიურ ან დარგობრივ საგანში და კარიერის კონცენტრირებას ამ საგნებზე ახდენენ, მაშინ როცა დაწყებითი სკოლის მასწავლებლები – განსაკუთრებით დაბალი დონისათვის – შეიძლება სერტიფირებული ან სპეციალიზირებული იყვნენ სრული დაწყებითი კურსის წასაყვანად, განსაკუთრებით მაშინ თუკი სწავლება მეტად დიფერენცირდება ელემენტარული საფეხურის/საშუალო სკოლის ბოლო კლასებში. ყველა შტატი ასერტივული მასწავლებელს, როგორც დარგობრივი სპეციალიზაციის ასევე საფეხურეობრივი დონეების მიხედვით. სპეციალური განათლების მასწავლებლები, უმეტეს შტატში სპეციალური პროგრამით გადიან ტრეინინგებს ხარისხამდელ და ხარისხის მიმნიჭებელ დონეზე და ასევე ცალკე სერტიფიცირდებიან. 47 შტატი ასერტივული მასწავლებელს კონკრეტული, სპეციალიზაციის მიხედვით მაგ. ყრუთა განათლება, ვიზუალური ნაკლის მქონე ადამიანების განათლება და ა.შ. რადგან სპეციალური განათლებისათვის მინიმალური აკადემიური მოთხოვნა სპეციალურ განათლებაში ან მომიჯნავე სფეროში (როგორიცაა განვითარების ფინანსობრივი) ბაკალავრის ხარისხია, მასწავლებელთა უმეტესობას მაგისტრის ხარისხი გააჩნია. U.S. უმეტეს შტატში არააკადემიური პერსონალის სერტიფიცირებას ითხოვენ. ამ ცალკეულ ჯგუფში შედიან სკოლის ადმინისტრატორები, სკოლის კანცლერები, სკოლის ჯანდაცვის პერსონალი (ფინანსობრივი, ექთანი), სკოლის ბიბლიოთეკარი, მასწავლებელთა ზედამხედველი და კურიკულუმის სპეციალისტი.

## **უმაღლესი განათლების მასწავლებლების ტრეინინგი**

საშუალოსშემდგომ განათლებასთან დაკავშირებით, შტატების კანონები განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენენ. სტანდარტებსა და ფაკულტეტის მიმართ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობა ინდივიდუალურად დაწესებულებებს და ფაკულტეტებს, დეპარტამენტებს, დაწესებულებაზე დაქვემდებარებულ სკოლებს ევალებათ. დაწესებულებათა მოთხოვნები ფაკულტეტისადმი დამოკიდებულია სწავლების საფეხურზე, საგანსა ან სფეროზე, კვლევაზე, პროფესიულ დიცენზიასა ან მოთხოვნად კვალიფიკაციაზე, კონტრაქტის მიხედვით სრულ ან ნაწილობრივი სამუშაო დროით დატვირთვაზე. აკრედიტირებული დაწესებულებები ემორჩილებიან ფაკულტეტის და აკრედიტირებულ პროგრამათა მიმართ, რეგიონალური აკრედიტაციის ასოციაციის მიერ დადგენილ სტანდარტებს. უმაღლესი განათლების ფაკულტეტებს ყველაზე მეტად სწავლებისათვის საჭირო ექსპერტიზის ჩატარება მოეთხოვება, რაც გამოიხატება შესაბამის დარგში ან დისციპლინაში მიმდინარე კვლევის ხელმძღვანელობასა ან კონსულტირებაში.

## **არატრადიციული სწავლება**

### **დისტანციური უმაღლესი განათლება**

დისტანციური სწავლების ფორმა შეიქმნა ადამიანებისათვის, რომელთა გეოგრაფიული ადგილსამყოფელი, პირობები ან სამუშო არახელსაყრელია განათლების მისაღებად. დისტანციური სწავლება არაა ჩამოყალიბებული, როგორც განათლების ცალკე მდგომი ტიპი. მეტიც, იგი შექმნილია, რომ იყოს ტრადიციული კამპუს ინსტრუქტორებისაგან განსხვავებული, მაგრამ არა ნაკლებ ლეგიტიმური. არსებობს სწრაფად მზარდი საგანმანათლებლო პროგრამები ყველა დონეზე, რომელთა მიწოდება ხდება რადიო, ტელევიზიის, სატელიტის, ვიდეოს, კომპიუტერული ტერმინალისა და სხვათა საშუალებით. ბევრი პროგრამა სთავაზობს კრედიტებს და სრულდება სერტიფიკატის, დიპლომის ან ხარისხის მოპოვებით. ზოგიერთი პროგრამა დაგეგმილია თავისუფალი დროს სწავლების, პიროვნული დაინტერესების ან სპეციფიკურ სამუშაოსთან დაკავშირებული

განათლებისა და ტრეინინგებისათვის. დისტანციური განათლების პროგრამები აქტიური აღიარებული ასოციაციის მიერ.

### **უმაღლესი განათლება ცხოვრების მანძილზე**

უმაღლესი განათლება ცხოვრების მანძილზე ხშირად უწყვეტ განათლებად იწოდება. დაწესებულებები აწარმოებენ სპეციფიურ უწყვეტი განათლების პროგრამებს, ზოგიერთი სასწავლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებულ ხარისხის პარალელურ პროგრამებს, მოკლევადიან და სპეციალიზირებულ კურსებს. უწყვეტი განათლება შეიძლება დაიგეგმოს სერტიფიკატის, ან ხარისხის მოპოვების შესაბამისად, არ იყოს სტრუქტურირებული და აწარმოებდეს ზოგად და თავისუფალ დროს სწავლის კურსებს. ზოგიერთი უწყვეტი განათლების კურსი შეთავაზებულია დისტანციური სწავლების მეთოდით, დანარჩენი პროგრამები დაწესებულებებში ან ცალკეულ ფილიალებში ტარდება. იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია გარკვეული კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებისათვის შემდგომი განათლების „შეთავაზებაზე, უწყვეტ განათლებას „უწყვეტ პროფესიულ განათლებად“ მოიხსენიებენ. ამგვარ პროგრამებში მოპოვებული კრედიტები აღიარებულია უმაღლესი განათლების, ლიცენზირებული დაწესებულებების და პროფესიული ასოციაციების დონეზე.

### **უმაღლესი განათლების ტრეინინგი ინდუსტრიაში**

ტრეინინგები ინდუსტრიაში უწყვეტი პროფესიული განათლების სპეციფიური ფორმაა და ძირითადად დამქირავლებლის მიერ დაფინანსებად ტრეინინგებზეა ორიენტირებული. კურსები შეთავაზებულია დამქირავებლის ან საშუალოს შემგდომი დაწესებულების კონტრაქტის, პროფესიული ასოციაციის, გაერთიანების ან კონსულტაციის მიმცემი ორგანიზაციათა მიერ. სასწავლო პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს სამუშაო ადგილზე ან არასამუშაო ტერიტორიაზე. უწყვეტი პროფესიული განათლება ან ტრეინინგები შინაარსობრივად ახალი უნარების გამოსამუშავებლად ტარდება. მათი მრავალსახეობა იწყება მოკლევადიანი კურსებიდან და მთავრდება ხარისხის სრული პროგრამით. სასწავლო დაწესებულების მიერ შექმნილი გარკვეული პროცედურის საფუძველზე, კურსებზე მოპოვებული კრედიტების რაოდენობა შესაძლოა აღიარებული და გავრცელებული იყოს უმაღლესი განათლების დონეზე. დამქირავებლის მიერ დაფინანსებული

ტრეინინგები განსაკუთრებით ქვებაკალავრის დონეზე, U.S. საშუალოსშემდგომი მრავალი დაწესებულების განსაკუთრებული ყურადღების სფეროშია. დეტალური ინფორმაციის მოპოვება ამ პროცესთან დაკავშირებით უშუალოდ U.S. დაწესებულებებშია შესაძლებელი.

### **არაფორმალური უმაღლესი განათლების სხვა სახეები**

ტრეინინგების მრავალფეროვნებაში არსებობს არაფორმალურად სტრუქტურირებული, ვიწრო შედეგზე ორიენტირებული, კრედიტების ტრანსფერირებადი, პროფესიულ სფეროებში აღიარებული კურსები. ისინი მოიცავენ პურსებს და ტრეინინგებს, რომლებიც ტარდება ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, პარკებში და დასასვენებელ დაწესებულებებში, კლუბებში ვიწრო წრისათვის. ზოგიერთი პროგრამა ტარდება დამქირავებლის ხელშეწყობით და არაა შედეგის ფორმალურ მხარეზე ორიენტირებული. მაგალითად უშუალოდ სამუშაო მიზნებსა და პროდუქციაზე ორიენტირებული, არაფორმალური სემინარები, პრეზენტაციები და ტოპოკები.

### **მიღება უმაღლესი განათლების დონეზე**

U.S. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა მრავალფეროვნების გამო, უმაღლესი განათლების დონეზე მოსახვედრაც საჭირო კონკრეტული მოთხოვნები ცალსახად გაწერილი არაა. აპლიკაციის პროცედურისათვის, თითოეულმა აპლიკანტმა კონკრეტულ სასწავლო დაწესებულებას უნდა მიმართოს. დაწესებულება თავის მხრივ, ვალდებულია დაკვალიანოს აპლიკანტი.

ამრიგად, აშშ-ს უმაღლესი განათლების სისტემა სხვა ნაციონალური სისტემებისაგან განსხვავებით განსხვავებულ სექტორებად (საუნივერსიტეტო, არასაუნივერსიტეტო და ა.შ.) არ იყოფა. იგი სასიათდება ხელმისაწვდომობით, მრავალფეროვნებითა და ავტონომიურობით, ცნობილია თავისი მოცულობითა და ხარისხით. არჩევანთა მრავალფეროვნება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მისი გემოვნებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევს.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. განათლები პოლიტიკის საარქივო მასალები, „ფონდი დია საზოგადოება - საქართველო“, 1 ნოემბერი, ტომი 8, 2000.
2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1998 წლები, საიუბილეო კრებული, მთავარი რედაქტორი მეტრეველი რ., თბილისის გამომცემლობა, თბილისი 1998
3. მეცნიერული კვლევის საფუძვლები, რედაქტორი ჭილაშვილი მ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1981 – გვ.117
4. მეტრეველი როინ, უნივერსიტეტი დღეს, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2003, გვ.67
5. უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები. სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მასალები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2001, გვ.130
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, მთავარი რედაქტორი აბაშიძე ირ., 1981წ
7. ჭკუასელი ი., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1986, გვ.227
8. ჭკუასელი პ., სასწავლო-პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციისათვის უმაღლეს სკოლაში, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი 1934, გვ.138
9. ჭკუასელი ქ., მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სისტემები და მათი განვითარების თანამედროვე ტენდენციები, „ფონდი დია საზოგადოება - საქართველო“ სემინარი „მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადება“ მასალები 2002.
10. ჯავახიშვილი ნ., ფსიქოლოგიკის კვლევის მეთოდები, თბილისი, თსუ 2004
11. ჯიბლაძე გ. ...., უმაღლესი სკოლი პედაგოგიკის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა განათლება 1981, გვ.285
12. ჯინჯოლავა პ., უმაღლესი სკოლა – კადრები და საწესდებო ნორმატივები (ცნობარი), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988, გვ.170

13. Балакина А.П., Солнцева Н.В., Эффективность управления вузом и педагогический менеджмент // Высшее образование сегодня 2002-№10, с.12
14. Дружинин А., Интернационализация высшего образования: тенденции и проблемы // вестник высшей школы Alma mater 2002, №9б, с.3
15. Исаева Т., Преподаватель как субъект качества образования // Высшее образование в России, 2003 №2, с.17
16. Кивик Свейн - Структурные изменения систем высшего образования Западной Европы, 2005, [www.almamater.md/articles/645/ru.html](http://www.almamater.md/articles/645/ru.html)
17. Куприянова Л., Педагогическое мастерство: принципы оценки // Высшее образование в России, 2003 №1, с.78
18. Ладышев Н., Университеты Европы // Alma mater вестник высшей школы, 1991, №9, с.80
19. Малхотра Н.К. – Маркетинговое исследование, Москва – Санкт-Петербург-Киев, 2003
20. Люссиен Мишед, Идея университета // Alma mater вестник высшей школы, 1991, №9, с.85
21. Нуждин В.Н., Кадамцева Г.Г., Стратегическое управление качеством образования // Высшее образование сегодня 2003 №4, с.6
22. Папковская П.Я., Методология научных исследований, Минск ООО "информпресс" 2002, с.172
23. Педагогический энциклопедический словарь, главный редактор Бим-Бад Б.М. , научное издательство "Большая Российская Энциклопедия", Москва, 2002
24. Скок Г.Б., Как проанализировать собственную педагогическую деятельность, М.: Педагогическое общество России, 2001, с.102
25. Accreditation Handbook, (Revised 1986), A publication of the American Psychological Association Committee on Accreditation and Accreditation Office, s.70
26. CHEPS-higher education monitor, Country report, Higher education in Germany, Jeroen Huisman, 2003, C2JH527
27. The Quality Assurance Agency for Higher Education, The framework for higher education qualifications in England, Wales and Northern Ireland, 2001, s.16
28. Bortz J. , Döring N. – Forschungsmethoden und Evaluation, D., Springer, 2006
29. Buchberger F., Green paper on teacher education in Europe, TNTT 2000, Sweden, s.93

30. Buehl A., Zoefel P.– SPSS fuer Windows version 6.1, Addison-Wesley, 1995
31. Buehner M.– Einfuehrung in die Test- und Fragebogenkonstruktion, Pearson Studium, ISBN 3-8273-7083-3
32. Gudjons H., Pädagogisches Grundwissen : Überblick - Kompendium - Studienbuch, Klinkhardt, 1993
33. Kaiser A., Kaiser R., Handbuch der Evaluationsstandards : die Standards des "Joint Committee on Standards for Educational Evaluation", Salzburg 2003
34. Kaiser A., Kaiser R., Studienbuch Pädagogik : Grund- und Prüfungswissen ; mit ... Tableaus und Tabellen, Frankfurt am Main : Cornelsen Scriptor, 1994
35. Keiner E., Evaluation (in) der Erziehungswissenschaft, Beltz, 2001
36. Kritik der Evaluation von Schulen und Universitäten : [die hier abgedruckten Texte wurden bei einem Symposium vorgetragen, das am 23. und 24. Oktober 2003 in Salzburg stattgefunden hat] / mit Beitr. von M. Heitger, Kongress: Symposium ; (Salzburg) : 2003.10.23-24, Würzburg : Ergon-Verl., 2004
37. Mittag S., Bornmann L., Daniel H., Evaluation von Studium und Lehre an Hochschulen : Handbuch zur Durchführung mehrstufiger Evaluationsverfahren, Waxmann, 2003
38. Dr. Prenner Monika - Methoden der Erziehungswissenschaft —Paedagogische Akademie des Bundes in Niederoesterreich, 2004, [www.inosys.at/~prenner/monika/ewas/index.htm](http://www.inosys.at/~prenner/monika/ewas/index.htm)
39. Raithel J. Quantitative Forschung, Ein Praxiskurs, VS, 2006
40. Richter R., J Wilhelms W., Gijselaers D., de Bie, Qualitätssorge in der Lehre, Leitfaden für die studentische Lehrevaluation, Luchterhand 1994
41. Rindermann H., Lehrevaluation, Empirische Pädagogik, Landau, 2001
42. Ruprecht Horst, Einfuerung in die paedagogische Forschung, 1974, Verlag Julius Klinghardt, ISBN 3-7815-0215-5
43. Sanders James R., Handbuch der Evaluationsstandards, Leske+Budrich, Opladen, 1999, ISBN 3-8100-1977-1

44. Schnell-Hill-Esser – Methoden der empirischen Sozialforschung, Oldenburg, ISBN 3-486-21463-2
45. Scott, Peter (1996), “Unified and Binary systems of Higher Education in Europe”. In Burgen, Arnold (ed.) Goals and purposes of higher Education in the 21th Century. Kondon: Jessica Kingsley Publishers
46. Scott Peter – Structural development in higher education: The experience of unifier systems, Das Hochschulwesen 1997/3, pp133-139
47. Stockmann R., Evaluationsforschung : Grundlagen und ausgewählte Forschungsfelder, , Münster [u.a.] 2006
48. Theisens Henno - Higher Education in The United Kingdom, Country report, CHEPS, May 2003, [www.utwente.nl/cheps/documenten/unitedkingdom.pdf](http://www.utwente.nl/cheps/documenten/unitedkingdom.pdf)
49. Tiechler Ulrich – Changing patterns of the higher education system and the perennial search of the second sector and identity [http://www.ipv.pt/millenium/millenium21/21\\_4.htm](http://www.ipv.pt/millenium/millenium21/21_4.htm)
50. Tiechler Ulrich – The changing roles of the university an non-university sectors. In European review. 1998, Vol6, N4. 475-487
51. Theisens Henno - Higher Education in The United Kingdom, Country report, CHEPS, May 2003, [www.utwente.nl/cheps/documenten/unitedkingdom.pdf](http://www.utwente.nl/cheps/documenten/unitedkingdom.pdf)
52. Wottawa H., Theirau H., Lehrbuch Evaluation, Verlag Hans Huber, Bern 1998, ISBN 3-456-82989-2
53. <http://angl.com.ru/education.htm>
54. [http://education.qld.gov.au/public\\_media/reports/curriculum-framework/qsrls/html/abt\\_ppc.html](http://education.qld.gov.au/public_media/reports/curriculum-framework/qsrls/html/abt_ppc.html)
55. [http://fcis.oise.utoronto.ca/~daniel\\_schugurensky/assignment1/](http://fcis.oise.utoronto.ca/~daniel_schugurensky/assignment1/)
56. <http://honolulu.hawaii.edu/intranet/committees/FacDevCom/guidebk/teachtip/evaluate.htm>
57. [http://international.edu.ru/analitics/national\\_systems/2375/](http://international.edu.ru/analitics/national_systems/2375/)
58. <http://tiee.ecoed.net/teach/essays/evaluation.html>
59. <http://u-k.ru/viewtopic.php?t=18&highlight=>

60. [http://www.andor.uni-karlsruhe.de/fak/stud/ects/sfd\\_2.03.html#hs\\_system](http://www.andor.uni-karlsruhe.de/fak/stud/ects/sfd_2.03.html#hs_system)
61. [http://www.apa.org/ed/eval\\_strategies.html](http://www.apa.org/ed/eval_strategies.html)
62. [http://www.assessment.gatech.edu/eReports/apple\\_pie\\_assessment/apple.html](http://www.assessment.gatech.edu/eReports/apple_pie_assessment/apple.html)
63. <http://www.asu.edu/educ/eps1/EPRU/documents/EPRU%202002-101/Chapter%2008-Glass-Final.htm>
64. <http://www.bologna-supporters.ge/bolognag.htm>
65. [http://www.bc.edu/bc\\_org/avp/soe/cihe/newsletter/News14/text4.html](http://www.bc.edu/bc_org/avp/soe/cihe/newsletter/News14/text4.html)
66. <http://www.cod.edu/dept/outcomes/assessmentbook.pdf>
67. [http://www.crito.uci.edu/tlc/findings/report\\_7/TEXT.html#TOP](http://www.crito.uci.edu/tlc/findings/report_7/TEXT.html#TOP)
68. <http://www.daad.de/deutschland/hochschulen/hochschultypen/02415.en.html>
69. <http://www.didaktik.mathematik.uni-wuerzburg.de/history/meg/mathedb4.html>
70. <http://www.euroeducation.net/prof/usa.htm>
71. [http://www.eval.org/zoom/search.asp?zoom\\_sort=0&zoom\\_query=self+evaluation&zoom\\_and=0](http://www.eval.org/zoom/search.asp?zoom_sort=0&zoom_query=self+evaluation&zoom_and=0)
72. <http://www.flinders.edu.au/teach/evaluation.htm>
73. [http://www.germanculture.com.ua/library/facts/bl\\_higher\\_education.htm](http://www.germanculture.com.ua/library/facts/bl_higher_education.htm)
74. <http://www.hero.ac.uk/studing>
75. [www.hrk.de](http://www.hrk.de)
76. <http://www.indwes.edu/assessment/presentations/AGSAssessmentHandbook.pdf>
77. <http://www.invitationaleducation.net/publications/journal/v11p31.htm>
78. <http://www.nsdc.org/library/publications/jsd/guskey194.cfm>
79. [http://www.path2usa.com/usainfo/education/higher\\_edu\\_usa.htm](http://www.path2usa.com/usainfo/education/higher_edu_usa.htm)
80. [http://www.polytech.poltava.ua/education/america/usa\\_3.html](http://www.polytech.poltava.ua/education/america/usa_3.html)
81. <http://www.qaa.ac.uk>
82. <http://www.studyabroad.ru/bcuc1.php#history>

83. [http://www.teacherleaders.org/misc/hopkins\\_HQT.pdf](http://www.teacherleaders.org/misc/hopkins_HQT.pdf)
84. <http://www.tsu.ge>
85. <http://www.tsu.ge/qa/bologna.htm>
86. <http://www.tsu.ge/qa/links.htm>
87. <http://www.tsu.ge/qa/vote.htm>
88. <http://www.unesco.org/iau/onlinedatabases/>
89. <http://www.utwente.nl/chepls/documenten/>
90. <http://www.usq.edu.au/dec/staff/evaluation/default.htm>
91. <http://www.utwente.nl/chepls/documenten/germany.pdf>
92. <http://www.vtaide.com/png/ERIC/Evaluation-of-Teachers.htm>
93. <http://www.wcer.wisc.edu/archive/c11/flag/>
94. <http://www.wmich.edu/evalctr/jc/>
95. [http://www.wmich.edu/evalctr/jc/briefing/ses/standards\\_summary.html#propriety](http://www.wmich.edu/evalctr/jc/briefing/ses/standards_summary.html#propriety)
96. [http://www2.acs.ncsu.edu/UPA/assmt/resource.htm#course\\_assmt](http://www2.acs.ncsu.edu/UPA/assmt/resource.htm#course_assmt)